

ნიკიფორე ირბახის სახ. საერთაშორისო  
ურთიერთობის ინსტიტუტი

პროფ. ილია ტაბალუა  
ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტის დირექტორი

# საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიიდან

(ლექციების კურსი)

რედაქტორი: დოც. ვ. პავთიაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობის ინსტი-  
ტუტის რექტორი.

რეცენზენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. იოსებ ჩიქავა  
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი  
მუჰამან აბაშვილი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სახელმძღვანელოს „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ კურსში საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტების, კოლეჯების, კურსების სტუდენტებისათვის. იგი შედგენილია ერთი სასწავლო წლის პროგრამის მიხედვით და იხილავს სხვა ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობების მანძილზე არსებულ მრავალ საკითხს.

საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური ვითარება მწვავედ აყენებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კადრების კვალიფიციური ცოდნით აღჭურვის საკითხს. რასაც გარკვეულ წილად წაადგება ეს სახელმძღვანელოც.

ჯანათლებული სპეციალისტის ფორმირების პროცესი ბუნებრივად მოითხოვს „ქართული დიპლომატიის ისტორიის“ კურსის შესწავლამდე სასწავლო პროგრამაში შემდეგი დისციპლინების ჩართვას: ფილოსოფიის ისტორია, მეტყველებისა და ქცევის კულტურა, ქართული დამწერლობის ისტორია, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა.

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში მასალის გადმოცემის თანმიმდევრობა სრულიად შეესაბამება სასწავლო პროგრამას, რომელიც მოწონებულია და რეკომენდირებული ნიკიფორე ირბახის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის მეთოდური საბჭოს მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული დიპლომატიის ისტორიაში განსახილველ საკითხთა სფერო იმდენად ფართოა, რომ მათი დეტალური განხილვა იმ მოცულობაში, რომელიც განსაზღვრულია იუო მოცემული სახელმძღვანელოსათვის, პრაქტიკულად შეუძლებელია.

წიგნზე მუშაობისას გამოყენებულია რიგი უახლესი მასალებისა, რომელთა მოძიება და დამუშავება დიდ დროსა და მეტად დამაბულ შრომას მოითხოვდა. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ ენაზე დიპლომატიის ისტორიის დაწერის პრაქტიკა თითქმის არ არსებობს და წინამდებარე ნაშრომი, შეიძლება ითქვას, ასეთი სახელმძღვანელოს შექმნის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს. ამიტომ, ბუნებრივია, წიგნი დაზღვეული არ იქნება ხარვეზისაგან. ავტორი დიდი მადლიერებით მიიღებს საქმიან შენიშვნებს, რისთვისაც წინასწარ გწირავთ მადლობას.

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს ის, რომ წიგნის მომზადებისა და გამოცემის საკითხში დიდი ინტერესი და ყურადღება გამოიჩინეს იმ ინსტიტუტის დამფუძნებლებმა, რომელიც გამოიჩინილი ქართველი დიპლომატიის ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილი) სახელს ატარებს. უღრმეს მადლობას მოვახსენებ ქ-ნ მანარაბ აბაშიანიშვილს წიგნის რედაქტირებისათვის, აგრეთვე ბატონებს ჯემალ ველიძეს, ვლადიმერ მებრალიძეს და ნიკოლოზ ნაცვლიშვილს წიგნის გამოსაცემად გაწეული დახმარებისათვის.

აპტორი

## იზარიის (პართლის) ურთიერთობა

### გარე სამშაროსთან<sup>1</sup>

ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ დაახლოებით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. „დაახლოებით“ ვამბობთ იმ-ტომ, რომ ქართველურ ტომებს ადრინდელ პერიოდში გაცილებით უფრო მეტი ტერიტორია ეკავათ, ვიდრე დღეს.

ბუნებრივია, უძველესი დროიდანვე ამ ტომების მეზობლად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ხალხები: ზოგი ძლიერი, ზოგი სუსტი. ცნაღია, ქართველ ტომებს, ქართულ სამეფოებს (ქართლი-იბერია, კოლხეთი) არ შეიძლებოდა, ამ მეზობელ ხალხებთან ურთიერთობები არ ჰქონოდათ. ზოგიერთი ასეთი ურთიერთობა (კერძოდ ომები), ჩვენთვის ცნობილია.

მეოთხე-მეცამე ათასეულ წლებში დაახლოებით დღევანდელი ერაცის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ შუმერები (სუმერები). ძვ. წ. 2024 წელს შუმერების დედაქალაქად მოხსენიებულია ქ. ური. (სხვათაშორის, „ურ“ ბასკურად „წყალს“ ნიშნავს). არსებობს ცნობილი ქართველი მეცნიერის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის საინტერესო ნაშრომი, სადაც შედარებულია ქართველური და შუმერული სიტყვები. არსებობს შუმერული პროტოლტრანსმული დამწერლობით შესრულებული ათასამდე თიხის ფირფიტა. შუმერები ელამებმა დაამარცხეს. ელამების სახელმწიფო შეიქმნა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში და იარსება ძვ. წ. VI საუკუნემდე.

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე (ანატოლაში) ძვ. წ. II ათასწლეულიდან ცხოვრობდნენ ხეთები. არსებობდა ხეთების სამეფო. ხეთებს ჰქონდათ ლტრანსმული დამწერლობა. ხეთური ენა ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ხეთების ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე — ბოლახქოიში (ანკარას აღმოსავლეთით 145 კმ-ზე) გათხრების დროს აღმოჩნდა ლტრანსმული დამწერლობით შესრულებული ფირფიტები. ტექსტები შედგენილია ხეთურ, ლუვიურ და ხუ-

1 ავტორის შენიშვნა: იმის გამო, რომ წიგნს დაბეჭდვის მოცულობით შეზღუდული ვაყავით, წინადადებაზე ლექციებს კლრსი არის პროგრამით გათვალისწინებული ლექციების კლრსის ნიშნულზე შესაძლებელია. მაგრამ მაინც გვგონია, რომ ესეც სასარგებლო იქნება სტუდენტებისათვის.

რიტულ ენებზე. აქვე აღმოჩნდა შუმერულ-ქადურ-ხეთური ლექსიკონი. ბოლახქოს ადგილას მდებარეობდა ხეთების სამეფოს დედაქალაქი ხათუსა. ხეთების სამეფომ ძვ. წ. XII საუკუნემდე იარსება.

ძვ. წ. XII საუკუნიდან ჩნდება ურარტუს სახელმწიფო. მან ძვ. წ. VI საუკუნემდე იარსება. ყველა ამ ხალხებთან და სამეფოებთან ქართველურ ტომებს არ შეიძლებოდა, არ ჰქონოდათ ურთიერთობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესახებ წერილობითი ცნობები ცოტა გავვაჩნია.

ქართული სამეფოებიდან ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართლის (იბერიის) და კოლხეთის სამეფოები. ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია მოიხსენიება „იბერია“, „იბერიად“. ზოგჯერ ეს ტერმინი მთელი საქართველოს აღსანიშნავადაც იხმარებოდა. სახელწოდება „იბერიის“ წარმომავლობა ნათელი არ არის. იგი გაჩნდა უცხოენოვან (ბერძნულ) გარემოში ელინისტურ ხანაში (ძვ. წ. IV-III სს.). ზოგი ავტორი ტერმინ „იბერიას“ უკავშირებს ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენ ავტორებთან დამოწმებულ ჰასპერების სახელს. (ისტორიულ სპერის ოლქში ქართველი ტომები (ქართველები — იბერები, მესხები) ცხოვრობდნენ. ბერძნებთან „იბერიად“ წოდებულ ქვეყანას ქართულ წყაროებში „ქართლი“ ეწოდებოდა. ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე შეიქმნა ქართლის დიდი სამეფო, რომლის ცენტრიც მცხეთა იყო. სახელწოდება „მცხეთა“ მესხთა ტომის სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები.

ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე ქართლის (იბერიის) მეთაური გახდა ფარნავაზი, რომელიც იბერიის პირველ მეფედ იხსენიება. ფარნავაზის დროს ქართლი (იბერია) ვრცელი სახელმწიფო გახდა. ქართლის, კახეთისა და მესხეთის გარდა მასში შედიოდა დასავლეთ საქართველოს ნაწილი (არგვეთი, აჭარა).

ძვ. წ. II საუკუნეში და I საუკუნის პირველ ნახევარში იბერიას ომები ჰქონდა იმ დროისთვის გაძლიერებულ სომხეთის სამეფოსთან. ამ ომებში იბერიამ ზოგი ტერიტორია დაკარგა.

ძვ. წ. პირველ საუკუნეში იბერია-კოლხეთის საზღვრებზე მითრიდატე VI ევპატორმა (ცხოვრობდა: ძვ. წ. 120-63 წწ., მეფობდა: 111-63 წწ.) შექმნა პონტოს სამეფო. მისი დედაქალაქი იყო ამასია (სხვა ქალაქებიდან აღსანიშნავია: სინოპი, ტრაპეზუნტი) მითრიდატემ მოკავშირედ გაიხადა სომხეთის მეფე ტიგრან II, რომელმაც ძვ. წ. 94 წელს სომხეთი გააერთიანა.

მითრიდატემ თავის სამეფოს შეუერთა ბოსფორის სამეფო (ძვ.



წ. 107 წ.), ასევე კოლხეთისა და სომხეთის ტერიტორიების ნაწილი და ბოლოს, სირიის, ფინიკიისა და კილიკიის ტერიტორიების ნაწილიც. ამრიგად, მან გააერთიანა მთელი მცირე აზია, იქიდან განდევნა რომაელები და უშუალოდ დაუპირისპირდა სასანიდების სპარსეთს და რომს.

რომი ამ დროს იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი აშკარად ერეოდა მცირე აზიის საქმეებში. მაგრამ მითრიდატე სარგებლობდა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებით რომაელთა მიმართ. ისინი ხომ იქ აღრე ბატონობდნენ. რომაელების წინააღმდეგ ომის დროს მითრიდატემ ერთხელ საზღვრძნეთამდეც კი მცდიხ მათ, მაგრამ იძულებული გახდა, უკან დაეხია.

ძვ. წ. 73 წელს დაიწყო მითრიდატეს მე-3 ომი რომაელების წინააღმდეგ. რომაელთა ჯარს სარდლობდა ლუკულუსი (ცხოვრობდა ძვ. წ. 117-57 წწ.), რომელმაც 71 წელს დაამარცხა მითრიდატე. მითრიდატემ ჰომხეთს შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ სომხეთის დახმარებით კვლავ განაგრძო ბრძოლები რომაელების წინააღმდეგ.

ძვ. წ. 66 წელს რომის სენატმა მცირე აზიაში რომაელთა ლაშქრის სარდლად ლუკულუსის ნაცვლად დანიშნა გენეუს პომპეუს მაგნუსი ანუ გენეუს პომპეუს დიდი (ცხოვრობდა ძვ. წ. 106-48 წწ.). იგი ასიათასიანი სახველეთო და საზღვაო ძალებით გაგზავნეს მცირე აზიაში მითრიდატე VI ვეპატორის წინააღმდეგ. პომპეუსმა საბოლოოდ დაამარცხა მითრიდატე და ბოლო მოუღო მის მმართველობას მცირე აზიაში.

მითრიდატე გაიქცა ჯერ კოლხეთში, ხოლო იქედან გადავიდა ბოსფორის სანთლობტლოში, სადაც 63 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. (სხვა ცნობით, მას აუჯანყდა ვაეიშვილი ფარნაკე და მასთან ბრძოლაში დაიღუპა).

დაამთავრა რა ომი მითრიდატესთან, პომპეუსმა შეუტია სომხეთსა და დაამარცხა ის: სომხეთის მეფე ტიგრან II-მ მუხლებზე დაჩოქილმა საკუთარი ხელით მიართვა პომპეუსს თავისი გვირგვინი. პომპეუსმა დაამარცხა ალბანია და შეუტია იბერიას. იბერიის მეფე არტავგი, მიუხედავად ქართველების ენერგიული წინააღმდეგობისა, იძულებული გახდა დამორჩილებოდა რომაელებს. ეს მოხდა ძვ. წ. 65 წელს. მაგრამ იბერია მალე განთავისუფლდა რომაელებზე დამოკიდებულებისაგან. არტავგმა თავი აღიარა „რომის მოკავშირედ და მეგობრად“. იბერიის შემდეგ პომპეუსმა თავისი ლაშქრით გასწია კოლხეთისაკენ, ფაზისში მას დახვდა თავისი საზღვაო ძალები. მან დაიმორჩილა კოლხეთი. იგი რომში დაბრუნდა 62 წელს.

მკ. წ. 36 წელს რომელითა სარდალმა პუბლიუს კანიდიუს კრასუსმა ილაშქრა იბერიის წინააღმდეგ. მან დაამარცხა იბერიის მეფე ფარნავაზ II. შემდეგ იგი მოკავშირედ გაიხადა და მათ გაერთიანებული ძალით დაამარცხეს ალბანეთის მეფე ზომერი. ამის შემდეგ იბერია მოხერხებულად იყენებს რომთან კარგ ურთიერთობას და თანდათანობით ძლიერდება. კერძოდ, აღსანიშნავია ფარსმან I-ის მეფობის პერიოდი (ახ. წ. I საუკ. 30-50 წწ.). ფარსმან არმავლად წოდებულმა შექმნა იბერიის საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო.

ფარსმან მეფის ომებს შორის აღსანიშნავია ობი პართიის წინააღმდეგ. სადაც მან ბრწყინვალე გამარჯვება ნიიპოვა. რომელი ისტორიკოს კორნელი ტაციტუსს თავის „ანალების“ მე-6 ტომში მოაქვს ფარსმან მეფის სიტყვის ფრაგმენტები, რომლითაც მიმართა თავის ლაშქარს პართიელებთან ბრძოლის წინ.

აი რას წერს კორნელი ტაციტუსი: „როდესაც მეომართა რიგები ორთვე მხარეს საომრად განეწყენენ, პართელმა (პართელთა სარდალმა ოროდმა) ბევრი ილაპარაკა აღმოსავლეთზე ბატონობასა და არშაკიდების (დინასტიის) ბრწყინვალეობაზე, თანაც დაუპირისპირა ისინი მდაბიო იბერიელს (ფარსმან I-ს) მისი როქის სპით (დაქირავებული ჯარით).

ფარსმანმა კი შემდეგი სიტყვებით მიმართა თავის ლაშქარს: „პართელთა (სპარსელთა) ბატონობა არასოდეს გაგვკარგებია და რაც უფრო ვცდებით, მით მეტ სახელს მოვიხვევთ გამარჯვებით, ხოლო თუ მტერს ზურგს ვუჩვენებთ, სირცხვილსა და ბიფათში ჩავცვივდებით“. მეფემ ამასთანავე მიუთითა თავისი ლაშქრის მრისხანე საომარ წყობასა და მიდიელების (პართიელების) ოქროთი მოკაზმულ რაზმებზე და დაძინა: „აქ გაუკაცები არიან, იქ კი საშოვარზე არიან“.

დაიწყო ბრძოლები. ქართველები გამირულად ეკვეთნენ მტერს. ბრძოლას ველზე ერთმანეთს შეხედნენ ჯარების სარდლები: ფარსმან მეფე და პართელი ოროდი. ფარსმანი დიდი სისწრაფით მიიჭრა ოროდთან და მუზარადის ქვეშ კრილობა მიაყენა, მაგრამ დარტყმა ველარ განიმეორა, რადგან ცხენმა ოროდი გააქროლა. ხოლო მცველებმა დაჭრილი სარდალი განარიდეს ბრძოლის ველს. სარდლის სიკვდილის შესახებ გავრცელებულმა ხმამ. შეაშინა პართიელები და ისინი დამარცხდნენ.

## შარსმან II-ის პიზიტი რომში

ახ. წ. I-II საუკუნეებში ქართლის (იბერიის) სამეფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაძლიერდა. მას ანგარიშს უწევდნენ მეზობელი ქვეყნები და რომიც. ქართლის სამეფოს ეს მდგომარეობა განაპირობა იმდროინდელმა ვითარებამ კავკასიაში: სამხეთ-დასუსტებული იყო: აღბანეთი ქართლთან შეგობრობდა; რომი და სპარსეთი ერთმანეთს ებრძოდნენ.

ახ. წ. II საუკუნის 30-50-იან წლებში ქართლში მეფობდა ფარსმან II. რომში უკმაყოფილო იყვნენ ქართლის გაძლიერებით. ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის უფრო გამწვავდა რომის იმპერატორ ადრიანეს მმართველობის დროს (117-138 წწ.). იგი არ ცნობდა იბერიის ახალ საზღვრებს. როგორც იმპერატორის ბოგრაფი ელიუს სპარტიანუსი წერს, ერთ დროს ადრიანე შეეცადა საჩუქრებით მიემხრო ფარსმან მეფე და ჩაეყვანა რომში, მაგრამ ამას ვერ მიაღწია.

ელიუს სპარტიანუსი წერს: „იმპერატორი ადრიანე დიდი წყალობას თვალთ უყურებდა ბევრ მეფეს; ბევრისაგან ზაღს ყიდულობდა. მშვიდობიან ურთიერთობას საჩუქრებით აღწევდა... ყველაზე მეტ საჩუქარს იბერიის მეფეს უგზავნიდა, რომელსაც შესანიშნავი საჩუქრების გარდა, გაუგზავნა სპილო და ორმოცდაათ კაციანი კოპორტა...“

როგორც ვხედავთ, რომის იმპერატორ ადრიანეს იბერიის მეფე ფარსმანისათვის გამოუგზავნია სპილო და ორმოცდაათკაციანი კოპორტა (რომის ლაშქარს ფეხოსანი). ან-ს შესახებ დიდხანს იყო გაუგებრობა ისტორიოგრაფიაში: ზოგი წერდა ორ სპილოს, ზოგი ერთს, ზოგიერთ ტექსტში სულ გამოტოვებულია სპილო. უფრო სერიოზულ გაუგებრობას ქონდა ადგილი ორმოცდაათ კაცთან დაკავშირებით. ისტორიკოსები, მათ შორის ქართველი ისტორიკოსებიც (ივ. ჭავჭავაძე, მ. ინაძე) დიდხანს მიიჩნეოდნენ „ორმოცდაათის“ ნაცვლად „ხუთასს“. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ზემოხსენებულ ელიუს სპარტიანუსთან (მის მიერ დაწერილ ლათინურ ტექსტში) შეცდომით „ორმოცდაათი კოპორტა“ („კვინკაგენარიუს კოპორტემ“) წაკითხულ იქნა „ხუთას კოპორტად“ („კვინგენარიუს კოპორტემ“) წაკითხულ იქნა „ხუთას კოპორტა“ („კვინგენარიუს კოპორტემ“).

როგორც ვხედავთ, ლათინურად „ორმოცდაათი“ და „ხუთასი“ ძალიან ჰგავნან ერთმანეთს და თუ კაცმა ყურადღებით არ წაიკითხა

(ელიუს სპარტიანუსის ლათინურ ტექსტში ეს ციფრებით კი არ წერია, არამედ ასოებით), შეიძლება იოლად დაუშვა შეცდომა. სწორედ ასეთი შეცდომა დაუშვა ერთ-ერთმა მთარგმნელმა, „ორმოცდაათი“ „ხუთას“-ად წაიკითხა და მერე გავრცელდა ეს შეცდომა.

ეს შეცდომა გასწორდა 1927 წელს გერმანიაში, როცა ქ. ლაიპციგში ელიუს სპარტიანუსის ეს თხზულება — „ავგუსტების ცხოვრების ისტორია“ — გამოქვეყნდა.

ლაიპციგში ლათინურ ენაზე გამოქვეყნებული ელიუს სპარტიანუსის ეს თხზულება უკვე თარგმნილია ინგლისურად, იტალიურად და რუსულად.

იყო მეორე გაუგებრობაც. ფარსმან მეფე ზოგიერთ ავტორს. ორჯერ ჩაყავდა რომში: იმპერატორ ადრიანესა და იმპერატორ ანტონინო პიუსის დროს. სინამდვილეში კი ის ერთხელ იყო რომში იმპერატორ ანტონინო პიუსის დროს. თუ როდის მოხდა ეს ჩასვლა, წყაროებში ზუსტად აღნიშნული არაა, მაგრამ დაახლოებით თარიღის დადგენა კი შეიძლება. იმპერატორ ანტონინო პიუსს ცხოვრების ისტორიის ავტორი ჰყვება სხვადასხვა ამბებს, რომლებიც მომხდარა რომში ფარსმანის ჩასვლის პერიოდში და ამასთან დაკავშირებით ასახელებს ორ თარიღს: ახ. წ. 140 და 151 წლებს. ამ წლებს შორის ეს ავტორი სხვა საკითხებთან ერთად წერს იმპერატორის მიერ ფარსმან მეფის მიღებაზე.

მაშ გაუგებრობა საიდან მოდის? გაუგებრობა მოდის ლათინური ტექსტის თარგმანიდან: „ფარსმან მეფე ჩავიდა რომში ანტონინო პიუსთან და მის მიმართ გამოიჩინა მეტი პატივისცემა, ვიდრე ადრიანეს მიმართ“. ან კიდევ: რომში ანტონინომ სტუმრად მიიღო ფარსმან მეფე. „ამ უკანასკნელმა მის მიმართ გამოიჩინა განსხვავებული პატივისცემა, ვიდრე ადრიანეს მიმართ“. აქ მეტი პატივისცემა დაყურადდება ეხება იმას, რომ ფარსმანი ადრიანეს დროს არ ჩავიდა რომში, არამედ ჩავიდა ანტონინოს დროს; ადრიანეს მიპატიყება არ მიიღო, ანტონინოს მიპატიყება კი მიიღო.

ამის შესახებ აკად. გ. მელიქიშვილი წერს: ადრიანე (117-138 წწ.) ცდილობდა იბერიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, მაგრამ ფარსმანი ამაზე არ მიდიოდა. მან უარყო მიწვევა და არ გამოცხადდა იმპერატორთან. ვერც ადრიანესაგან მიღებულმა საჩუქრებმა შეცვალა რაიმე ამ მხრივ. მომდევნო იმპერატორ ანტონინუს პიუსის დროს (138—161) კი ურთიერთობა რომსა და იბერია შორის გაუმჯობესდა, ჩამს, რომის მხრივ შემდგომი დათმობებისა და იბე-

რის ტერიტორიული პრეტენზიების ცნობას შედეგად. ფარსმან II მუღლლით, ვაჟიშვილითა და დიდი ამალით გაემგზავრა რომში, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს... მას ნება დართეს, მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. იმპერატორი დაესწრო ფარსმანის, მისი ძისა და იბერიელი დიდებულების სამხედრო ვარჯიშს, ხოლო დედაქალაქის ერთ-ერთ ტაძარში ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკებაც დადგეს.

## კოლხეთის ურთიერთობა გარე სამყაროსთან და კოლხეთის აკადემია

აქ მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო იმ საერთო ვითარებაზე, რომელმაც მოამზადა საფუძვლები კოლხეთის აკადემიის — კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის — დაარსებისათვის. მაგრამ ვიდრე უშუალოდ კოლხეთის აკადემიის დაარსებასა და მის საქმიანობაზე ვილაპარაკებდე, მინდა ზოგიერთ სხვა საკითხზე შევიჩერდე.

საქართველოსთან დაკავშირებული უძველესი ბერძნული თქმულებებ არგონავტების შესახებ შექმნილი უნდა იყოს ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში — დაახლოებით 1500—1400 წწ. იგი ეხება უშუალოდ ერთ-ერთ ქართულ სამეფოს — კოლხას (კოლხეთს). თქმულება არგონავტებზე საფუძვლად დაედო ბერძენ ავტორთა მთელ რიგ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. მათ შორის აპოლონიოს როდოსელისა (ძვ. წ. III საუკ.) და ვალერიო ფლაკოს (ძვ. წ. I საუკ.) თხზულებებს. თქმულების ძირითადი შინაარსი გადმოცემულია აპოლონიოს როდოსელის თხზულებაში „არგონავტიკა“. მე მის შინაარსზე აქ არ შევიჩერებ.

50 ბერძენი არგონავტი („არგო“ ხომალდის სახელია, აქედან: „არგონავტები“) ჩავიდა კოლხეთში იაზონის მეთაურობით, რათა დაებრუნებინა საბერძნეთში ერთ-ერთი ბერძნული სამეფოს ძლიერების სიმბოლო — ოქროს საწმისი (ოქროსმაცყლიანი ვერძის ტყავი), — საბერძნეთიდან კოლხეთში შემთხვევით მოხვედრილი. იმდროს არსებობდა ძლიერი და მდიდარი კოლხეთის სამეფო. მეფე იყო აიეტი. აიეტების დინასტია საუკუნეების მანძილზე არსებობდა კოლხეთში.

ქართული ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მიერ კარგადაა შეწყვეტილი კოლხეთის სამეფოსა და კოლხეთის კულტურის ისტორია. (იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966; მისივე, ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის სპირიტის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. VI-I ათაწლეულები), თბ., 1974).

კოლხეთის სამეფო (ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ეგრისის სამეფო) იყო ქართული სახელმწიფო დასავლეთ საქართველოში. მეორე და პირველი ათაწლეულების ძველ აღმოსავლურ ძეგლებში დამოწმებულია კოლხურ ტომთა მსხვილი გაერთიანებები. არსებობა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მეცნიერები მიუთითებენ კოლხეთის, კოლხური კულტურის კანკარზე ხმელთაშუა ზღვის კულტურის საწყისებთან და პელაზგთა ეთნოგენეზის საკითხებთან. ეს საკითხები სპეციალურადაა განხილული ქართული მეცნიერების ნაშრომებში. (იხ. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; რ. გორდენიანი, ანტიკური სამყაროს კულტურები ხუთ წიგნად. ნაკვ. I, თბ., 1988; მისივე, „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970).

კოლხეთის ძლიერი სამეფო იხსენიება ძველ აღმოსავლურ წყაროებში ძვ. წ. XII-XI სს-ში. კოლხეთის კულტურის შემქმნელ ტომთა გაერთიანების ძლიერების ხანა აირეკლა არგონავტთა ლაშქრობის შესახებ ძველ ბერძნული თქმულებების ვერსიებში. (იხ. აკ. ურუშაძე, აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1970). ცნობილია კოლხთა სამეფოს წარმატებითი ომები ურარტუსა და დიაუხის სამეფოებთან. დიაუხი, დიაოხი ძვ. წ. XII-VIII სს-ში მდებარეობდა სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე (შემდგომში ტაოს ოლქი).

კოლხთა სამეფოს ძლიერების ხანად მიჩნეულია ძვ. წ. VIII საუკუნე. ამ დროს მან შემოიერთა დიაუხის ჩრდილოეთი ოლქები. ბერძენი მწერლის პომპონიუს მელას ცნობებში ძვ. წ. VIII ს-ში მოხსენიებულია ქალაქი ფაზისი (დღევანდელი ფოთი). შავი ზღვის სანაპიროებზე არსებობდნენ სხვა ქალაქებიც: ბათუმი, ქობულეთ-ფიქენარი, გინოსი, დიოსკურია. VI-V სს-ში ამ ქალაქებთან დაარსდა ბერძნული ფაქტორიები. მათი საშუალებით კოლხეთის სამეფოს აქტიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბერძნულ სამყაროსთან.

შისი სახელი ფართოდ გახდა ცნობილი მთელს ანტიკურ სამყაროში. ამ დროის კოლხეთის სამეფოს ბერძენი მწერალი ჰეროდოტე (ძვ. წ. 484-420) აღმოსაგლეეთის დიდი მონარქიული სახელმწიფოების — მიდიისა და აქემენიდური სპარსეთის გვერდით მოიხსენიებს.

ძვ. წ. VI-IV სს-ში კოლხეთი კვლავ ძლიერი სამეფო იყო. ამ დროს სამეფოს სათავეში იდგნენ მეფეები, ბერძენი მწერლების ცნობით, აიტილებს დინასტიის წარმომადგენლები — კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიტიის შთამომავლები. კოლხეთის სამეფო დაყოფილი იყო ტერიტორიულ ერთეულებად. ერთ-ერთი მათგანი იყო ვანი (ძვ. წ. V-VI სს.). 1973 წელს გამოქვეყნდა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის შესანიშნავი ნაშრომი „ვანის ნაქალაქარი“.

კოლხეთის კულტურა განეკუთვნება გვიანდელ ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანას — ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის I ნახევარს. ეს კულტურა გავრცელებული იყო დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. უმეტესად ცნობილია მაღალი ხარისხის ბრინჯაოს წარმოება და მხატვრული ხელოსნობა. აღმოჩენილია სპილენძ-ბრინჯაოს ნაკეთობათა მრავალრიცხოვანი, ე. წ. მდნობელთა და ლითონის ნივთებით მოუპოვება. ვანდები, სამარისეული ინვენტარი. აქვია ნაპოვნი იმპორტული ნივთებიც, რაც კოლხეთის ფართო საგარეო ვაჭრობაზე მიუთითებს. კოლხეთში არსებობდა ბრინჯაოს ინდუსტრიის ღრმა ტრადიციები და ფერად ლითონთა მრავალი მდიდარი საბადოები. ქართველმა არქეოლოგებმა გათხრების დროს აღმოაჩინეს აურაცხელი სიმღიდრე, ნატიფი, მაღალმხატვრული ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, სხვადასხვა სახის იარაღები.

კოლხეთში ხელოსნური წარმოება მრავალდარგობრივი იყო. აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული; რკინის, ნაკეთობათა მრავალი ნაშთი (ქურები, წიდები, საბერველი მილები და სხვ.); მასიურ ხასიათს ატარებდა კერამიკული წარმოება (ქვევრები, დერგები, ჯამები, სასმისები), მაღალი ტექნოლოგიური თვისებებით, ნატიფი ფორმებითა და მდიდარი გეომეტრიული ორნამენტებით.

კოლხეთი განთქმული იყო ოქროს მოპოვებით (მდინარეული ქვიშიდან), რის გამოც ძველ ბერძნულ მწერლობაში კოლხეთი ცნობილი იყო „ოქრომრავალ“ ქვეყანად. ქართველი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია კოლხური ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები: მჭედური გამოსახულებებით მორთული დიადემები, ნაირსახოვანი სამკაულები და სხვ.

ქრისტიანობა, როგორც ძლიერი ორგანიზაცია უკვე IV ს-ში არსებობდა დასავლეთ საქართველოში. 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონაწილეობდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე ბიჭვინთელი.

ძვ. წ. VI-III სს-ში კოლხეთში არსებობდა ვერცხლის მონეტა — კოლხური თეთრი, რომელიც გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მთელს ანტიკურ სამყაროში განთქმული იყო კოლხური სელის ქსოვილი, რომელიც უგვიპტურსაც კი უწევდა მეტოქეობას. კოლხური კერამიკის ნაწარმი უცხოეთშიც იყო ცნობილი. ათენში აღმოჩენილ წარწერებში მოხსენიებულია კოლხი ოსტატები, რომლებიც ჰაბერძნეთში მოღვაწეობდნენ.

კოლხეთის სამეფოს სავაჭრო გზებისა და ვაჭრობის საქმის ორგანიზაციის მაღალ დონეზე მიუთითებს სტრაბონის (ძვ. წ. 58 წ. — ახ. წ. 25 წ.) ცნობა მდ. ფაზისზე 120 ხიდის არსებობის შესახებ. აგრეთვე ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი პოეტის აპოლონიოს როდოსელის ცნობა: „კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათგან ნაწერი კირბები, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვირა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“. ზოგიერთ მეცნიერს ეს ცნობა კოლხური დამწერლობის არსებობის მოწმობადაც მიაჩნია — შენიშნავს პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე.

რაკი დამწერლობაზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა შევნიშნო შემდეგი: აკად. ივ. ჯავახიშვილი თელიდა, რომ ქართული ანბანი დაახლოებით ძვ. წ. V ს-ში შეიქმნა. ჩვენ, ცხადია, ვიზიარებთ დიდი ქართველი ისტორიკოსის ამ აზრს და მივუთითებთ იმაზეც, რომ ქართლის (იბერიის) პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. IV საუკ. ბოლო და III საუკ. პირველ ნახევარი) „გააუმჯობესა დამწერლობა“. (იხ. ი. ტაბალუა, ფარნავაზ მეფემ „გააუმჯობესა დამწერლობა“, „მნათობი“, 1987 წ. № 9). „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ცნობილია, რომ ფარნავაზის დროს ქართლი, კლარჯეთი და ეგრისის ნაწილი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა. ამ გაერთიანებას უთუოდ ხანგრძლივი პერიოდი უძღოდა წინ. იგივე უნდა ითქვას ქართულ დამწერლობაზეც, რომელიც ამ გაერთიანებამდე არსებობდა.

„ბერძენთა წარმოდგენით კოლხებს დამწერლობა ძველთაგანვე ჰქონდათ“ — წერს პროფ. აკ. ჟურუშაძე. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ ოქროს საწმისზე მოცემული ყოფილა აღწერა იმისა, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით. იმაზეც



შიუთითებენ, რომ კოლხეთში გავრცელებული ყოფილა „ოქროს დამწერლობა“ ანუ, ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა. ლაპარაკია კოლხთა უძველეს დამწერლობაზე. თუ კოლხების მეზობელთ — პელასგებს ჰქონოდათ დამწერლობა, საევირველი არაა კოლხებსაც ჰქონოდათ იგი. არსებობდა კოლხეთის ძლიერი სამეფო, კოლხური მბაღალი კულტურა, კოლხური ენა.

ნიშანდობლივია ის, რომ პირველ ქართულ დამწერლობას გააჩნდა 38 ასო-ნიშანი, ხოლო შემდგომში, კოლხეთის სამეფოს დასუსტებისა და იბერიის სამეფოს გაძლიერების, ფარნავაზის მიერ ქვეყნის გაერთიანების პერიოდში, როდესაც ფარნავაზმა გააუმჯობესა ქართული დამწერლობა, კოლხებისათვის დამახასიათებელი 5 ასო-ნიშანი ჩამოსცილდა ქართულ დამწერლობას (თუმცა ისინი არ დაკარგულან, დღემდე შემონახულია მეგრულში) და დარჩა 33 ასო-ნიშანი, რაც დღეს გვაქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს კოლხეთში მბაღალი კულტურის არსებობასთან და, მაშასადამე, სრული საფუძველი არსებობდა კოლხეთში აკადემიის დაარსებისათვის.

ძვ. წ. I საუკუნეში (65 წ.), პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ, კოლხეთში რომაელები გაბატონდნენ, შემდგომში ისინი ბიზანტიელებმა შეცვალეს. რომაელთა და ბიზანტიელთა გარნიზონები ზღვის სანაპირო ქალაქებში იდგნენ, ქვეყნის სიღრმეში ისინი ნაკლებად შედიოდნენ. კოლხეთს თავისი მეფეები ჰყავდა. ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. კოლხები და ბიზანტიელები ჰაერთო მტრის (სპარსელების) წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ.

საერთოდ, კოლხეთმა, მისმა კულტურამ, „შავგვრემანმა კოლხებმა“ დიდი სახელი გაითქვეს უცხოეთში. „ბერძენ ავტორებს, — წერს პროფ. აკ. ჟრუშაძე, — კოლხები მდიდარი კულტურული წარსულის მქონე ხალხად მიაჩნდათ“. ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი აგათან სქოლასტიკოსი (ახ. წ. VI ს.) წერდა: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ... მე არ მეგულება სხვა ტომი ესოდენ სახელგანთქმული და შორეული (ძლევა მოსილი), როგორც სიმდიდრის სიუხვით და ქვეშევრდომთა სიმრავლით, ისე მიწა-წყლის სიკეთით, მოსავლიანობის სიჭარბით და ზნე-ჩვეულებათა სიმწყობრით და დახვეწილობით“.

აღბათ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ბერძნებმა, როდესაც პირველად გაიცნეს კოლხები, მათი მაღალი კულტურა, მათი საქმიანობა, მათ „დემიურგ“-ები — შემოქმედნი (შემქმნელნი) უწოდეს მათ. აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველ ტომებს მათვე უწოდეს „გეორგია“-ნები — მიწის დამმუშავებლები, მიწათმოქმედნი.

დემიურგი (დემიურგოს) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შემოქმედს, შექმნელს. საბერძნეთში დემიურგი იყო თავისუფალი ხელოსანი, ოსტატი, მხატვარი, მომუშავე, მშრომელი. მიწათმოკლბელი არისტოკრატიული ფენისაგან განსხვავებით, დემიურგებს უწოდებდნენ მოსახლეობის ვაჭარ-ხელოსანთა წრეებს, თავისუფალი პროფესიის ადამიანებს — პოეტებს, მომღერლებს, ოსტატ-ხელოსნებს, ექიმებს, შემომქმედთ.

ახ. წ. I-II სს. მიჯნაზე შეიქმნა ეგრისის სამეფო. მან IV საუკუნეში გააერთიანა მთელი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია. კოლხეთის კულტურა კვლავ აღორძინებას განიცდიდა. ამ დროს შეიქმნა და მოღვაწეობდა კოლხეთის აკადემია.

კოლხეთის აკადემია — კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა არსებობდა ქალაქ ფაზისის (ახლანდელი ფოთი) მახლობლად. (იხ. ს. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975). კოლხეთის აკადემიის არსებობაზე ერთადერთი პირდაპირი ცნობა გვაქვს. იგი მოხსენიებულია ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის თემისტოსის ერთ-ერთ წერილში, რომლის შინაარსი მის ლექციაში შევიდა და, სადაც დასტურდება ამ აკადემიის არსებობა. მხოლოდ ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ როდის დააარსდა ის და როდის დაიხურა.

თემისტოსმა (ცხოვრობდა 317-388 წწ.), დაამთავრა ეს აკადემია. მისივე სიტყვებით, მამამისსაც — ეგგენოსს — რიტორიკული განათლება იქ მიუღია. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ეს აკადემია III საუკუნეშიც არსებობდა, ხოლო როგორც სხვა მასალებიდან დასტურდება, თემისტოსის შემდეგ ამ აკადემიას არანაკლებ ორი საუკუნე უარსებდა. ამ ეპოქის დასასაბუთებლად ვიშანიკა კოლხეთის მეფე გუბაზ II-ის მიერ სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის წინ თავისი ლაშქრისადმი მიმართვის შინაარსი; აიეტისა და ფარტაზის ბრწყინვალე ორატორული სიტყვები, წარმოთქმული მეფე გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ხეობაში კოლხი დიდებულებს შეკრებაზე და ასევე, გუბაზის მკვლელთა სასამართლოზე ერთ-ერთი კოლხი წარჩინებულის საბრალმდებო სიტ-

ყვა (555 წ.), ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ მათ განათლება მიღებული ჰქონდათ კოლხეთის აკადემიაში.

თუ სად მღებარეობდა ეს აკადემია, ზუსტად არ ვიცით. თემისტიოსი ამბობს „ფაზისის მახლობლად“ და უკავშირებს არგონავტების ლაშქრობას. არგონავტების ლაშქრობა კი დაკავშირებულია ქ. ფაზისთან (ფოთთან). მაგრამ ისეა მართე კითხვა: დღევანდელი ფოთი მღებარეობს იმ ადგილას, სადაც მღებარეობდა ძველი ფაზისი? ამაზე გადაწყვეტი პასუხი არქეოლოგებს ეკუთვნით.

345 წელს თემისტიოსმა დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა, ლექციების კითხვა. თავის ერთ-ერთ ლექციაში იგი ეხება ფაზისის აკადემიას. ეს მოხდა სრულიად შემთხვევით ერთ-ერთი ლექციის შემდეგ ერთმა ახალგაზრდამ მას წერილი მოსწერა და სთხოვა დახმარებოდა, რომ განათლება სადმე ცენტრში, ვთქვათ, კონსტანტინოპოლში მიეღო. თემისტიოსმა მას წერილით უპასუხა. მისი ეს პასუხი ბერძნულიდან თარგმნა აკადემიკოსმა სიზონ ყაუზჩიშვილმა. აი ეს თარგმანიც: „მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდა, რიტორიკის ნაყოფი მოგწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩემი ადგილია. არა წყნარ და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც თესალიიდან წამოსულმა არგომ დაისადგურა, რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ, — და ცამ იგი აღიჭარა იქ, სადაც (ცნობილია) თერმოდონტი, ამდონთ (საომარი) საქმეები და თემისკვირი. და აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სწავლით გახადეს ელინური და აქციეს მუხებთან ტაძრად, იმ ერთმა კაცმა, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისარტ ტყორცნას და ოროლთ სროლას ან ჯირბოს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისა და მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდეს ვლინთა დღეობებზე. მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი ვახდება ახლავე, თუ დაძქენ შეძღვესაც. იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე იქ გამგზავნა ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ სრულიად დაკვმო ის იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებს ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული“.

ამავე დროს თემისტიოსი ეუბნება ამ ახალგაზრდას, რომ არ არის საჭირო შინაცდამინც კონსტანტინოპოლში წახვიდე და იქ

შილო განათლება. არის სხვა ადგილიც, თუმცა აქედან შორს, კოლხეთში, „ფაზისის მახლობლად“ (ბერძნულად: „პლესიონ ფასიდის“). იქ, სადაც ძალიან ფასობს ჭირითი, შეჭიბრება და იმავე დროს ფასობს ორატორული ხელოვნება.

თუ „ბარბაროსული და პირქუში ადგილი“ — ფაზისის მიდამოები კოლხეთში, „მუზების ტაძრად გადაიქცა“, ელინურ სამყაროში სახელგანთქმულ კერად იქცა, როგორც თემისტოისი ამბობს, ამას შრავალი წელი დასჭირდებოდა.

ბერძენმა მწერალმა ფლავიო არიანემ (ახ. წ. მე-2 საუკ.), შემოგვინახა მნიშვნელოვანი ცნობა ფაზისში კულტურის სხვა კერის არსებობის შესახებ. იგი წერს: „ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქალღმერთი ფასიანეს ქანდაკება. გარეგნობით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს. თვითონ სავარძელში ზის, ზოლო მისი სავარძლის გვერდით წვანან ლომები“. ფლავიო არიანე განაგრძობს: ფაზისში უჩვენებენ არგოს რკინის ღუზას. აქვე მისთვის უჩვენებიათ ქვის ძველი ღუზის ნატეხი.

„არგონაუტიკის“ ავტორის აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. 295-230) სქოლიასტი (სქოლიოების ავტორი) ტიმონაქე შენიშნავს, რომ ქალაქ აიაში უჩვენებდნენ გიმნასიებს, მედეას თალამოსს, იაზონის ტაძარს და სხვა სალოცავებს. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ძველ კოლხეთში ყოფილა კულტურის მნიშვნელოვანი კერები.

ფაზისის აკადემიის შესახებ თემისტოისის სიტყვებთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „თემისტეს სიტყვებიდან ჩანს, რომ სწავლა-განათლების ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და, თუ მას დავუჯერებთ, ქვეყანა ელინურ კულტურისა და „მუზათა სადგურად“ უქცევია.

და ბოლოს, 1974 წლის 29 ივნისს ფოთში შედგა ფაზისის სახალხო აკადემიის დამფუძნებელი კრება, რომელსაც ესწრებოდნენ აკადემიკოსები: შ. ამირანაშვილი, ე. ფიფია, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია; აკადემიის წევრ-კორესპოდენტები: ა. აფაქიძე, კ. ბარამიძე; პროფესორები: ს. ბოკუჩავა, ნ. დანელია, მ. ლორთქიფანიძე, ი. მირცხულავა, გ. ზერავია, ი. ტაბალუა, მ. ცერცვაძე; ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დამსწრეებს მიესალმა ქ. ფოთის მაშინდელი ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ლაკია. მოხსენებით გამოვიდა ა. აფაქიძე. კრებამ ფაზისის სახალხო აკადემიის პრეზიდენტად აირჩია აკად. გ. ჩიტაია. ქ. ფოთის შემდგომმა ხელმძღვანელობამ — ბატონმა ბაკურ გულუამ, მშვენიერი ცალკე შენობა აუგო

აკადემიას. აქ ლექციების წასაკითხად ჩადიოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, ასევე უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები: ლუიჯი მაგაროტო ვენეციის უნივერსიტეტიდან, შაბიერ კინტანა ბილბაოს უნივერსიტეტიდან და სხვ.

აკად. გ. ჩიტაის გარდაცვალების შემდეგ (1986 წ.), ფაზისის სახალხო აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს პროფ. ილია ტაბალუა.

## კეთევან დედოფალი

თეიმურაზ მეფის დესპანი შაჰ აბას I-თან

ქეთევან აშოთან ბაგრატიონ მუხრანბატონის ასული დაიბადა 1572 წელს; 16 წლის (1588 წელს) ქეთევანი ცოლად შერთეს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ერთ-ერთ ვაჟიშვილს — დავითს. 1589 წელს მათ შეეძინათ ვაჟიშვილი, რომელსაც თეოფილე (თეიმურაზი) დაარქვეს. 1601 წლის ოქტომბერში დავითმა მამამისს ტახტი წაართვა და ერთხანს იმეფა, მაგრამ 1602 წლის 2 ოქტომბერს გარდაიცვალა და ალექსანდრე კვლავ დაუბრუნდა სამეფო ტახტს. ამ დროს ახალგაზრდა თეიმურაზი ისფაჰანში იყო, შაჰის სასახლის კარზე.

როდესაც 1605 წლის მარტში, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ (ალექსანდრე II-ის უფროსმა შვილმა, რომელიც შაჰ აბას I-თან იზრდებოდა და მაჰმადიანობა მიღებული ჰქონდა) დახოცა მამა და ძმა (ალექსანდრე და გიორგი) ქეთევან დედოფალი სათავეში ჩაუდგა კახთა ანტიოსპარსულ ბრძოლას და დაამარცხა კონსტანტინე. კონსტანტინე ამ ბრძოლაში მოკვდა.

1606 წელს, ქეთევან დედოფლისა და კახელ დიდებულთა თხოვნით, შაჰ აბასმა თეიმურაზი დაამტკიცა კახეთის მეფედ. რამდენადაც თეიმურაზი ჯერ ახალგაზრდა იყო, ქვეყანას დედა და შვილი ერთად მართავდნენ.

მე აქ შეგჩერდები ქეთევან დედოფლის მხოლოდ ერთ დიპლომატიურ მიზნაზე, სადაც ჩანს მისი მაღალი განათლება და გონიერება.



XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოში იყო მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა. თურქი და სპარსელი მოძალადეები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ ქართველ ხალხს. დონ ფრანდრეუ წერს: საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საუკუნეების განმავლობაში იყო განხეთქილების ვაშლი ორი დიდი სახელმწიფოს — თურქეთსა და სპარსეთს შორის დავაში,

საქართველოს მათ ალყა შემოარტყეს და მასზე ზეგავლენას ახდენდნენ“, მაგრამ ქართველები გამირულად იცავდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას და ქრისტიანულ სარწმუნოებას. ქართველი ხალხის ამ ბრძოლას ხელს უშლიდა ქვეყნის დაქუცმაცება, სამეფო-სამთავროებად დაყოფა და ქვეყნის შიგნით არსებული წინააღმდეგობები, ამით სარგებლობდნენ უცხოელი დამპყრობლები.

„1577 წელს, — განაგრძობს ღონ ფ. ანდრეუ, — თურქებმა საბოლოოდ შეძლეს შეჭრილიყვნენ დასავლეთ საქართველოში და დაემორჩილებინათ ნახევარმთავარის ხელისუფლებისათვის უმთავრესად სამცხეს პროვინცია, რომელიც უფრო გვიან, 1625 წელს საფარ ფაშას დროს იძულებული გახდა, მიეღო მაჰმადიანობა და დღემდე ასეთად რჩება“.

თავის მხრივ, არც შაჰ აბას I-ის (1587-1629 წწ). მოქმედება იყო ნაკლებად მკაცრი ქართველების მიმართ. 1613 წლის შემოდგომაზე იგი თავისი დიდძალი ჯარით დაიძრა საქართველოსაკენ, გაიარა არდებილი, ყარაბაღი, მიუახლოვდა საქართველოს საზღვრებს და განჯაში დაბანაკდა. ქართველები სასწრაფოდ შეუდგნენ მზადებას, მაგრამ სპარსელები რიცხობრივად ბევრად მეტნი იყვნენ, კახეთისა და ქართლის ახალგაზრდა მეფეებს — თეიმურაზ I-ს და ლუარსაბ II-ს არ გააჩნდათ ისეთი ძალები, რომლებიც სათანადო წინააღმდეგობას გაუწევდნენ მოძალადეებს და დაიცავდნენ სამშობლოს.

თეიმურაზ მუთემ სახელმწიფო საბჭოს რჩევით გადაწყვიტა, შაჰ აბასთან გაეგზავნა საგანგებო ელჩობა — საკუთარი დედა ქეთევან დედოფალი, რათა ეთხოვა მისთვის, შეეჩერებინა საქართველოს განადგურების მიზნით წამოწყებული ლაშქრობა.

მისიონერი ღონ კლემენტე გალანო წერდა: „რათა სპარსეთის შაჰი დაეშოშინებინა და ჩაეყენებინა წინანდელ მდგომარეობაში, გაელვძიებინა კეთილგონიერება, თეიმურაზმა მასთან ქომაგად გაგზავნა თავისი დედა, რომელიც გამოირჩეოდა სილამაზით, კეთილგონიერებით და სულგრძელობით. ჰპირდებოდა რა თეიმურაზი შაჰს, რომ შემდგომში დაიცავდა მისდამი პატივისცემას“, ქეთევან დედოფალს ერთი თავისი ვაჟიშვილი ლევანი, მერე მეორეც (ალექსანდრე) გაუგზავნა.

თავისი შვილიშვილით და მცირე ამალით ქეთევან დედოფალმა სწრაფად გასწია შაჰისაკენ, რომელიც უკვე განჯაში იყო. წარდგა რა იგი შაჰის წინაშე, მის საველე კარავში, აცრემლებული დედო-

ფალი შაჰს სთხოვდა, ეპატრივებინა თეიმურაზისათვის შეცდომა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ თეიმურაზმა შაჰის ნებართვის გარეშე ცოლად შეირთო ლუარსაბ II-ის და, რომელიც თვითონ შაჰს უნდოდა ცოლად, თუმცა ლუარსაბის ერთი და უკვე ჰყავდა მას ცოლად.

იტალიელი თეატინელი მისიონერის დონ არკანჯელო ლამბერტის სიტყვებით, ქეთევან დედოფალი წარსდგა შაჰ აბასის წინაშე ატირებული იმ გრძობით, რომელიც შეუძია მხურვალედ შეყვარებული დედის გულს ჰქონდეს, უბედურებაში ჩაჯარდნილი შვილის გადასარჩენად...“

„ქეთევან დედოფალი, — წერს პორტუგალიელი მისიონერი ამბროსიო დუშ ანჟუში, — იყო არანაკლები მამაცი, ვიდრე რომელიც მხედართმთავრის კორიოლანუსის დედა ვიტორია, რომელმაც გასწრა რა რომისაკენ ქალაქის გადასარჩენად, დაიმსახურა განსაკუთრებული ქება დიდი რისკის გამო, რამდენადაც რომის გადასარჩენად მისული ვიტორია იყო რომელთა ულჩი საკუთარ შვილთან. რომელთა მიერ შეურაცხყოფილი კორიოლანუსი, რომელიც თავისი ქალაქის — რომის გასანადგურებლად მივიდა და დაინახა რა დედამისის გახსნილი მკერდი, რომლითაც თვითონ იკვებებოდა, დედამისს შესძახა: „დაამხე და გაიმარჯვე!“ და თავისი ჯარი უკან მიაბრუნა“.

ქეთევან დედოფალი კი თავისმა საყვარელმა შვილმა თეიმურაზ მეფემ დესპანად გაგზავნა ისეთ სასტიკ და შეუბრალებელ პიროვნებასთან, როგორც იყო შაჰ აბას პირველი, რომლის სიმხეცე კიდევ უფრო ამკარა გახდა, როდესაც 1624 წლის 22 სექტემბერს, მისი განკარგულებით ქეთევან დედოფალს გეგარვარებული მამებით ძუძუები დაგლიჯეს და უსასტიკესი წამებით სული ამოხადეს.

ქეთევან დედოფალი წარსდგა შაჰის წინაშე. მან იგი დედოფლისათვის შესაფერისი პატივით მიიღო. ქეთევან დედოფალი მას, როგორც დიდ მბრძანებელს, ღირსეულად მიესალმა. მაშინ არჩეული წესის თანახმად შეაქო და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სპარსელთა უძლიერესო და მოწყალეო ხელმწიფევე! მოგედი რა თქვენთან, ვერ გავბედე დაემხობილიყავ თქვენს ფერხთან, ვინაიდან მეტად დიდია ჩემი მორიდება თქვენი სასტიკად აღშფოთების გამო. მაგრამ ვიცი რა თქვენო უდიდებულესობავ, რამდენად მოწყალეც ბრძანდებით უდიდესი მოღალატის მიმართაც კი, მე გადავწყვიტე, მოვკაულიყავი თქვენთან მთელი ჩემი რწმენით და არანაკლები იმედით.



დიახ, ხელმწიფევე, დამნაშავეა შვილი ჩემი. მან დაარღვია ბრძანება მიცემული იმდენად დიდი მონარქის მიერ. მან გადააბიჯა ზღვარს, რობელიც ურღვევად უნდა დაეცვა. მისი სახელით მე ვაღიარებ ჩადენილ დანაშაულს და ამავე დროს თქვენს უდიდებულესობას პატიებას ვთხოვ.

ხელმწიფევი! თქვენი შეურაცხყოფა ხომ გამოწვეული იყო მხოლოდ გრძობით, სიყვარულით, რომელსაც საზღვარი არ გააჩნია. მეფის ასულს, ქალიშვილს სილამაზემ დაუქარგა მას გონება იმდენად, რომ უკვე ველარ ფლობდა თავს და ჩაიდინა თქვენს მიმართ უმძიმესი დანაშაული ისე, რომ თვითონაც არ იცოდა რას ჩადიოდა. ახლა კი იგი ტირის აცრემლებული, მაგრამ საშუალება არ გააჩნია გამოასწოროს ჩადენილი დანაშაული მკაცრი კანონის არსებობის გამო და ამ დანაშაულს გრძობს იგი მწარე ტყვილით.

თქვენო უდიდებულესობავ! დიდ ადამიანთა ჩვეულებაა პატიება.

ხელმწიფევი! ჩემი შვილი თეიმურაზი, მისი ვაჟიშვილები, მე თვითონ, მისი სამეფოს ყველა თავადი და დიდებული, მისი ქვეშევრდომები, თქვენი უდიდებულესობის ერთგული მსახურნი ვართ, გესურდა და გესურს რა თქვენი დიდების ნათება და სამეფოს ძლიერება, ჩვენ თქვენთვის არასოდეს არ გვითქვამს უარი ზარკზე, ყოველთვის კეთილსინდისიერად ვიხდით მას და მომავალშიც გადავიხდით. ასევე ყოველთვის ვცდილობდით მონაწილეობა მიგვეღოთ ომში, რომელსაც თურქეთის წინააღმდეგ თქვენ ეწეოდით.

აი რატომ არის, რომ ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ მეტად გოცებულნი ვართ, რომ თქვენმა უდიდებულესობამ ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარი წარმართა ჩვენს წინააღმდეგ, სურს რა გაანადგუროს და მოსპოს ჩვენი ქვეყანა მაშინ, როდესაც ჩვენ თქვენი უდიდებულესობის ერთგული მეგობრები ვართ. ჩვენთვის გაუგებარია თქვენნი ასეთი მრისხანების მიზეზი, რამდენადაც ჩვენ არავითარი ისეთი დანაშაული არ ჩაგვიდენია თქვენს წინაშე.

თქვენო უდიდებულესობავ! კახეთი უკვე კახეთი აღარაა: მოსახლეობის ერთი ნაწილი გამოქვაბულებში დაიმალა, ზოგი ციციბო კლდეზე ავიდა. ყველას თქვენი დამსჯელი მარჯვენის ეშინია. მაგრამ მე, ჩემი შვილის სახელით, ყველას სახელით, მოვედი თქვენთან პატიების საძებნელად.

ხელმწიფევი! შეხედეთ, თქვენს ფერხთან ორი უდანაშაულო მსხვერპლია — ორი ყველაზე ძვირფასი არსება, რაც გააჩნია ჩემს შვილს ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში. ურღვევი ერთგულების ნიშნად, თქვენ გაბარებთ იგი თავის შვილებს და გვედრებათ თავისი წინდაუხედავი ნაბიჯის შეწყნარებას.

მბრძანებლო! თქვენმა უდიდებულესობამ შესანიშნავად იცის, რომ მეფეებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ არა მარტო ძალაუფლება, არამედ სამართლიანობა. თქვენს უდიდებულესობას ეს ახსოვდა მმართველობის პირველ წლებში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ახლაც და მომავალშიც ანგარიშს გაუწევთ ამას.

დიდო მბრძანებლო! დააცხრეთ თქვენი მრისხანება. ზომიერად იმოქმედეთ ჩვენს მიმართ. შეაჩერეთ და შესცვალეთ თქვენი გადაწყვეტალება ჩვენს მიმართ: მოგვეცით საშუალება ვშვიდობიანად და სულიერი ჰიმნებით ვიცხოვროთ.

ხელმწიფე! თქვენი მსახური, ჩემი შვილი თეიმურაზი, უმორჩილესად თხოვს თქვენს უდიდებულესობას ამას, მისი დედის — ჩემი გულსათვის და მისი ვაჟიშვილების — ამ ორი უმანკო ყმაწვილის გულსათვის. მთელი ჩვენი სამეფო თხოვს ამას თქვენს უდიდებულესობას და ეს არის თქვენს წინაშე ჩემი შუამდგომლობის ერთადერთი მიზეზი.

ვიმედოვნებ, რომ თქვენი უდიდებულესობა არ ისურვებს ჩემი მისია უმედვად დამთავრდეს. თქვენი კეთილშობილი უდიდებულესობა ნებას დამრთავს დაგბრუნდე ჩემს შვილთან და ჩემს ხალხთან მათთვის მეტად სასურველი ზაერთ, რისთვისაც ისინი საუკუნოებრივ ქება-დიდებას შეასხამენ თქვენი უდიდებულესობის კეთილშობილურებას, სამართლიანობას და კეთილშობილებას“.

„აქ, — წერს დონ ბ. ფერო, — მშვენიერ დედოფალს ზმა ჩაუწყადა, აღარ შეეძლო განეგრძო ლაპარაკი, მას ცრემლები ახრჩობდა, რომელიც ნიაღვარივით ჩამოდიოდა. უკვე დამუნჯებული დედოფალი, მოწყალების მიღების იმედით შეჰყურებდა შაჰს. მისი ასეთი ტანჯვა და ორი პატარა ბიჭის ცრემლები, ქებასაც კი გასტეხავდა. ასეთი სურათის შემყურე ადამიანის გულიდან უნდა ამოეხეთქა დიდსულოვან პატიებას“. მაგრამ ვაი, რომ ქეთევან დედოფლისა და ამ ორი უმანკო ბავშვის წინაშე არც ადამიანი იყო და არც ადამიანის გული.

მათ წინაშე იდგა ქართველი ხალხის სისხლით გაუმადლარი ტირანია. მორალურად გახრწნილი შაჰი ამ დროს სულ სხვა აზრებში იყო გართული. იგი დიდი სიამოვნებით უყურებდა თეიმურაზ მეფის მშვენიერ დესპანს, რომლის სილამაზის ქება-დიდებაზე ხეებმა სპარსეთშიც შეაღწია და შაჰი დიდი ხანია მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა, ხოლო ახლა დაინახა რა საკუთარი თვალთ დედოფალი, იგი მისმა სილამაზემ იმდენად შეიპყრო, რომ უსიცივილოდ შესთავაზა დამორჩილებოდა მის წამხდარ, აულაგმავ ვნებას.

„დედოფალმა, — წერს დონ არკანჯელო ლამბერტი, — რომ-

ლოს პატრიოსნება და უმწიკვლობა შეიძლებოდა შეგვედარებინა კიდობანიდან ამოფრენილ ქათქათა თეთრპერანგიან გვრიტთან, რომელმაც არ ისურვა დასასვენებლად დამჯდარიყო ლეშზე, რათა არ დასვრილიყო, მოიკრიფა ძალა და გონების დაკარგვის გარეშე, შაჰის უხამს წინადადებებზე მტკიცე უარით უპასუხა“.

მისიონერი დონ კლემენტე გალანო წერდა: „როგორც კი ქეთევან დედოფალი წარსდგა შაჰ აბასის წინაშე, შაჰს გული აენტო. სიყვარულითა და ბიწიერებით დამთვრალი იგი ყოველმხრივ შეეცადა დაეყოლებინა უწმიდესი ქრისტეანი ქალბატონი სასირცხვილო და უნამუსო განდგომაზე, როგორც პირფერობით, ისევე მუქარით, პირდებოდა რა მას სამეფო გვირგვინს, ემუქრებოდა დასჯით და სიკვდილით, მაგრამ შაჰი აწყდებოდა უმწიკვლოებას და რწმენისადმი სიმტკიცეს“.

ქეთევან დედოფლის ცივმა და მტკიცე უარმა შაჰი აღაშფოთა, მაგრამ თავისი მძინვარება დამალა და ქეთევან დედოფალს ჰკითხა: „რატომ არ გამოცხადდა ჩემთან თქვენი ბრწყინვალეების შვილი თეიმურაზი?“ დედოფალმა მაშინვე უპასუხა: „თეიმურაზმა ეს თქვენი უდიდებულესობის მრისხანების შიშით გააკეთა, მაგრამ რომ ეჩვენებინა, თუ რამედნად მალა აყენებს თქვენი მეფობის სიძლიერეს და იმის დასამტკიცებლად, რომ ამიერიდან არასოდეს არ ჩაიდენს მსგავს დანაშაულს, თეიმურაზი თავისი ერთგულების საწინდრად თქვენს უდიდებულესობას აძლევს ყველაზე ძვირფასს, რაც კი მას გააჩნია თავის ცხოვრებაში: თავის საკუთარ დედნსა და თავისი საკუთარი შვილების სიცოცხლეს“.

შაჰი გაჩუმდა, ჩაფიქრდა. მასში კიდევ უფრო აინთო რისხვა თეიმურაზისა და შეუღდრეკელი ქეთევან დედოფლის მიმართ, მაგრამ დედოფლის ყოველმხრივ გამართულმა და დასაბუთებულმა სიტყვებმა მაშინვე პასუხის გაცემა გაუძნელა მას. შაჰმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე თვალთმაქცური და მოსატყუებელი სიტყვა უთხრა დედოფალს და იგი თავისი შვილიშვილებით და ამალით, ვითომც საქართველოსკენ გაისტუმრა, მაგრამ მალე მათ მხედრები დაადევნა, ისინი დააპატიმრეს და შაჰის განკარგულებით სპარსეთში გაგზავნეს.

დედოფალს შვილიშვილები მაშინვე ჩამოაცილეს, ბავშვებს მას არ აჩვენებდნენ. განჯიდან წაყვანილნი, ჯერ ისინი აშრაფში ჩაიყვანეს, იქიდან — ისფაჰანში და ბოლოს, 1617 წლის სექტემბერში — ქალაქ შირაზში. შვილიშვილებიც შირაზში ჰყავდათ, მაგრამ დედოფალს არ აჩვენებდნენ.

1620 წელს, შაჰის განკარგულებით თეიმურაზის ვაჟიშვილები დასაქურდისეს, რის შედეგადაც ერთი მოკვდა, ხოლო მეორე კკულიდან შეიშალა. ქეთევან დედოფალი კი, იმავე შაჰის ბრძანებით, 1624 წლის 22 სექტემბერს შირაზში წამებით მოკლეს. მან უარი თქვა გამაჰმადიანებაზე. ამას მან წამებით სიკვდილი ამჯობინა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „სამშობლო, ქრისტე“. საქართველოს ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. მის თავგადასავალსა და მის შოწამებობრივ სიკვდილზე ბევრი დაიწერა (ამბროსიო დუმ ანკუში, მ. თამარაშვილი, რ. გულბენკიანი, კ. ალონსო, ი. ტაბალუა, ლ. სანიკიძე და სხვ.).

## ნიკიფორე ირბახის ელჩობა ევროპაში

ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი ნიკიფორე ირბახი დაიბადა კახეთში დაახლოებით 1585 წელს, გარდაიცვალა სამეგრელოში 1658 წელს. თუ სად მიიღო მან განათლება, ზუსტად არაა ცნობილი, მაგრამ საფარაუდებელია, რომ მას განათლება მიუღო სინას მთაზე და იერუსალიმში.

ქართულ ენციკლოპედიაში (ტ. 11, გვ. 147) აღნიშნულია, რომ მან განათლება მიიღო რომში. თურმე იგი 8 წლისა ყოფილა, როცა სასწავლებლად რომში გაუგზავნიათ, იქ რომის ბერძნული კოლეჯი დაუმთავრებია, ბერადაც იქ აღკვეცილა და დაახლოებით 1608 წელს საქართველოში დაბრუნებულა. აქ რამდენი წინადადებაა, იმდენი გაუგებრობაა:

8 წლის ბავშვი ეინ გაგზავნა ან ვინ წაიყვანა ასე შორს — რომში? ალბათ, ძიძაც წაპყვებოდა. თუ 1585 წელს დაიბადა, 8 წლისა, 1593 წელს წასულა რომში და, თუ 1608 წელს დაბრუნდა, მაშინ 15 წელი ყოფილა რომში; თუ ბერადაც იქ აღიკვეცა, მაშინ კათოლიკობაც იქ მიუღია.

სინამდვილეში კი რა გვაქვს? ნიკიფორე ირბახი ახალგაზრდობისას არ ყოფილა რომში. მას 15 წელი კი არა, 5 წელიც რომ ესწავლა რომში, ბრწყინვალედ ეცოდინებოდა იტალიური და ფრანგული ენები. ეს ენები მან არ იცოდა. იგი იტალიაში რომ ჩავიდა, თარჯიმანი ახლდა. საერთოდ, ჰალაპარაკოდ მან ბერძნული ენა იცოდა. ეს ენა მას შეეძლო იერუსალიმში შეესწავლა. რაც შეეხება ბერადაც აღკვეცას, მას კათოლიკობის მიღებას მაშინ უფრო შესთავაზებდნენ, ვიდრე ახლა, 1628 წელს რომში რომ ჩავიდა და ბოლოს, 15 წელი რომში ნასწავლი და ნამყოფი კაცი. უცხო პიროვნება არ იქნებოდა ვატიკანისთვის, როგორც ეს აღმოჩნდა 1628 წელს.

ჩემი აზრით, ნიკიფორეს ცხოვრება უფრო დაკავშირებული იყო იერუსალიმთან და ბერძნული ენაც იქ შეეძლო ესწავლა.

1626 წლის ნოემბერში მეფე თეიმურაზ I-მა ნიკიფორე ელჩად გაგზავნა ევროპაში. იგი უნდა ჩასულიყო ჯერ რომში და მერე — მადრიდში. მას მიჰქონდა თეიმურაზ მეფის წერილები რომის პაპ-ურბან VIII-სთან და ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სთან. მას ასევე

უნდა ენახა იტალიის პროვინციების ზოგიერთი მთავარი. მას უფლებ-  
ა ჰქონდა. ემკზანერა ევროპის სხვა ქვეყნებშიც და თეიმურაზის სა-  
ხელათ იქ წარმადგარიყო სათანადო პირებთან.

როდისაც ვეხებით ნიკიფორეს ამ მოგზაურობას და მის მოქმე-  
დებას, ბევრ გაუგებრობასა და ურთიერთ საწინააღმდეგო ამბებთან  
გვაჩანს საქმე. ამას გამბობ მე იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომ-  
ლებსაც ვავეცანი ევროპის (რომი, მადრიდი) არქივებში.

როდის გაგზავნა იგი თეიმურაზმა ევროპაში? 1625 თუ 1626  
წელს? ზემოხსენებული ქართული ენციკლოპედიის მიხედვით. იგი  
ევროპაში წასულა 1625 წელს. თუ ეს სწორია. მას როგორ ჰქონდა  
ხელთ, თეიმურაზის მიერ 1626 წლის ნოემბერში ხელმოწერილი წე-  
რილიბი?

ამრიგად. იგი ევროპაში წაიდა 1626 წელს. მაგრამ რომელ  
თვის? მე ხელთ მაქვს ის წერილები (ლათინური, იტალიური და  
ესპანური თარგმანებით), რომლებიც ნიკიფორეს მიჰქონდა. ერთი,  
ქართულ ენაზე დაწერილი წერილი ასე მთარგმნდება: „დაიწერა ეპის-  
ტოლზე ესე თუთისა ნოემბერსა ოცსა ჩუეყანასა ქართლისასა“. აქ  
წილი არ აწირია. ამ წერილის ლათინური თარგმანის ბოლოს წერია:  
„ქართლიდან. 1626 წლის 20 ნოემბერი“.

ესპანეთის მეფისადმი მიწერილი თეიმურაზის წერილი ასე მთარ-  
გმნდება: „დაიწერა ხარტი ესე თუთისა ნოემბერსა ოცსა“, მაგრამ აქ  
წელი არაა აღნიშნული. ხოლო ამ წერილის ესპანური თარგმანის  
ბოლოში წერია: „დაწერილია ქართლში, 1625 წლის 29 ნოემბერს“.

როგორ გაიგოთ ყოველივე ეს? ბოლოს და ბოლოს, როდის  
დაიწერა ეს წერილები?

ნიკიფორის ასევე მიჰქონდა იერუსალიმის პატრიარქის თეოფა-  
ნეს სარეკომენდაციო წერილი ბერძნულ ენაზე. ჩვენ ეს წერილიც  
გვაჩანს. პატრიარქის ეს წერილი დაწერილია 1626 წლის 1 სექ-  
ტემბერს. მაშინ, გამოდის. რომ 1626 წლის 1 სექტემბერს ნიკიფო-  
რე იერუსალიმში იყო. იერუსალიმიდან ქართლში დაბრუნდა და 20  
თუ 29 ნოემბერს ხელმოწერილი წერილები მიიღო თეიმურაზ მეფე-  
საგან?

ჯერ-ერთი, იერუსალიმის პატრიარქის სარეკომენდაციო წერი-  
ლის მიხედვით, ჩანს, რომ ნიკიფორეს უკვე ჰქონდა თან თეიმურა-  
ზის წერილი, როდესაც იერუსალიმის პატრიარქი მესთვის სარეკო-  
მენდაციო წერილს წერდა და მეორე, თუ ნიკიფორე 1626 წლის  
20 თუ 29 ნოემბერს ქართლში იყო, იმავე წლის 2 დეკემბრი-  
შათვის როგორ ჩავიდა ქალაქ მესინაში (სიცილია)? ხოლო 1626

წლის 2 დეკემბრისათვის მისი ჩასვლა მესინაში — ეს უტყუარი ფაქტია. იგი დასტურდება ზუსტი საარქივო წყაროებით.

თუ დავუშვებთ, რომ თეიმურაზის წერილი დაიწერა არა 1626 წლის ნოემბერში, არამედ 1625 წლის ნოემბერში, მაშინ გააოღის, რომ ნიკიფორე მთელი ერთი წლის განმავლობაში თან ატარებდა თეიმურაზის წერილებს. ამასთანავე, თეიმურაზის მიერ ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სადმი მიწერილი წერილი დიდი ზომისაა და მისი ტარება არც ისე ადვილი საქმე იყო იმ პერიოდში თურქეთის ტერიტორიაზე ყველაფერს უსინჯავდნენ მგზავრებს. ეს წერილი, რომელიც სხვადასხვა ფერის მელნებითაა დაწერილი, ამჟამად ინახება ესპანეთში — სიმანკას არქივში და მხოლოდ ორადეა გაყეცილი. მას არ ამჩნევია, რომ იგი დიდი ხნით ხელით ნატარებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, მე მივდივარ შემდეგ დასკვნამდე: ნიკიფორე ზოგჯერ თვითონ აღგენდა და წერდა ამ წერილებს, თვითონვე აწერდა ხელს თეიმურაზის მაგიერ. ამიტომაც, რომ თარიღები არც არის. ნიშანდობლივია ისიც, რომ წერილების ბოლოს თეიმურაზის ბეჭედი ისეა დასმული, რომ ცუდად იკითხება. ან კიდევ, ქალაქები, რომლებზეც დაწერილია ეს წერილები, მეტადრე ესპანეთის მეფის სახელზე შედგენილი წერილი დაწერილია ისეთ ქალაქზე, რომლის მსგავსს იქ, ესპანეთში უფრო ვხვდებით.

მე ყოველთვის ეჭვი მეპარებოდა იმაში, რომ ეს წერილები იყო თუ არა ქართლში დაწერილი, მაგრამ სათანადო საბუთი არ მქონდა და ამიტომ დუმოლს ვამჯობინებდი. მაგრამ ამ ორიოდ წლის წინ ვატოკანის არქივებში მღწაობის დროს, შემთხვევით წააწყდი ერთ საბუთს, რომელმაც ჩემი ეჭვი დაადასტურა.

ეს არის 1629 წლის 22 ოქტომბერს, გორში თეატინელ მისიონერთა მისიონის პრეფექტის მამა დონ პეტრო ავიტაბილეს მიერ რომში გაგზავნილი წერილი. ამ წერილში იგი წერს: „მე ვათქმევინე მას (ნიკიფორეს), რომ წერილი, რომელიც მან თეიმურაზის სახელით მის უწმიდესობას რომის პაპს წარუდგინა, თვითონ მას დაუწერია იტალიაში“. სხვათაშორის, თეიმურაზმაც თქვა: მე პაპთან წერილი არ მიმიწერიაო.

მე ზემოთ ვთქვი, რომ ჩვენ გავვაჩნია უტყუარი საბუთი იმაზე. რომ 1626 წლის 2 დეკემბრისათვის ნიკიფორე ნამდვილად ჩავიდა ქ. მესინაში (სიცილია). საიდან ვიცით ეს?

რომის არქივებში შემონახული მასალებიდან, რომლებიც ამჟამად ჩვენს ხელთაა, ცნობილია, რომ რომის პაპის ურბან VIII-სა და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდელს კარდინალთა კოლეგიის გადაწყვეტილებით საქართველოში გაგზავნილ თეატინელ მისიონერთა

ურთი ჯგუფი (დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტეფანო...), მესინიდან საქართველოსკენ გემით გავიდა 1626 წლის 2 დეკემბერს.

რამდენიმე დღით ადრე, როდესაც ეს მისიონერები გასამგზავნებლად მზად იყვნენ და მესინაში გემს ელოდებოდნენ, მათთვის ცნობილი გახდა საქართველოს მეფის თეიმურაზ I-ის ელჩის ნიკიფორე ირბახის მესინას ნაქადაგურში გემით ჩასვლა. ზემოხსენებულმა მისიონერებმა მასთან კონტაქტი დაამყარეს. მაგრამ ეს დიდი ხანს ვერ გავრძელდა, რინაიდან გემი, რომელსაც ისინი ელოდებოდნენ უკვე მოვიდა და 1626 წლის 2 დეკემბერს ეს მისიონერები საქართველოსკენ გამოემგზავრნენ.

ევროპაში ნიკიფორე ირბახის ელჩობის შესახებ ცნობა პირველად გამოაქვეყნეს თეატინელთა ორდენის იტალიელმა ისტორიკოსებმა: ჯოზეფო ზილოსმა 1655 წელს, დონ არჩანჯელო ლამბერტიმ — 1657 წელს, დონ ბართოლომეო ფეროშ — 1704 წელს. მათ მიერ გამოქვეყნებული მასალებით ისარგებლა მ. თამარაშვილმა, როცა თავის წიგნში („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, თბილისი. 1902 წ.) პირველად მიაწოდა ქართველ მკითხველს მასალები ევროპაში ნიკიფორე ირბახის ელჩობის შესახებ. თუმცა მ. თამარაშვილთან მათი სახელები და ნაშრომები არაა აღსახელებული.

ევროპაში, კერძოდ იტალიაში ნიკიფორე ირბახის ელჩობის შესახებ. ნატიკანის საარქივო მასალებიდან დოკუმენტები (რვა გამოუქვეყნებელი დოკუმენტი), პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ ბატონი-შვილ ქეთევან ბაგრატიონი-ორსინისთან ერთად პარაზში 1981 წელს (იხ. მისი თარგმანი ქართულად: ქეთევან ბაგრატიონი-ორსინი (რომი), ილია ტაბაღლა, ქართული ელჩობა ევროპაში (ნიკიფორე ირბახი — XVII ს.), უჯრ. „მრავალთავეი“ 1983, X, გვ. 199—253).

რა მიზნით მიემგზავრებოდა ქართველი მეფის ელჩი ევროპაში? ამასზე დონ არჩანჯელო ლამბერტი წერს: „ჩვენი მამები ჯერ კიდევ მალტაზე იყვნენ (აქ შეეცდომება: უნდა იყოს მესინა — ი. ტ.), როდესაც მესინაში ჩაიღო ქართველი თავადი, სახელად ნიკიფორე ირბახი, მეტად კეთილშობილი წარმომობის ადამიანი, საქართველოს უპირველესი თავადთაგანი. იგი სიყრმიდანვე ღვთის კულტით იყო გატაცებული და წმ. ბასილის ორდენში ბერად აღიკვეცა. იგი მისმა მეფემ თეიმურაზმა გაგზავნა ევროპაში, რათა როგორც საერო, ისე სასულიერო თვალსაზრისით განადგურებული და უბედურებაში მყოფი საქართველოსათვის დახმარება ეთხოვა. ამ მიზნით (როგორც თვითონ ამბობდა), თავის მეფემ იგი გაგზავნა ესპანეთის მეფესთან და პაპთან.“



მისი ჩამოსვლის შესახებ ცნობა მალე გავრცელდა ქალაქ მესი-  
წაწი და ამ ზმებმა მამების ყურამდე მიაღწია. მათ გადაწყვიტეს,  
რომ ამ ელჩისადმი, რომელიც თავის ქვეყანაში გავლენიანი პირო-  
ვნება იყო, თავაზიანი მიღების აღმოჩენას, შეეძლო ჩვენი მისიონე-  
რენტსათვის გაეადვილებინა ამ სამეფოში შესვლა. ამიტომ ისინი  
შეეცადნენ აღმოეჩინათ ნიკიფორეზადმი მეგობრობა და გულთბი-  
ლობა, მაგრამ მესინაში იმ დროს ქოლერის საწიწროებით შემოღე-  
ბული კარანტინის გამო მათ ვერ გამოიჩინეს მის მიმართ სტუ-  
მარტომოყვარება. თუმცა არ დააკლეს გულთბილობა, როგორც ნახ-  
ვით, ისე სხვადასხვა გამაგრილებელი სასმისების ხშირად მიტანით.  
როდესაც დადგა დრო, ნიკიფორეს ნეაპოლსა და ესპანეთში წასვ-  
ლისა, ორივე ადგილისათვის სარეკომენდაციო წერილებით მოამა-  
რაგეს, რათა ჩვენს მამებს ყველგან აღმოეჩინათ მისთვის დახმარება  
და მფარველობა. პირველად იგი ჩავიდა ნეაპოლში, სადაც შეხვდა  
მამა ჯაკომოს დედას. ამ უკანასკნელს მხედველობაში ჰქონდა, რომ  
შემდგომში, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკიფორე მფარ-  
ველობას აღმოუჩენდა მის შვილს და ამიტომ იგი გულუხვად დაა-  
საჩუქრა“.

ახლა მოვუხსენით, თეატინელთა ორდენის მეორე ისტორიკოსს,  
დონ ბართოლომეო ფეროს. იგი წერს: „მისიონერების სიხარულს  
საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მიიღეს ცნობა ამ ნავსადგურში (მე-  
სინაში. — ი. ტ.) ქართველი ელჩის ჩამოსვლის შესახებ, რომელსაც  
ქართველთა მეფე აგზავნიდა პაპთან, ესპანეთის მეფესთან და იტა-  
ლიის მთავრებთან, რათა მათთვის ეთხოვა დახმარება სპარსელთა  
და თურქთა სახელმწიფოების წინააღმდეგ. მაგრამ ნავსადგურში  
მისვლისთანავე გემი კარანტინში დააყენეს, რადგან იგი ჩამოვიდა  
იმ ადგილიდან, სადაც ეპიდემიის ეჭვი ჰქონდათ. ამის გამო ჩვენმა  
მამებმა ვერ შეძლეს აღმოეჩინათ მისთვის სტუმართმოყვარეობა და  
დაედგა სტურებიანთ თავიანთი სიყვარული და პატივისცემა, რის გა-  
მომცემი ისინი ძალიან სწყუხდნენ.“

ეს ელჩი იყო წმ. ბასილის წესის ბერი, სახელად ნიკიფორე  
ირბახი. მისი ამაღა შედგებოდა მხოლოდ ორი ბერისა და ერთი  
თარჯიმანისაგან. ირბახი იყო უმაღლესი კეთილშობილებით აღსავსე  
და თავმდაბალი ადამიანი... მის მიმართ პატივისცემის გრძობა გა-  
დადიოდა სიყვარულში. იგი იყო ტანად მაღალი, კეთილშობილი  
წარმოშობის ადამიანი. მამამისი იყო ქართველთა მეფის ქარის სარ-  
დალი სპარსეთის შაჰთან ბრძოლის დროს. ამ ბრძოლაში იგი ხშირად  
ღმარკვებდა. იმ გამარჯვებათა შორის, ყველაზე უფრო იყო ის, რო-  
მელიც მოიპოვა იმ სისხლიან ბრძოლაში, როდესაც ბრძოლის ველზე

90 ათასი მოკლული სპარსელი დარჩა, ხოლო ამ სისხლისღვრის შედეგად 20 ათას დაღუპულ ქართველს დასტროდნენ. მისი სიტყვებით, ამ ჭარბსევე მეთაურობდა მისი ბიძაშვილიც. ცხადია, არ არსებობდა საფუძველი, რომ ექვი შეგვეპაროდა მის მონაყოლში“.

მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც არ სჯეროდათ მისი; ამბობდნენ, რომ მისი მეფის ბეჭედი ყალბიაო. ზოგი მას კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ გამოგზავნილად თვლიდა, რომელიც ბევრჯერ იყო მხილებული თავის ტყუილებში.

მაგრამ თეატინელი მისიონერები თვითონ დარწმუნდნენ და სხვებსაც არწმუნებდნენ იმაში, რომ ნიკიფორე ირბახი ნამდვილად იყო ქართველთა მეფე თეიმურაზის ელჩი. თეატინელი მისიონერები: დონ პიეტრო ავიტაბილე, დონ ჯაკომო დი სტუფანო და დონ ჯოვანი ფილომია მისი ხშირი სტუმრები იყვნენ. მათ უამბეს ნიკიფორეს, თუ რა მიზნით მიემგზავრებოდნენ საქართველოში; რომ მიჰქონდათ რომის პაპის ურბან VIII-ის წერილები ქართველთა მეფესთან და ქართლის კათალიკოსთან. ნიკიფორე დიდად ნასიამოვნებდა ირბახა ამ ცნობით.

თეატინელი მისიონერები: დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტუფანო გამოემშვიდობენ ნიკიფორეს და 1626 წლის 2 დეკემბერს საქართველოსკენ გამოემგზავრენ, ისინი მესინიდან გემით გამოვიდნენ.

ნიკიფორე მესინიდან ნეაპოლში გაემგზავრა. იქ იგი კარგად მიიღეს თეატინელმა მისიონერებმა, რომლებთანაც მას სარეკომენდაციო წერილები ჰქონდა მესინიდან. ნიკიფორე ნაპოლიდან პირდაპირ მადრიდში წავიდა. მას ესპანეთის მეფესთან, გარდა თეიმურაზის წერილისა, მიჰქონდა იერუსალიმის პატრიარქის თეოფანეს წერილი-რეკომენდაციაც, სადაც პატრიარქი სთხოვდა ესპანეთის მეფეს, კარგად მიეღო ნიკიფორე და აღმოეჩინა დახმარება საქართველოს მეფესთან. ნიკიფორეს მიჰქონდა ასევე მესინიდან თეატინელი მისიონერების სარეკომენდაციო წერილები მადრიდში მყოფი თეატინელ მისიონერებთან.

როგორც უკვე ვნახეთ, ნიკიფორეს დახმარება უნდა ეთხოვნა მადრიდში და რომში, რათა დახმარებოდნენ საქართველოს სპარსელებს აგრესიის მოგერიებაში, მაგრამ მალე. საბჭუთებში სპარსეთი შეცვალა თურქეთმა. იერუსალიმის პატრიარქის მიერ დაწერილ წერილ-შუამდგომლობაში (იგი ბერძნულ ენაზეა დაწერილი) წერია სპარსეთი, ხოლო მადრიდში გაკეთებულ მის ესპანურ თარგმანში — თურქეთი. არც თეიმურაზის წერილში იყო მოხსენიებული თურქეთი. იქ ლაპარაკია სპარსეთის წინააღმდეგ ომზე.

ნიკიტორე ირბახის ელჩობას ევროპაში ბევრი ავტორი შეეხო (მ. თამარაშვილი, გ. აკოფაშვილი, ბ. გიორგაძე, ს. კაკაბაძე, ნ. ნაკაშიძე, გ. ჯამბურია, ჯ. ვათეიშვილი, ი. ტაბალუა, მ. სვანიძე და სხვ.). მაგრამ მე აქ მხოლოდ ერთ ავტორზე ჩვეჩერდები — მიხეილ სვანიძეზე. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს მისი წიგნი: საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1990 წ.

ისტორიკოსი მიხეილ სვანიძე ძირითადად ეხება ჩემს ნაშრომს: „ნიკიტორე ირბახის ელჩობა ევროპაში“ (იხ. წიგნში: „საქართველო-ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, ტ. II, თბილისი, 1886, გვ. 141-199).

მის. სვანიძის აზრის ძირითადი არსი ასეთია: სპარსეთი შეიცვალა თურქეთით იმიტომ, რომ ევროპაში მიმავალ ნიკიტორეს უნდა გაეცლო თურქეთის სამფლობელოებზე და იქ საშიში იყო, შეიძლება წერილი ხელში ჩაეკიდნოდათ თურქებს. ამიტომ კონსპირაციის მიზნით დაიწერა სპარსეთი თეიმურაზის წერილებში, სინამდვილეში თურქეთის წინააღმდეგ ითხოვდა თეიმურაზი დახმარებას.

ბევრ რამეში ვეთანხმები ისტორიკოს მ. სვანიძეს. მე ვწერ, რომ ამ დროს ევროპაში არ იყო პოპულარული ომი სპარსეთის წინააღმდეგ. ქრისტიანული ევროპის საერთო მტერი იყო თურქეთი. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო თურქეთის წინააღმდეგ ომში სპარსეთს მოკავშირედაც კი განიხილავდა. მაშინ რას ნიშნავს ეს? თეიმურაზი ვერ ერკვეოდა სიტუაციაში? არა. თეიმურაზის სამეფო კარზე კარგად ერკვეოდნენ ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკაში. მაგრამ ახლა სხვა ვითარება იყო. ახლა თვითონ საქართველოც ეძებდა დახმარებას თურქეთში სპარსეთის წინააღმდეგ. სპარსეთისგან დევნილი თეიმურაზი ხშირად თავშესაფარს თურქეთში პოულობდა. 1618 წელს თეიმურაზმა, იმ დროს საქართველოდან განდევნილმა და თურქეთში თავშეფარებულმა, თურქეთთან ერთად სპარსეთის წინააღმდეგ ომში მიიღო მონაწილეობა, თავისი მცირე ძალით დახმარებას სპარსეთის გულში შეიქრა და ქალაქ არდებილამდე მიადგინა, გაანადგურა ეს ქალაქი. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ხშირად საქართველოს მეფეები ევროპის სახელმწიფოებისაგან ითხოვდნენ არა ომს სპარსეთის წინააღმდეგ, არამედ ზეგავლენის მოხდენას, შეეჩერებინა საომარი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში კი, ჩემი აზრით, სპარსეთი თურქეთით შეიცვალა მაღრიდში, მაგრამ ამაზე ქვემოთ შევჩერდები. ახლა დავუბრუნდეთ ისევ ნიკიტორეს მდგომარეობას.

მადრიდში ჩასულ ნიკიტორესადმი. სამეფო კარზე, წერს ღონ ზ. ფერო, უნდობლობა გამოიჩინეს. ღონ არქანჯელო ლამბერტი კი წერს: ნიკიტორეს არ დაუჯერეს, რომ იგი ნამდვილად საქართველოს მეფეს ელჩი იყო და ამიტომ პირველ ხანებში კერძო სასტუმროში ცხოვრობდა. მავრამ მას დიდი დახმარება გაუწია მესინადან წაღებულმა სარეკომენდაციო წერილებმა. მას დაეხმარა თეატინელი მისიონერი ღონ პლაჩიდო მარტო, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მადრიდის სამეფო კარზე. ბოლოს ცნეს ნიკიტორეს ნამდვილი ელჩობა და მას ისეთივე პატივი მიაგეს, როგორიც უცხოეთის სხვა ელჩებს.

როგორც ღონ არქანჯელო ლამბერტი მიუთითებს, ნიკიტორე თეიმურაზის სახელით ესპანეთის მეფეს მდგომარობას და მისი შტრას — სპარსეთის წინააღმდეგ რაიმე დახმარებას სთხოვდა. თეიმურაზის წერილში ნათქვამია: „...მოგახსენოთ ჩუენდ უსჯულო იგი პერსი შაჰბას ვირკინებით ბრძოლთა სასიკუდიროთა,... აქათ ჩუენ უყოთ დევნა ძლიერი და აღვხოცოთ იგი პირისაგან ქუეყანისა ყოვლად უღმრთო იგი საძაგელი... ჩუენ ყველანი ძმანი ვართ და ერთ არს ღმერთი ჩუენი, საქმისა ამის ცნობითა და სიტყუისა ამის ცნობითა და სიტყუისა ამის აღმოკითხვითა გყადრეთ ძმად წოდება და მონაგებთა სესხება...“

სპარსეთის შაჰმა აბას I-მა ააოხრა საქართველო, კერძოდ კახეთი, სამი წლის (1614-1617 წწ.) განმავლობაში გაანადგურა და გაძარცვა ქვეყანა; კახელების უდიდესი ნაწილი სპარსეთში გადაასახლა, მათ ადგილზე კი ყიზილბაშების ჩასახლება მოინდომა, ქართლი და კახეთი დაიკავა, ქართლის მეფე ლუარსაბ II მოტყუებით იმერეთიდან გადმოიყვანა, სპარსეთში წაიყვანა, გამაჰმადიანება მოსთხოვა, ხოლო უარი რომ მიიღო, დააპატიმრა და თავისივე ბრძანებით საპრობილეში სიკვდილით დასაჯეს 1622 წელს; თეიმურაზის ორი ვაჟიშვილი — ლევანი და ალექსანდრე — 1613 წელს შაჰ აბასთან ვიზიტის დროს ქეთევან დედოფალს რომ ახლდნენ, შაჰის ბრძანებით დაასაჭურისეს, რის შედეგად უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა, უფროსი კი კუტიდან შეიშალა; ქეთევან დედოფალი, თეიმურაზის დედა, თეიმურაზ მეფის დესპანის მანტიით შაჰთან მოსალაპარაკებლად მისული, შაჰმა დააპატიმრა და 1624 წელს წამებით სული ამოხადა; თვითონ თეიმურაზმა სამეფო დაკარგა და თურქეთს შეაფარა თავი; შემდეგ, სპარსეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ომის შედეგად (რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა გიორგი სააკაძემ), თეიმურაზმა დაიბრუნა კახეთი, ხოლო

მეუღლის მემკვიდრეობით მისი მეუღლე ხომ ლუარსაბ მეფეს და იყო, ხოლო ლუარსაბს მემკვიდრე არ დარჩენია), ქართლის სამეფოც მიიღო.

ამ დროს შაჰ აბას I ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (იგი 1629 წელს გარდაიცვალა). მას თავის მუხანათურ გეგმებზე ქართლ-კახეთის წინააღმდეგ უარი არ უთქვამს. ასეთ ვითარებაში გაგზავნა თეიმურაზ მეფემ ნიკიფორე ირბახი ევროპაში ელჩად, თურქეთი ამ დროს თეიმურაზ მეფის პირველი მტერი არ იყო. ვიმეორებ: თეიმურაზი სპარსეთს წინააღმდეგ დახმარებას თურქეთში ეძებდა. სხვა საკითხია, როგორი იყო ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება სპარსეთთან და თურქეთთან და როგორ დახმარებას ითხოვდა თეიმურაზი მადრიდისა და რომისაგან.

მე აქ მაინტერესებს მხოლოდ ერთი საკითხი: სად, როდის და ვინ შეცვალა „სპარსეთი“ „თურქეთით“?

ჩემი აზრით, ეს მოხდა მადრიდში და ეს გააკეთა მადრიდის სამეფო კარზე მყოფმა. სამეფო კარის ერთ-ერთმა მრჩეველმა ბერძენმა კონსტანტინე სოფიამ, რომელსაც აინტერესებდა თურქების მიერ ოკუპირებული თავისი სამშობლოს — საბერძნეთის განთავისუფლება, თეიმურაზ მეფის ელჩის ჩამოსვლასა და თეიმურაზის მხრიდან დახმარების თხოვნაში კი მან დაინახა ერთ-ერთი საშუალება, წარემართა საქართველოსა და ესპანეთის ძალები თურქეთის წინააღმდეგ. რასაც უნდა მოჰყოლოდა საბერძნეთის განთავისუფლება თურქების ბატონობისაგან.

ამიტომ მან თეიმურაზის წერილის ესპანურ თარგმანში მთლიანად შეცვალა შინაარსი, ყველაფერი წარმართა თურქეთის წინააღმდეგ, გააზვიადა ამ ომში ქართველთა მეფის ძალები და შესაძლებლობა, თვითონ თეიმურაზის პიროვნება საქართველოში და სხვ. სად იყო ამ დროს ნიკიფორე, გაეცნო კონსტანტინე სოფიას ამ ე. წ. თარგმანს და დაეთანხმა ყველაფერში, რაც იქ ეწერა? არ ვიცი. საბუთებიდან არ ჩანს.

აი ზოგიერთი ადგილი კონსტანტინე სოფიას მიერ ესპანურ ენაზე თარგმნილი თეიმურაზის წერილიდან: „...მე თეიმურაზ იბერიის, ალბანიის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, ჩერქეზეთის და ყველა ჩემი ქვეშევრდომის მეფე, ვწერ ამ წერილს თქვენს კათოლიკურ უდიდებულესობას... ვაცნობებ თქვენს უდიდებულესობას, რომ როგორც მე, ისე ჩემი იბერიელები, ვიმყოფებით ორ მტერს შორის, რომლებიც მთელს ქრისტიანობას ემუქრებიან. ესენი არიან თურქები და სპარსელები...“

შემდეგ ნათქვამია: „...ჩვენ დავიბრუნეთ სპარსელების მიერ მიტაცებული ჩვენი მიწები და ამჟამად ჩვენი სამფლობელოები და პროვინციები გადაჭიმულია ზღვიდან ზღვამდე. ჩვენი ძალები ყოველთვის მზადყოფნაშია, ხოლო ჩვენი კარგად ორგანიზებული ჯარი შედგება ასი ათასი მეტროპოლისაგან“.

თეიმურაზის წერილის „თარგმანში“ თურქეთის შესახებ ნათქვამია: „თურქეთში სუსტია რელიგიური რწმენა. თურქები სუსტნი არიან და მცირერიცხოვანი, მათ რიგებში სუფევს სასტიკი შინაგანი ბრძოლა, ასე რომ, თუ ყველა ქრისტიანი მმართველი გაერთიანდება, შეიძლება ადვილად მოველოთ ბოლო ამ უზუტუპატორს და მთლიანად გავანადგუროთ ეს ტირანი და გავანთავისუფლოთ ქრისტიანობა ასეთი ძლიერი და საშიშ მტრისაგან... ჩვენ მზად ვართ გამოვიყენოთ ყველა ჩვენი ძალა ამ წმ. მისიის განსახორციელებლად... დაგვწავთ მწერვალებიდან, შევიქრათ კაპადოკიასა და ბითინიაში და მივალწიოთ სკუტარამდე, რომელიც კონსტანტინოპოლს ესაზღვრება და, თუ თქვენი უდიდებულესობა ისურვებს დახმარების ხელი გამოგვიწოდოს ზღვიდან გადავიდეთ სრუტეზე და შევალთ კონსტანტინოპოლში, სადაც საბოლოოდ მოვსპობთ მტერს, არ მივსცემთ რა მას ამოსუნთქვის საშუალებას“.

დასახული მიზნების განხორციელებაში ესპანეთის მეფის უფრო დანიტურესების მიზნით, „თარგმანში“ ნათქვამია, რომ თურქეთზე გაპარჯების შემდეგ თეიმურაზი ესპანეთის მეფეს ფილიპე IV-ს კონსტანტინოპოლის ტახტს პირდებოდა: „ვამბობ და ვპირდები თქვენს უდიდებულესობას, განვახორციელებთ რა თქვენს ჩანაფიქრს, ყველა ცოდნას და ძალას მოვახმართ იმას, რათა თქვენმა უდიდებულესობამ დაიკავოს იმპერატორის ტახტი კონსტანტინოპოლში...“

ამ „თარგმანში“ ბევრი გაუგებრობაა: თუ ეს თარგმანი ნიკიფორე ირბანის მონაწილეობით გაკეთდა, მაშინ ისმება კითხვა: როგორ გამოაცხადა ნიკიფორემ თეიმურაზი მთელი საქართველოს მეფედ? სწორედ ამ დროს რომის პაპი ურბან VIII ცალ-ცალკე მიმართავს წერილებით საქართველოს მეფე-მთავრებს.

გარდა ამისა, ესპანეთის მეფეს წარუდგინეს კონსტანტინე, სოფიას მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნული იყო, თუ როგორ უნდა გავლაშქრა ესპანეთს თურქეთის წინააღმდეგ და სხვა.

უფრო ვრცლად ამ საკითხზე აქ ვერ შევიჩერდებით, ბევრ დროს წაგვართმევს. ვიტყვი მხოლოდ, რომ მადრიდში ნიკიფორეს მისიიდან

არაფერი გამოვიდა. ვისაც სურს უფრო ვრცლად გაეცნოს ამ საკითხს, ეურჩევი ვაეცნოს შემდეგი ავტორების ნაშრომებს: დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, იტალიური ტესტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, 1964, გვ. 16-18; ს. კაკაბაძე, ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წლის იუბილესათვის, ქართული მწერლობა, 1929, № 8-9; გ. აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე იბრახი. თბილისი, 1977, გვ. 31, 33; ნ. ნაკაშიძე, ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი, 1968, გვ. 91 (რუსულად); მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 92-93; ქეთევან ბაგრატიონი-ორბახი (რომი), ილია ტაბაღუა, ქართველი ელჩობა ევროპაში (ნიკიფორე იბრახი — XVII ს.), „მრავალთავი“, 1983, X, გვ. 199-253; ჯ. ვათეიშვილი, ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე, ქართველი დესპანი ესპანეთში XVII ს-ის. პირველი მესამედის დამლევა — გაზ. „კონუნისტი“, № 175, 177, 178, 1983 წ. 13 ივლისი, 2 აგვისტო, 4 აგვისტო, 5 აგვისტო; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბილისი, 1986, გვ. 141-199; მ. სუანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1990, გვ. 197-217.

1628 წლის იანვრის ბოლოს ნიკიფორე ირბახი მადრიდიდან რომში ჩავიდა. ამ დროს წმ. კონგრეგაცია შეუდგა მასალების შეგროვებას საქართველოზე, თეიმურაზ მეფესა და ნიკიფორე ირბახზე. აქედანაც ჩანს, რომ ნიკიფორე ირბახს 13-15 წელი რომში რომ ესწავლა, მის შეესახებ რაიმე ეცოდინებოდათ.

გარდა ამისა, ვატიკანმა შეკითხვით მიმართა პაპის ნუნციოს მადრიდში — ჯოვანი ბატისტა პამფილის, მართლა მიიღო თუ არა ესპანეთის მეფემ საქართველოს ელჩი ნიკიფორე ირბახი, როგორც აღმოსავლეთ იბერიის მეფის ელჩი. პაპის ნუნციომ დადებითად უპასუხა ამანე.

1628 წლის 11 მარტს მადრიდიდან რომში კარდინალი ბანდინის სახელზე მოვიდა წერილი, სადაც ნათქვამი იყო: „იბერიის მეფის ელჩის ტიტულით აღჭურვილმა ბატონმა ნიკიფორე ირბახმა, რომელიც ამას წინათ აქ, მადრიდში, ჩამოვიდა და მისი უდიდებულესობის ესპანეთის მეფის ხარჯზე დააბინავეს, მეფის სასახლის კარზე მიღების წინ მომმართა თხოვნით, ამ წერილით წარვადგინო იგი თქვენი ყოვლად უგანათლებლობის წინაშე, რათა აღმოუჩინოთ მას ყურადღება და კეთილგანწყობა, რაც დამახასიათებელია თქვენი

განუსაზღვრელი თავაზიანობისათვის... მის ამ თხოვნას ვასრულბ დიდი ხალისით...“

ამასობაში ვატიკანში თავი მოიყარა მასალებმა საქართველოზე და ქართველთა მეფეებზე. ერთ-ერთ ასეთ საბუთში ნათქვამია: „ქართველები უძველესი დროიდან ქრისტიანები არიან. ისინი ქრისტიანობაში მოექცნენ ქრისტეს დაბადებიდან 325 წელს. ზოგიერთი ავტორის მიხედვით ისინი ქრისტიანობაში მოაქცია წმ. გიორგიმ, ხოლო ზოგი ფიქრობს — ვინმე ქრისტიანმა მონა ქალმა. ჩანს, რომ ეს უკანასკნელი აზრი ყველაზე უფრო მიღებულია, როგორც ეს შეიძლება იხილოთ ფეხშიშველი კარმელიტი ძმა ტომაზოს წიგნში: „ხალხთა მოქცევა“, თავი XXI“.

ვიდრე ნიკიფორე პაპს შეხვდებოდა, ვატიკანმა მისგან მოითხოვა კათოლიკობის მიღება. აი კიდევ ერთი ფაქტი, დამადასტურებელი იმისა, რომ ნიკიფორეს ახალგაზღვობისას რომში არ უსწავლია, 13-15 წელი იქ არ უცხოვრია და ბერად იქ არ აღკვეცილა. მან მხოლოდ ახლა მიიღო კათოლიკობა, ამის შემდეგ წარსდგა პაპის წინაშე და გადასცა თეიმურაზ მეფის წერილი.

რომის პაპთან მიღების დროს ნიკიფორესთან ერთად უნდა ყოფილიყო ესპანეთის ელჩი რომში ინიატე, მაგრამ ეს არ მოხდა, ვინაიდან ამ დროს პაპსა და ელჩს შორის არ იყო კარგი ურთიერთობა.

ამან რამდენადმე დაწია მიღების დონე. მაგრამ ამ სიძნელეებიდან ნიკიფორე ირბახი გამოიყვანა პიეტრო დელლა ვალემ (ცნობილი იტალიელი მოგზაური, საქართველოს მეგობარი, მისი მეორე ცოლი ქართველი იყო). როგორც კი გაიგო ნიკიფორე ირბახის რომში ჩასვლის შესახებ, მაშინვე მხარში ამოუდგ: უშოვა სათანადო საცხოვრებელი ბინა წმ. სილვესტრის მამებთან, სადაც ყოველდღე უკვავნიდნენ საქმელს, კარეტაც ემსახურებოდა. ყოველივე ეს არ იყო მდიდრული, მაგრამ ნიკიფორე კმაყოფილი იყო. ნიკიფორე თანმხლები პირებით რომ ჩასულიყო რომში, მაშინ თავისი ამალით მას სულ სხვა დონეზე მიიღებდნენ.

გარდა რომისა, ამ დროს ნიკიფორე ირბახი ეწვია ნეაპოლს, ხოლო შემდეგ — ჩრდილოეთ იტალიას, საიდანაც გავიდა 1628 წლის დეკემბერში. აქ მას გადასცეს 1628 წლის 2 დეკემბრით დათარიღებული პაპ ურბან VIII-ის წერილი თეიმურაზ მეფისათვის, ნიკიფორე ირბახი იტალიიდან ავსტრიაში წავიდა, იქედან პოლონეთში ჩასულა და ბოლოს საქართველოში დაბრუნდა.

ჩვენ პიეტრო დელლა ვალესაგან ვიგებთ, რომ ნიკიფორე ირბახი საქართველოში კონსტანტინოპოლზე გავლით დაბრუნდა.



საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ როდესაც ნიკიფორე ჩოპიდან მიემგზავრებოდა, პიეტრო დელა ვალეს და მის მეუღლეს — მარიამს მისთვის წერილები გამოუტანებიათ თეიმურაზ მეფისა და დედოფლის სახელზე. იმავე საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ პიეტრო დელა ვალეს გაუგია კონსტანტინოპოლში ბერძნების მიერ ნიკიფორეს გაძარცვის ამბავი. მას უფიქრია, მეფისა და დედოფლისათვის ჩემს მიერ გატნეულ წერილებს ბერძნები წაართმევდნენო და ამ წერილების ასლებს იგი ხელახლა აგზავნის საქართველოში.

აი რას სწერდა ამის შესახებ პიეტრო დელა ვალე დონ პიეტრო ავიტაბილეს 1630 წლის 18 მაისს: „მე მივწერე წერილი მეფეს, ხოლო ქალბატონმა მარიამმა — დედოფალს. აქვე ვუერთავ ამ წერილების ასლებს, რამდენადაც ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ ბატონი ნიკიფორე, რომელსაც ჩვენი წერილები მიჰქონდა, კონსტანტინოპოლში ბერძნებმა გაძარცვეს. ნიკიფორეს წაართვეს ყველაფერი, რაც კი მას გააჩნდა, მათ შორის, აბროშუმზე ოქროს ძაფით ამოქსოვილი მადონას მინიატურული გამოსახულებაც, რომელიც მე ვაჩუქე მას და ასევე, მეორე ასეთი მინიატურა, რომელიც მას კარდინალმა ბარბერინომ აჩუქა. ვფიქრობ, რომ დაიკარგა ასევე ის წერილები, რომლებიც მოთავსებული იყვნენ იმავე სკივრში. ამრიგად, გამოდის, რომ თქვენც ვერ მიიღებდით ჩემს წერილს, რომელიც ბატონ დონ ნიკიფორეს გამოვატანე.“

თქვენდამი ჩემი წერილი, ეს არაფერია, ვინაიდან რამდენადაც მახსოვს, იქ ისეთი არაფერი დამიწერია. სხვა საკითხია ჩემი წერილი მეფისადმი და მარიამის წერილი დედოფლისადმი. ჩემს წერილში ჩამოყალიბებულია საფუძვლები და პრინციპები, როგორც მე ეს მსურდა — ჩვენი ერთგული ქვეშევრდომული გრძნობებისა, რომლებიც ვცდილობთ დავუდასტუროთ მათ უღიდებულესობას მეფეს და დედოფალს. ამდენად, ჩვენთვის სამწუხაროა ამ წერილების დაკარგვა“.

აქვე მინდა შევნიშნო: ალბათ, კონსტანტინოპოლში ბერძნებმა წაართვეს ნიკიფორეს ის ოქროს ჯაჭვი, ორ ათას დუკატად ღირებულნი, ესპანეთის მეფის სახელით მადრიდში რომ აჩუქეს, თუ ის მას აქამდე შერჩა.

როგორც პიეტრო დელა ვალე დონ პიეტრო ავიტაბილეს სწერდა, რომში ყოფნის დროს ნიკიფორეს კათოლიკობა მიუღია. მაგრამ პიეტრო დელა თავის ადრესატს ურჩევდა, ეს ამბავი ჭერჯერობით საიდუმლოდ შეენახათ, მით უფრო, წერდა ის, რომ „შესაძლებე-

ლა თვითონ ნიკოფორესაც არ სურდეს. რომ ეს ცნობილი გახდეს მიუი თანამემამულეებისათვის“.

1628 წლის ივნისში წმ. კონგრეგაცია და პროპაგანდა ფიდეს კარდინალთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ორთვე ქართული შრიფტის — საქროსა და სასულიეროს — დამზადების (ჩამოსხმის) შესახებ. იმავე წლის სექტემბერში ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ დამტკიცდა. ამის შემდეგ რომში მალე გამოვიდა პირველი ქართული წიგნი (1629 წ.). ამ დროს ნიკიფორე ირბახი იტალიაში უკვე აღარ იყო.

პიეტრო დელა ვალეს წერილებში ლაპარაკია იმაზე, თუ რა მონაწილეობა მიიღო თვითონ პიეტრო ვალემ ამ საქმეში და ზოგიერთ დეტალზე, რომელიც დაკავშირებულია ნიკიფორე ირბახის მონაწილეობასთან ქართული წიგნის გამოცემის საქმეში.

პიეტრო დელა ვალე წერს: „ბატონ ნიკიფორეს აქ ყოფნის დროს. მისი მეშვეობით და დახმარებით, გამზადებულ იქნა ქართული შრიფტი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წიგნის დაბეჭდვა. ეს ჩემი აზრით, საკმაოდ კარგად გაკეთდა. გარდა ამისა, გაკეთდა პატარა ლექსიკონი ამ ენის ანბანით სხვა ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც ქრისტიანულ დოქტრინას შეეხებოდა. იგი შეიცავდა ძირითადად ლოცვებს, წმიდა ზიარებას და მათ მსგავს საკითხებს. ისინი ყველა დაიბეჭდა ქართულ ენაზე.“

როდესაც ბერები თქვენთან ჩამოვლენ, არ დაავიწყდეთ თან წაუღონ თქვენს მეურვეობას ბევრი ეს წიგნი. ბიტყვარი საკმაოდ პატარაა და ამიტომ მით უფრო არ შეიძლება არ იყოს უზუსტო და არ შეიცავდეს შეცდომებს. მაგრამ ეს ხომ პირველი გამოცემაა ქართულ ენაზე. მით უფრო, რომ იმათ, ვინც იგი გამოსაცემად მოამზადა, ე. ი. ბატონმა დონ ნიკიფორემ, მბეჭდავმა და ბერძენმა მთარგმნელმა, კარგად არ იცოდნენ ქართული ენა. მაგრამ დასაწყისისათვის, ესეც საკმაოდ კარგია. თუ ამ წიგნებს სამშობლოში გაგზავნიან, იქ შეუძლიათ უკეთ შეამოწმონ, გაასწორონ, შეაქსონ და მოამზადონ უფრო სრულყოფილი სახით ხელახლა გამოცემისათვის“.

ეროპიდან დაბრუნებული ნიკიფორე ირბახი ჯერ სამეგრელოში ჩავიდა. იგი ერთხანს დარჩა სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანთან. ხოლო 1629 წლის აგვისტოში გორში დაბრუნდა. იგი მაშინვე თეატინელ მისიონერებთან მივიდა, რომლებსაც დიდად ესიამოვნათ მისი ჩამოსვლა. მეორე დღეს ნიკიფორე თემიურაზ მეფესთან მოცხადდა და მოახსენა თავისი ელჩობის შედეგების შესახებ როგორც მადრიდში, ისევე რომში და გადასცა მას პაპი ურბან VIII-ის წერილი.

## თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი

თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკის შესახებ 1990 წელს ისტორიკოსმა თამარ ტივაძემ გამოაქვეყნა შესანიშნავი ნაშრომი, სადაც დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს თეიმურაზ მეფის საგარეო პოლიტიკას თურქეთის, ირანის, რუსეთისა და ევროპის მიმართ.

მე კი, ცხადია, იმის განმეორებას არ შეგუდგები, რაც მოცემულია ზემოხსენებულ წიგნში, პატივცემული ავტორი ფართოდ იყენებს და იხილავს ჩემს მიერ ევროპის არქივებიდან ჩამოტანილ მასალებს თეიმურაზ მეფის ევროპული პოლიტიკის შესახებ, მაგრამ მე აქ მინდა მკითხველს გავაცნო თეიმურაზის პიროვნება უცხოელების შეფასებით და მისი ურთიერთობა რომთან და ესპანეთთან იმ მასალების საფუძველზე, რომლებიც მოვიპოვე ევროპის ქვეყნების კერძოდ, იტალიისა და ესპანეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში.

თეიმურაზი იყო კახეთის ცნობილი მეფის ალექსანდრე მეორის შვილიშვილი (დავითის შვილი). დედამისი — ქეთევანი იყო აშოთან მუხრან-ბატონის (ბაგრატიონის) ასული.

თეიმურაზის მამამ — დავითმა მამამისს, ალექსანდრეს ტახტი წაართვა, მაგრამ ერთი წელიც ვერ იმეფა. 1602 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. ალექსანდრე მეორემ კვლავ დაიკავა სამეფო ტახტი.

1605 წლის 12 მარტს, ალექსანდრე მეორის გამაჰმადიანებულმა შვილმა — კონსტანტინემ (იგი შაჰის კარზე იზრდებოდა), შაჰ აბას პირველის წაქეზებით მოკლა საკუთარი მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი. მაგრამ მამისა და ძმის მკვლელმა დიდხანს ვერ იბატონა კახეთში. იგი მალე მოკლეს კახელებმა. ახლა კახეთის სამეფო ტახტის ერთადერთი მემკვიდრე თეიმურაზ დავითის ძე იმყოფებოდა შაჰ აბას I-ის კარზე ისფაჰანში.

იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ახალგაზრდა თეიმურაზი შაჰის კარზე, ამაზე ზნუადასხვა აზრი არსებობს. ბერი ეგნატაშვილი წერს, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ ქეთევან დედოფალს შეეშინდა, რომ დავითის ძმა გიორგი შურს იძიებდა დავითის შვილებზე დავითი როცა გამეფდა თავისი ძმა გიორგი (დაპატიმრა), ამი-

ტომ ახალგაზრდა თეიმურაზი აღსაზრდელად შაჰის კარზე გაგზავნა და თან შერბადინ ჩოლოყაშვილი გააყოლა.

იტალიელი თეატინელი მისიონერი დონ არქანჯელო ლამბერტი თავის წიგნში „წმიდა კოლხეთი“ წერს: „კახეთის მეფემ დავითმა ანდერძი დატოვა, რომელს თანახმად მისი გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი — მისი ვაჟიშვილი და ტახტის მემკვიდრე, სპარსეთში წაყვანათ და იქ იმ ქვეყნის ხელმწიფის — შაჰ აბასის მზრუნველობის ქვეშ აღეზარდათ. დავითი მეგობრული ურთიერთობით იყო დაკავშირებული შაჰ აბასთან და უნდოდა, რომ ეს ურთიერთობა თავის სიკვდილის შემდეგ მის შვილს განეგრძო. ამიტომ ბრძანა მისი შვილი აღეზარდათ შაჰის კარზე“.

როდესაც თეიმურაზი შაჰის კარზე მიიყვანეს, შაჰმა იგი „ვითარ-ცა ძე, ეგრეთ შეიტკობ“ (ბერი ეგნატაშვილი). დონ არქანჯელო ლამბერტი კი წერს: „შაჰმა ბრძანა თეიმურაზი აღეზარდათ არა მართო როგორც ძვირფასი მეგობრის შვილი, არამედ როგორც საკუთარი მისი შვილი: თეიმურაზს აგარჯიშებდნენ ყველა დარგში, რაშიც კი ამზადებენ ყველაზე დიდ უფლისწულებს. განსაკუთრებით კი იარაღის ხმარებაში. ამ ხელოვნებაში მეომარი შაჰის მზრუნველობის შემწეობით, თეიმურაზს დიდი წარმატებები ჰქონდა. ამასთანავე, თეიმურაზმა ენები შეისწავლა. ენების ცოდნა კი უფლისწულისთვის მნიშვნელოვანი საგანძურია. თეიმურაზი ფლობდა სპარსულს და თურქულს. ამასთანავე, იმდენად თავისუფლად, რომ როდესაც ლაპარაკობდა, ან ერთი ან მეორე ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ“.

1606 წლის გაზაფხულზე, როცა შაჰ-აბასი თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა და ყარაბახის რაიონში იმყოფებოდა, მასთან გამოცხადდნენ ქეთევან დედოფლის დესპანები, დედოფლის სახელით შაჰს ერთგულება განუცხადეს და კახეთის მეფედ თეიმურაზის გამოგზავნა სთხოვეს. შაჰი დათანხმდა. 16 წლის ქაბუჯი თეიმურაზი შაჰმა მეფედ დალოცა და საჩუქრებით თავის სამშობლოში გამოისტუმრა.

საქართველოში წასვლის წინ თეიმურაზმა შაჰისგან ბევრი რჩევა მიიღო. მათ შორის ცოლის შერთვასთან დაკავშირებითაც. შაჰმა გააფრთხილა, ცოლად არ შეერთო ქართლის მეფე ლუარსაბის და დარეჯანი (ხორეშანი), რომელიც განთქმული იყო თავისი სილამაზით. საქმე ის იყო, რომ შაჰს თვითონ უნდოდა მისი შერთვა, თუმცა ლუარსაბის მეორე და უკვე ჰყავდა შაჰ აბასს ცოლად.

1606 წელს თეიმურაზი (თეიმურაზ პირველი) კახეთის მეფედ გამოცხადდა. იგი პირველ ხანებში დედამისთან — ქეთევან დედოფალთან ერთად მართავდა ქვეყანას. მალე იგი თვითონ გახდა ერთპიროვნული მმართველი თავისი ქვეყნისა, მაგრამ თეიმურაზს ძალიან მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. მისი მეფობა აღსაჯესე იყო რთული მომენტებით. ზოგჯერ იგი თავს ართმევდა ამ მომენტებს, მაგრამ ზოგჯერ არასწორ გადაწყვეტილებებსაც ღებულობდა: სარდალ ბიძინა ჩოლოყაშვილის, გიორგი სააკაძის, 1632 წელს დაუდ ხანთან ერთად სპარსეთის ომის საკითხებში თუ სხვ.

მაგრამ მე ვიზიარებ ისტორიკოს თამარ ტივაძის შემდეგ შეხედულებას: „ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობის შეფასებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ყოვლად გაუმართლებელია მისი საქმიანობის მოწყვეტა იმ ობიექტური გარემოდან, რომელშიც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

კახეთის მეფე თეიმურაზს ისეთი ძნელბედობის უამს მოუხდა დაწლილი და მტრებით გარშემორტყმული საქართველოს მართვა, რომ გასაკვირიც კი იქნებოდა, მისი პოლიტიკური საქმიანობა ყოველთვის სწორი და გასაგები ყოფილიყო როგორც მისი თანამედროვეებისათვის, ისე იმ მკვლევართათვის, რომლებიც სამი საუკუნის შემდეგ სულ სხვა ისტორიულ ვითარებაში შეუღდგნენ მისი მოღვაწეობის შესწავლა-შეფასებას“.

1606 წელს გარდაიცვალა ქართლის მეფე გიორგი, სიმონ I-ის ძე, რომელიც ქართლში მეფობდა 1600-1606 წწ. შაჰ აბასმა ქართლის მეფედ გიორგის 14 წლის ვაჟიშვილი ლუარსაბი (ლუარსაბ II) დაამტკიცა.

1607 წელს თეიმურაზ პირველი მამია გურიელის ასულ ანაზე დაქორწინდა. მისგან თეიმურაზს ორი ვაჟიშვილი — ალექსანდრე და ლევანი შეეძინა. ანა დედოფალი 1610 წელს გარდაიცვალა. 1612 წელს თეიმურაზმა ქართლის მეფის ლუარსაბის და დარეჯანი (ხორეშანი) ცოლად შეირთო.

რამდენადაც დარეჯანს სხვა ძმა არ ჰყავდა გარდა ლუარსაბისა, ხოლო ლუარსაბი უშვილო იყო (მან გიორგი სააკაძის და შეირთო ცოლად, მაგრამ თავადების მოთხოვნით ლუარსაბი მას მალე გაეყარა და შემდეგ ცოლი არ შეურთავს), ადვილად შეიძლებოდა ლუარსაბის ვარდაცვალების შემთხვევაში თეიმურაზი მისი სამეფოს ბატონ-პატრონიც გამხდარიყო, ეს ორი სამეფო კი გაერთიანებული, საშიში ძალა იქნებოდა მეზობელი ქვეყნებისათვის, პირველ რიგში სპარსეთისათვის.

შაკ აბასმა საბაბად გამოიყენა თეიმურაზის შიერ ლუარსაბის დის ცოლად შერთვა, ერთხანს შეეცადა ლუარსაბსა და თეიმურაზს შორის უთანხმოება ჩამოეგდო და საქმე ომამდეც კი მიეყვანა, მაგრამ როცა ეს გეგმა ჩაეშალა, 1613 წლის ოქტომბერში თავისი დიდძალი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა და განჯაში დაბანაკდა.

ქართლ-კახეთისათვის მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა: თეიმურაზი და ლუარსაბი ირ იყვნენ მზად, წინააღმდეგობა გაეწიათ ასეთი დიდძალი ლაშქრისათვის. სწორედ ამ დროს გადაწყდა ელჩობის გაგზავნა შაკ აბასთან. ეს ელჩობა დაევალა ქეთევან დედოფალს. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

1614 წლის მარტში შაკ აბასი თავისი ლაშქრით კახეთს შეესია. კახელებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს მოძალადეს, მაგრამ სპარსელების რიცხობრივმა უპირატესობამ აიძულა ისინი უკან დაეხიათ.

თეიმურაზმა და ლუარსაბმა თავიანთი ამალებით თავი იმერეთის სამეფოს შეაფარეს. შაკ აბასმა მოსთხოვა იმერეთის მეფე გიორგი III-ს, გადაეცა მისთვის კახეთისა და ქართლის მეფეები, მაგრამ იმერეთის მეფემ ამაზე უარით უპასუხა. მაშინ შაკმა მოტყუებით და ტყბილი სიტყვებით გადაწყვიტა მათი ხელში ჩაგდება. ამ გზით თეიმურაზთან მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მოღალატე შადიმან ბარათაშვილის საშუალებით ლუარსაბი შეაცდინა, წაიყვანა თბილისში, იქედან, ნადირობის საბაბით — ასტრბადში და ბოლოს გააპაპდინა შესთაჯაზა. როცა ლუარსაბისაგან მტკიცე უარი მიიღო, დააპატიმრა და 1622 წელს შირაზის ციხეში საბლით მოაშთობინა.

გაციდა წლები, თეიმურაზი გახდა ქართლ-კახეთის მეფე. რა მოხდა?

1624 წლის შემოდგომაზე შაკ აბასმა გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი ქართლიდან ისფაჰანში მიიწვია, გააცნო საქართველოში ახალი ლაშქრობის გეგმა და დაპირდა გიორგის, რომ მას თავისი ლაშქრის სარდლად დანიშნავდა, მაგრამ შაკმა იგი მოატყუა. უფრო მეტიც, მას უკვე გიორგის მოსპობა უნდოდა. გიორგიმ ეს გაიგო.

1525 წლის გაზაფხულზე სპარსეთის ლაშქარი ყარჩილა ხანის მეტალოზით ქართლში შემოვიდა. გიორგი მაშინვე შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას, რაც სპარსეთის ლაშქრის განადგურებასა და სამეფო ტახტზე თეიმურაზის აღდგენას გულისხმობდა. გიორგი სააკაძის ამ გეგმაზე ამახვილებს ყუთადლებას დონ არქანჯელო ლამბერტიც.

1625 წლის 25 მარტს, როდესაც სპარსეთის ლაშქარი ყარჩილა ხანის მეთაურობით დაბანაკებული იყო მარტყოფის ველზე, „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ ნათქვამია: „მტრის ჯარს ქართველ ვაჟკაცთა რაზმები მიუახლოვდნენ. ხმაურზე გუშაგებმა განგაში ატეხეს. ირანელთა ჯარის სარდლობამ სასწრაფოდ მოიყარა თავი ყარჩილა ხანთან და სააკაძეს უხმო. გიორგი და მისი მხლებლებიც მზად იყვნენ ამ ჭოგენისათვის. ხმლები იშოშვლეს და მტრის ჯარის მეთაურები იქვე გაუღიტეს. უსარდლოდ დარჩენილ ლაშქარს ქართველებმა მუსრი გაავლეს“.

დონ არქანჯელო ლამბერტი კი ამ ამბავს ასე აღწერს: „სპარსელების ჯარში ჩვევად აქვთ, რომ დილით ჯარის ყველა მეთაური მიდის მთავარსარდალთან სანახავად მაშინ, როდესაც იგი ხელპირს იბანს და ტანისამოსს იცემა. ყველა მის გარშემო დგება და უყვება მას სხვადასხვა ამბებს. დადგა თეიმურაზთან გიორგი სააკაძის შეთანხმების მომენტი. სხვა მეთაურებთან ერთად მოურავიც ეახლა სპარსელთა სარდალს. იგი მივიდა თავისი კეთილშობილი ქართველების ამალით. მას თანმხლები პირები წინასწარ გაფრთხილებული ჰყავდა, რომ ნებისმიერი შემთხვევისათვის მზად ყოფილიყვნენ და გაბედულად ემოქმედათ ხელჩართულ ბრძოლაში.“

იმ დროს, როდესაც ყველა იქ მყოფი ემსახურებოდა სპარსელთა სარდალს და მოურავიც მათთან ერთად იყო, გაისმა დოღების ძლიერი გრიალი და საყვირის ხმა. მაშინვე მიხვდნენ, რომ თავისი ლაშქრით მოდიოდა თეიმურაზ მეფე. ვერავის აეხსნა, თუ როგორ მოვიდა ასე ჩუმად და მოულოდნელად თეიმურაზი. სპარსელთა სარდალმა ბრძანება გასცა ყველას იარაღი აეხსა, მეთაურები, რომლებიც ამ დროს სარდალთან იყვნენ, თავის ნაწილებს მიაშურეს. რათა მზადყოფნაში მოეყვანათ. სარდალთან დარჩა მარტო მოურავი, როდესაც სარდალმა ჯავშნის ჩასაცმულად თავი დახარა, გიორგიმ უცებ ზურგში შუბი ჩასცა და იქვე გაათავა იგი.

შემდეგ იქ მყოფი ქართველები დაერივნენ სპარსელებს. უსარდლოდ დარჩენილი სპარსელები მხოლოდ გაქცევაზე ფიქრობდნენ. ასე გაიმარჯვეს მარტყოფის ველზე ქართველებმა. ამის შემდეგ თეიმურაზი კახეთში ჩავიდა.

მიუხედავად გიორგის გმირული ბრძოლებისა, მისდამი მტრულად განწყობილი თავადები მაინც არ ისვენებდნენ, ამიტომ გიორგი იძულებული გახდა, ერთხანს ქართლს გასცლოდა. იგი დასავლეთ საქართველოში (სამცხე, იმერეთი, სამეგრელო) გადავიდა.

1626 წელს გიორგი კვლავ ქართლშია და თეიმურაზთან ერთად იბრძვის სპარსელების წინააღმდეგ. გიორგის ავტორიტეტი სულ უფრო იზრდება, რაც თეიმურაზის უკმაყოფილებასა და ექვემდებარებას იწვევდა. ყოველივე ამას მოჰყვა 1626 წლის შემოდგომაზე ბაზალეთის ტრაგედია. ამის შემდეგ გიორგი წავიდა სამცხეში, ხოლო იქედან — თურქეთში, სადაც მუხანათურად მოკლეს 1629 წელს.

„სააკაძის დაუღალავმა საქმიანობამ, — წერს ისტორიკოსი გივი ჯანბურია, — და მისი ხელმძღვანელობით წარმოებულმა ბრძოლებმა დიდების წარაგანდებით შემოსა იგი. დიდად გაიზარდა მისი ავტორიტეტი და გავლენა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც. იგი ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი გახდა. გიორგის საქართველოში ქართლის მოურავს ეძახდნენ, ოსმალეთის სულთანი კი მას „ქართლის მპყრობელ მოურავხანს“ უწოდებდა და ელჩებსაც მას უგზავნიდა. სააკაძის საქმიანობა და მისი ასეთი განდიდება არ მოსწონდა პატივმოყვარე თეიმურაზს. დიდ უბედურებასა და მრავალ გაჭირვებაში გამოვლილი მეფე (კახეთის აოხრება, უცხოებაში წაწვლილი დედისა და შვილების დახოცვა და სხვა მრავალი) უაღრესად უნდოდა ექვიანი გამხდარიყო. ასეთ ვითარებაში სააკაძის მოწინააღმდეგე თავადებმა შეძლეს თეიმურაზ მეფესა და დიდ მოურავს შორის განხეთქილების ჩამოგდება და მალე საბოლოოდაც გაწყდა ურთიერთობა“.

1626 წლის ნოემბერში თეიმურაზმა ინიციატივა იიღო ელჩად გაგზავნა ევროპაში.

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია თეიმურაზ მეფის პოლიტიკასთან ევროპის ქვეყნებთან: ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ თეიმურაზის იმედი, მიეღო დახმარება ევროპის ქვეყნებიდან, არ იყო რეალური, რომ თითქოს, თეიმურაზი არ იცნობდა ევროპაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და ევროპის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის მიმართობას. თითქოს, ამ დროს მხოლოდ თურქეთის წინააღმდეგ შეიძლებოდა ქრისტიანული სამყაროს გაერთიანება, რაშიც ქრისტიანულ სამყაროს მუსლიმანური სპარსეთის დახმარების იმედიც კი ჰქონდა. ეს თეიმურაზმაც იცოდა, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ევროპა, კერძოდ — ესპანეთი და იმჟამად მის მფლობელობაში მყოფი პორტუგალია, არ იყვნენ ასეთ დამოკიდებულებაში სპარსეთთან.

თეიმურაზის გადაწყვეტილება, ეთხოვა დახმარება ესპანეთისათვის სპარსეთის წინააღმდეგ, ნაკარნახები იყო კონკრეტული სიტუაციით: ამ დროს სპარსეთის სამხრეთ რეგიონში ომები ჰქონ-



და პორტუგალიას. იერუსალიმის პატრიარქის თეოფანეს სარეკომენ-  
დაციო წერილში, რომელიც ნიკიფორე ირბახს ესპანეთის მეფესთან  
მიჰქონდა, ნათქვამი იყო: რამდენადაც იბერიის მეფე „სპარსელები-  
საგან მრავალმხრივ შეწუხებულია, ითხოვს, რომ დაეხმარო მას (რამ-  
დენადაც ისიც კეთილი და ღვთისმოსავი ქრისტიანია), ან სპარსელი-  
ხადმი (შაჰისადმი) შიშის მომგვრელი სიტყვებით, ან ძალებით  
ორმუზის მხრიდან...“

ამ დროს პორტუგალიას, რომელიც ესპანეთის მმართველობის  
ქვეშ იყო, ომი ჰქონდა სპარსეთთან კუნძულ ორმუზისათვის, რო-  
მელიც სპარსეთის ყურეში (ორმუზის ყურეში). ნავსადგურ ბენდერ-  
აბასის პირდაპირ მდებარეობდა. იქვე ნათქვამია: როცა სპარსეთის  
შაჰის არმია დაკავებული იყო საქართველოსთან ომით, მაშინ შაჰმა  
ვერ შეძლო თავისი ჯარები მიემართა ორმუზისაკენ, პორტუგალიე-  
ლების წინააღმდეგ.

ესპანეთის მეფისადმი თეიმურაზის მიერ მიწერილ წერილში  
ნათქვამია: „...მოგახსენოთ ჩუენდ უსჯულო იგი პერსი შაჰაბას ვირ-  
კინებით ბრძოლითა სასიკუდინოთა,...“ როგორც ვხედავთ, აქ კონკ-  
რეტულად დასახელებულია მტერი „პერსი შაჰაბას“.

თეიმურაზის მიერ პაპისადმი მიწერილ წერილში, რომელიც და-  
თარიღებულია: „დაიწერა ეპისტოლე ესე თუესა ნოემბერსა ოცსა  
ქუეყანასა ქართლისასა“ (წელი არაა აღნიშნული), წერია: „...აქე-  
დაღმა ჩუენ და სახელითა იესო ქრისტესითა აღვხოცოთ პირი-  
საგანა ქუეყანისა, რამეთუ უსჯულო წინაშე ღმერთისა...“ ვინ იგუ-  
ლისხმება ამ უსჯულოს ქვეშ? ცხადია, მაჰმადიანი. მაგრამ სპარსეთიც  
მაჰმადიანი იყო და თურქეთიც. ე. ი. პაპისადმი მიწერილ წერილში  
კონკრეტულად დასახელებული არაა მტერი.

თეიმურაზის ამ წერილის ლათინურ თარგმანში, რომელსაც ბო-  
ლოს მიწერილი აქვს: „ქართლი, 1626 წლის 20 ნოემბერი“, წერია:  
„ჩვენ საქმე გვაქვს თურქებთან და სპარსელებთან. ზშირად გვიხდე-  
ბა მათთან შეჯახება“.

ამ წერილის იტალიურ თარგმანში ნათქვამია: „ჩვენ ვიმყოფე-  
ბით თურქებსა და სპარსელებს შორის. განუწყვეტლივ უნდა ვიო-  
მოთ მათთან... ვთხოვთ თქვენს ნეტარებას, რათა თქვენი დახმარე-  
ბით გავხდე ესპანეთის მოკავშირე და თანამოაზრე მტრების წი-  
ნააღმდეგ“.

სხვაგან ვკითხულობთ: თეიმურაზ მეფეს ესპანეთის მეფისაგან  
„პირველ რიგში სურს ითხოვოს სამუდამო მშვიდობა, მეგობრობა,  
კავშირი და ურთიერთობის დამყარება“. ამასთანავე, თეიმურაზი

ესპანეთის მეფეს სთავაზობდა „თავის სამეფოს, თავის ლაშქარს, თავის ქონებას და მთელს თავის ძალებს ნებისმიერი მტრის წინააღმდეგ, კერძოდ, სპარსეთის წინააღმდეგ იმ ღონისძიებაში, რომელსაც ამჟამად თქვენი უდიდებულესობა (ესპანეთის მეფე) აღმო-საღლეთ ინდოეთის მხარეში ახორციელებს“.

მე. მაინც იმ აზრს ვიტყვ, რომ მადრიდში „სპარსეთის“ შეცვლა „თურქეთით“, იყო მადრიდის სამეფო კარზე მყოფი ბერძენი კონსტანტინე სოფიას მოქმედების შედეგი, რომელმაც „თარგმნა“ თეიმურაზ მეფის წერილი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სადმი. (იხ. ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბ., 1986, ტ. 2, გვ. 152-158).

## სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ეპროკაში

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა სოფელ ტანძიაში (ქვემო ქართლი) 1658 წლის 4 ნოემბერს. იგი დაკავშირებული იყო ქართლის სამეფო კართან და მიიღო კარგი აღზრდა-განათლება. მან იცოდა, ქართულის გარდა, სომხური, სპარსული, თურქული, ბერძნული, ლათინური...

სულხან-საბა თანამშრომლობდა ქართლის მეფე გიორგი XI-თან, ხოლო შემდეგ — ვახტანგ VI-სთან. 1698 წელს იგი გარეჯის მონასტერში ბერად აღიკვეცა და ამიერიდან მის სახელს სულხანს, დაემატა საბა. იგი იყო ვახტანგ VI-ის (ქართლის მმართველი 1703 წლიდან) ერთ-ერთი მრჩეველი და ხელს უწყობდა კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას ქართლში.

ცნობილია, რომ 1711 წელს ყანდაპართან ბრძოლებში ქართლის მეფე ქაიხოსროს დაღუპვის შემდეგ, 1712 წელს ირანის შაჰმა ჰუსეინმა ისფაჰანში მიიწვია ვახტანგ VI, რათა იგი დაემტკიცებინა ქართლის მეფედ. ვახტანგს ისფაჰანში ახლდა სულხან-საბა. აქ იგი დაუკავშირდა კათოლიკე მისიონერებს, რომლებსაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ საფრანგეთის ელჩთან კონსტანტინოპოლში გრაფ დეზალორთან, რომის პაპთან და საფრანგეთის სამეფო კართან. ფრანგი მისიონერებიდან ვახტანგ მეფესთან ყველაზე უფრო დაახლოებული იყო ჟან რიშარი.

1713 წელს ირანის შაჰმა ჰუსეინმა გადაწყვიტა, თავისი ელჩი გაეგზავნა პარიზში. ამასთანავე გადაწყდა, ამ ელჩს გაჰყოლოდა ზემოხსენებული ჟან რიშარი. ჟან რიშარი ისფაჰანიდან ერევანში ჩავიდა, საიდანაც უნდა გამგზავრებულიყო ირანის ელჩი პარიზში, მაგრამ იგი ელჩის გამგზავრებას არ დაელოდა და ერევნიდან თბილსში წამოვიდა. ვახტანგთან და სულხან-საბასთან წინდაწინ (ისფაჰანში) მოლაპარაკების შედეგად, საქართველოში ჩამოსული ჟან რიშარი უნდა შეხვედროდა სულხან-საბას და ისინი ერთად უნდა გამგზავრებულიყვნენ საფრანგეთში. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ გორში.

1713 წლის 17 აგვისტოს, სულხან-საბა და ჟან რიშარი გორიდან საფრანგეთში გაემგზავრნენ. სულხან-საბას მიჰქონდა ვახტანგის საპასუხო წერილი საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სადმი. (ვახტანგმა ადრე მიიღო საფრანგეთის მეფის წერილი).

სულხან-საბა და ჟან რიშარი ქუთაისში ჩავიდნენ. იქ შეხვდნენ კათალიკოს გრიგოლს. ისინი დასავლეთ საქართველოში დარჩნენ ორწოცი დღის განმავლობაში. ჟან რიშარს აინტერესებდა საფრანგეთიდან აღმოსავლეთისაკენ სავაჭრო გზის დასავლეთ საქართველოზე გავლის საკითხი. ასევე განიხილავდნენ საერთოდ საფრანგეთის სავაჭრო გზის საკითხს ევროპიდან აზიაში. ამ საკითხს, როგორც დაინახავთ შემდგომშიც, საფრანგეთში — მარსელში და პარიზშიც განიხილავდნენ. სულხან-საბას და ჟან რიშარს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა გრიგოლმა გააყოლა თავისი წარმომადგენელი დავით ბერი, ევროპის საარქივო მასალებში „დავით მეგრელად“ წოდებული.

1713 წლის 15 ნოემბერს სულხან-საბა, ჟან რიშარი და დავით მეგრელი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ. ისინი კარგად მიიღო საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში გრაფმა დეზალორმა. იმავე წლის 17 დეკემბერს ისინი გავიდნენ კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის გემით და 1714 წლის 22 იანვარს მარსელში ჩავიდნენ.

ერთხანს ისინი მარსელში დარჩნენ. აქ სულხან-საბას შეხვედრები და მოლაპარაკებები ჰქონდა ქალაქის მერთან შარლ კუსტანთან. შეხვედრას ესწრებოდნენ სავაჭრო პალატის მრჩეველები. შემდეგ სულხან-საბა შეხვდა ვალერებისა და ვაქრობის ინტენდანტს პიერ დ, არნუსს. აქ საუბრები ეხებოდა საფრანგეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის საკითხებს. შესდგა სპეციალური მემორანდუმი, რომელიც შემდეგ პარიზში გაიგზავნა.

სულხან-საბა მარსელში დარჩა 1714 წლის მარტის შუა რიცხვებამდე. აქ ის ელოდებოდა საფრანგეთის სამეფო კარის განკარგულებას. მიიღო რა ასეთი განკარგულება, იგი თავისი თანმხლები პირებით მაშინვე გაემგზავრა პარიზში, სადაც ჩავიდა 21 მარტს. სულხან-საბას კარგად შეხვდნენ პარიზში.

მან ჟან რიშარის დახმარებით კონტაქტები დაამყარა საფრანგეთის მთავრობის მეთაურ (კანცლერ) პონშარტრენთან და შეუთვალა, რომ წერილები ჰქონდა მასთან და მეფესთან გადასაცემი. 25 მარტს სულხან-საბამ მეფე ლუი XIV-სთან წარსადგენად მემორანდუმი გადასცა გრაფ დე პონშარტრენს. მემორანდუმში ნათქვამი იყო, რომ ვახტანგი, რომელიც ამ დროს სპარსეთის შაჰის ტყვეობა-

ში იყო, საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო ქრისტიან მეფედ. და თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ ის არა მარტო შეინარჩუნებდა ქრისტიანობას, არამედ კათოლიკობასაც მიიღებდა. ამისათვის საჭირო იყო დაახლოებით 300 ათასი ეკიუ, რომ საფრანგეთს ქრთამის სახით დაეხარჯა სპარსეთში და ამ გზით გამოეხსნა იქიდან ვახტანგი.

ამისათვის საფრანგეთის მეფეს წერილი უნდა მიეწერა სპარსეთის შაჰისათვის და ამასთან ერთად, თავისი ხალხი უნდა გაეგზავნა იქ, რათა ეს საქმე მოეგვარებინა.

1714 წლის აპრილში სულხან-საბაშეხედა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს და გადასცა ვახტანგის წერილი (იგი ქართულად იყო დაწერილი, იქ სამეფო კარზე ქართული ენის მცოდნე ყან რევერანმა თარგმნა ფრანგულად). თარგმნის როლს ასრულებდა ყან რიშარი (სულხან-საბა და ის ლაპარაკობდნენ ყიზილბაშურ-თათრულ ენაზე).

ამ დროისათვის სულხან-საბამ პარიზში მიიღო რომის პაპის კლემენტ XI-ის წერილი მეფე ლუი XIV-სადმი გადასაცემად, სადაც პაპი თხოვდა მეფეს ვახტანგისადმი დახმარებას. ეს წერილიც შემდეგ სულხან-საბამ გადასცა მეფე ლუი XIV-ს. მისი შეხედრამ მეფესთან არ ვიცით ზუსტად როდის მოხდა, მაგრამ გვაქვს საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს მოხდა 7-14 აპრილის შუა რიცხვებში.

სულხან-საბა ორბელიანმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა საფრანგეთის მეფეზე და მინისტრებზე. იგი მეფეს შეხვდა, როდესაც ის საცხებიტ განკურნებული არ იყო ავადმყოფობისაგან, თავს ცუდად გრძნობდა და გუნებაზეც არ იყო.

როდესაც სულხან-საბამ მიულოცა მეფეს გამოჩანმრთელება, მეფემ მადლობა უთხრა და უპასუხა, რომ თუცა იგი გადაურჩა ერთ მტერს — ავადმყოფობას, მაგრამ მას დაეცა მეორე მტერი — ზიზარე. „ეს ადვილი საქმე არაა, 60 წელს რომ გადააცილო“ — დაასკვნა მეფემ.

— „ხელმწიფევ, — უპასუხა სულხან-საბამ, — თქვენი უდიდებულესობა ისე მოხდენილად ატარებს ამ ასაკს, რომ ყველა ისურვებდა ამ ასაკში ყოფნას!“.

ეს პასუხი მეფეს ძალიან მოსწონებია.

მეფესთან სულხან-საბას პირველი შეხვედრის დროს საუბარს საფუძვლად ედო: ვახტანგ VI-ის საპასუხო წერილი, სულხან-საბას ზემოხსენებული მემორანდუმი, მისი საუბრები საფრანგეთის სამეფო კარის წარმომადგენლებთან, ხოლო მეორე მიღების

დროს, რომელიც მაისში შედგა, უკვე მიღებული ჰქონდათ ის ვრცელი მემორანდუმი, რომელიც საქართველო-საფრანგეთის მომავალი ურთიერთობის შესახებ შედგა მარსელში, სულხან-საბას იქ ყოფნისა და პიერ დ'არნუსთან მოლაპარაკებისას. ეს მემორანდუმი ჩვენში უკვე გამოქვეყნებული მთლიანად.

მასში განხილულია ამ ორ ქვეყანას შორის მომავალი ურთიერთობის ძრავალი მხარე: საგაჭრო, სამხედრო (ქართველების სამხედრო მომზადება საფრანგეთში: ოფიცრების, ჯარისკაცების, მეზღვაურების და სხვ), პოლიტიკური, რელიგიური და სხვა საკითხები.

მემორანდუმში გათვალისწინებული იყო კათოლიკობის გავრცელება არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოზე დაყრდნობით, მის მეზობელ ქვეყნებშიც, კერძოდ ჩერქეზეთში.

ქართველი პოლიტიკოსები მზად იყვნენ დაემყარებინათ საგაჭრო, ეკონომიკურ და პოლიტიკური ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან, ოღონდაც იქედან მიეღოთ დახმარება სპარსეთისა და თურქეთის განუწყვეტელი შემოსევების ახალგაზადად.

ზემოხსენებულ მემორანდუმში ვრცლად იყო განხილული საკითხი ევროპიდან აზიაში მიმავალი საგაჭრო გზის შესახებ, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე უნდგ გავეღო. ეს იქნებოდა ყველაზე მოკლე და ყველაზე მომგებიანი გზა. მხოლოდ საჭირო იყო ამ გზაზე ვაჭრების უშიშროების უზრუნველყოფა. ამასვე სულხან-საბა თავის თანამოსაუბრეებს არწმუნებდა, რომ თუ ვახტანგი ქრისტიან მეფედ დაბრუნდებოდა საქართველოში, იგი ამ საკითხს მოაგვარებდა.

ამრიგად, სულხან-საბას აზრით, პირველ რიგში საჭირო იყო, რომ ვახტანგ VI დაბრუნებულიყო საქართველოში და დაეკავებინა სამეფო ტახტი. ამასთანავე, საფრანგეთის მეფე, ლუი XIV-ს უნდა დაედატურებინა, რომ ის დაინეტერესებულია ვახტანგ მეფის ბედით და ამ წამოწყებით, ე. ი. იმით, რასაც ითვალისწინებდა ზემოხსენებული მემორანდუმი.

ცხადია, არ იყო ადვილი, აეძულებინათ სპარსეთი და თურქეთი, დაეშვათ საგაჭრო გზის გავლა საქართველოზე. ამით ისინი ბევრს წააგებდნენ. მაგრამ ამას საფრანგეთი იღებდა თავის თავზე. ვარდა ამისა, გათვალისწინებული იყო საფრანგეთის საზღვაო ძალების გაზრდა სპარსეთის ყურეში და ინდოეთის ოკეანეში.

ამრიგად, საფრანგეთი ამ ადგილების დაკავებით ჩაკეტავდა სპარსეთს სამხრეთიდან, ხოლო ჩრდილოეთით მდებარე საქართველო, საფრანგეთის მოკავშირე იქნებოდა. საფრანგეთი დაე-

ხმარებოდა საქართველოს, თუ სპარსეთი შეეცდებოდა ხელი შეეშალა მისი დამოუკიდებელი განვითარებისათვის. ასე რომ, სპარსეთი განდებოდა დამოკიდებული „ფრანგებზე და ქართველებზე, რომლებთანაც მეტად ბედნიერი იქნებოდა ეძებნა და შეენარჩუნებინა „ავშირი“ — ნათქვამია ერთ-ერთ ფრანგულ დოკუმენტში.

სულხან-საბამ საფრანგეთის სამეფო კარს წარუდგინა შეთანხმების პროექტი, შემდგარი ექვსი მუხლისაგან, რომელიც უნდა შეესრულებინა ვახტანგ მეფეს.

„პირველი, რომ მეფე (ვახტანგი) მისცემს საქირო სახლს საფრანგეთის კონსულს თავის დედაქალაქ თბილისში.

მეორე, რომ ის თავისი ხარჯით შეინახავს კონსულს და მისი უდიდებულესობის ყველა ქვეშევრდომს, რომელიც გაივლის საქართველოზე ან იქ დაჰყოფს განსაზღვრულ დროს.

მესამე, რომ ის უზრუნველყოფს დაიცვას საფრთხისაგან საქონელი, რომელსაც ფრანგი ვაჭრები ჩამოიტანენ სპარსეთიდან საქართველოში.

მეოთხე, რომ ის კისრულობს კიდევ ხარჯებს ყველა საქონლის სპარსეთიდან შავ ზღვაში და შავი ზღვიდან სპარსეთის საზღვრამდე მისატანად.

მეხუთე, რომ ის მისცემს ყველა საქირო საწყობს როგორც შავი ზღვის ახლოს, სამეგრელოში, ასევე თავის სამშობლოში.

მექვსე, რომ ის მისცემს ფრანგ სოფეაგრებს საშუალებას ივაჭრონ მეზობელ ჩერქეზებთან, აგრეთვე აწარმოონ ხელსაყრელი ვაჭრობა თავის ქვეშევრდომებთან და მეგრელებთან, აბრეშუმეულობით, მატყლით, ცვილით და სხვა საქონლით.

შეთანხმების პროექტში შემდეგ ნათქვამია: „გარდა ამისა, სულხან-საბამ ირწმუნება, რომ თუ მოინახება რაიმე უფრო ხელსაყრელი საფრანგეთის ვაჭრობისათვის და საფრანგეთისათვის, რაც დამოკიდებული იქნება საქართველოს მეფე ვახტანგზე, ის ყველაფერს გააკეთებს“.

1714 წლის მაისში სულხან-საბამ მეორედ შეხვდა ლუი XIV-ს. ეს მიღება მოხდა სენ-სირის სამხედრო სასწავლებელში. აქ სულხან-საბამ შემდეგი სიტყვით მიმართა საფრანგეთის მეფეს:

„დიდო, მეფეო,

გვაქვს პატივი წარუდგინოთ თქვენს უდიდებულესობას ეპისტოლე, რომელიც წმ. მამამ, პაპმა კეთილი ინება ჩვენთვის გამოგზავნა, წყალობის თვალთ გადაეხედნა ვახტანგისათვის, საქართველოს მეფისათვის.

ეს უპავიტიფასესი შემთხვევაა, რომელსაც მისი უწმიდესობა ჩვენ გვაძლევს, მისი ნებართვით მეორეჯერ წარვდგეთ თქვენი უდიდებულესობის ფერხთა წინ.

ესე განმეორებული წყალობა საცმარისია, რათა დაგვაფლდებულონ ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებული სინარულით მუდამ გვახსოვდეს ჩვენს მიერ წამოწყებული მოგზაურობა მაშინაც კი, თუ განგება ინებებს, რომ მას სრულიად არ ჰქონდეს სხვა წარმატება.

რა ბედნიერებაა ჩვენთვის შესაძლებლობა — საჯაროდ განვაცხადოთ, რომ გვქონდა უპირატესობა, ჩვენი თვალთ გვეხილა ის, რასაც შეუძლიათ სხვებმა აღტაცებით უყურონ მხოლოდ შორიდან და დაგვენახს ჩვენი თვალთ თქვენი უდიდებულესობის უავგუსტოეს პიროვნებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და ბრწყინვალეობა. არამედ, აგრეთვე, დავითის რწმენა და ღვთისმოსაობა.

ეს სწორედ ამ ღვთისმოსაობითაა დიდო ხელმწიფევე, რომ თქვენი უდიდებულესობა ვახდება იმდენად დაშორებული ქვეყნების, როგორც ჩვენი ქვეყანაა, მეფეების მხარის დამპყერი და სარწმუნოების მფარველი“.

1714 წლის პირველ რიცხვებში სულხან-საბა, ყან რიშარი და დავით მეგრელი პარიზიდან გაემგზავრნენ, მარსელში, ხოლო იქედან რომში, სადაც 29 ივნისს ჩავიდნენ.

5 ივლისს სულხან-საბა მიიღო რომის პაპმა კლემენტ XI-მ, რომელიც სულხან-საბას მხოლოდ წერილობით იცნობდა. სულხან-საბამ მოახსენა პაპს როგორც საქართველოს ამბები, ისევე იმ შეხვედრებზე, რომლებიც მას პარიზსა და ვერსალში ჰქონდა. 26 ივლისს პაპმა წერილი მისწერა ლუი XIV-ს და სთხოვა დახმარება აღმოეჩინა ვახტანგისათვის. 17 აგვისტოს იმედით აღსავსე წერილი გაუგზავნა პაპმა კლემენტ XI-მ სპარსეთში მყოფ ვახტანგ მეფეს.

სულხან-საბა რომიდან ფლორენციაში გაემგზავრა, იქედან — კუნძულ სიცილიაზე და ბოლოს, 1715 წლის იანვარში კონსტანტინოპოლში ჩავიდა.

როგორი იყო ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები?

საფრანგეთის სამეფო კარზე ვახტანგ IV-ის ელჩის სულხან-საბას მოლაპარაკების დროს იხილებოდა შემდეგი საკითხები: ირანის ტყვეობიდან ვახტანგის განთავისუფლება და მისი თბილისში ქრისტიან მეფედ დაბრუნება; მისიონერების გაგზავნა საქართველოში (როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), რასაც უნდა მოჰყოლოდა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება არა მარტო საქართველოში, არამედ მის მეზობელ მხარეებში; საქართ-



ველოში უნდა შექმნილიყო კოლექციები და სემინარიები: საქართველოს ტერიტორიის სავაჭრო გზად და თბილისის საქონლის საწყობებად გამოყენება: საქართველოსა და საფრანგეთს შორის ვაჭრობის დამყარება და გაფართოება; საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის დამყარება: საქართველოში (თბილისში) საფრანგეთის საკოსულოს შექმნა და სხვ.

სულხან-საბამ თავისი განათლებით, ზრდილობით, კულტურით და მჭერმეტყველებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე და ყველგან, სადაც კი იყო: აი რას წერდნენ ამის შესახებ: სულხან-საბამს „დიდი მონდომება გულს მოხვდა საფრანგეთის მეფეს“, „ეს ღირსეული მოხუცი“, რომელმაც „მიიღო პაპის მეტად თავაზიანი აუდიენცია“ და რომლის „საქმეებს დიდი ქებით იხსენიებენ რომში“; სულხან-საბამ „თავისი იშვიათი ღირსების შემწეობით სარგებლობს საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით“ და სხვ.

სულხან-საბამ ორბელიანი რომ ნამდვილად ბრწყინვალე დიპლომატი იყო, ეს იქედანაც ჩანს, რომ მან მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ცივილიზებული ევროპის ცენტრში — პარიზში (ასევე რომშიც) შესანიშნავად წარმართა თავისი დიპლომატიური მოლაპარაკებები. მან საფრანგეთის პოლიტიკური წრეების ერთი ნაწილი დააინტერესა საქართველოსთან ურთიერთობით, რომლის გარშემო პროექტებიც კი შეიქმნა.

სულხან-საბამს დიპლომატიური მისიის წარმატებას ხელი შეუშალა ირანის ელჩის მოჰამედ რუზა ბეგის საფრანგეთში ჩასვლამ (იმავლე დროს, როცა სულხან-საბამ პარიზში იყო) და რაც მთავარია, საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის გარდაცვალებამ 1715 წლის სექტემბერში. საქართველოსთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეჩერდა, მათ შორის, საქართველოში კონსულად უნა რიშარის გამოგზავნა. საქართველოში უკვე გამოგზავნილი კათოლიკური მისიები შეჩერდნენ ლიონში, მარსელსა და კონსტანტინოპოლში. შეწყვედა სათანადო ხარჯებისათვის თანხების გამოყოფაც. ლუი XIV-ის დროის მეთაურები აღარ დარჩნენ ადგილებზე, ხოლო ახლებს არ აინტერესებდათ საქართველო...

სულხან-საბამ 1716 წლის მაისამდე კონსტანტინოპოლში (სადაც იგი საფრანგეთის საელჩოში დიდი პატივით იყო მიღებული) ელოდებოდა შედეგებს. პარიზიდან, მათ შორის უნა რიშარის ჩამოსვლას, მაგრამ შედეგები არ ჩანდა.

სულხან-საბამ ორბელიანი და დავით მეგრელი საქართველოში დაბრუნდნენ.

## რუსეთ-საპართველოს ტრაქტატი (1783 წ. 24 ივლისი)

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოს საშინაო და საგარეო ურთიერთობები გართულდა: საქართველო დაყოფილ იყო სამეფო-სამთავროებად. შინაგანი ფეოდალური უთანხმოებები გრძელდებოდა. ასეთ ვითარებაში, გარეშე მტრებისაგან შევიწროებულმა ქართლ-კახეთის სამეფომ გადაწყვიტა, დამხმარე ძალები ქვეყნის გარეთ ეძებნა.

ერეკლე II აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ეწეოდა. სამეფო კარზე ფიქრობდნენ ქვეყანაში სამთამადნო მრეწველობის განვითარებაზე. ეძებდნენ რკინის, სპილენძის, ტყვიის, ვერცხლისა და სხვა მინერალური რესურსების საბადოებს.

გარდა წიაღისეული სიმდიდრეებისა, საქართველოს შეეძლო უცხოეთში გაეტანა აბრეშუმი, საღებავი (ენდროს ძირი), ღვინო და სხვა. განთქმული იყო ქართული ჭიშის ცხენი. მასზე დიდი მოთხოვნა იყო უცხოეთში. ამ გზით ევროპის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება დიდ შემოსავალს მისცემდა საქართველოს.

მაგრამ საქართველოსთვის პირველ რიგში აუცილებელი იყო სანებდრო დამხმარების ან სესხის მიღება. ერეკლეს უნდოდა მუდმივი ჯარის სახით. შეექმნა რამდენიმე პოლკი ევროპულ ყაიდაზე და ამით ბოლო მოეღო მრძალადეთა შემოსევებისათვის, ხოლო შემდეგ შესდგომოდა ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას. ამასთანავე, ერეკლეს მიზანი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენა. უცხოელებს მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება.

მუდმივი ჯარის შესაქმნელად ერეკლემ სესხი სთხოვა რუსეთს, მაგრამ ვერ მიიღო. რუსეთს არ აინტერესებდა საქართველოს გაძლიერება. ამიტომ ერეკლემ გადაწყვიტა ევროპის ქვეყნებისათვის მიემართა.

ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხი ახალი არ იყო საქართველოს მეფეებისათვის. ამის ერთდაგვარი ტრადიციაც კი არსებობდა. ამისათვის ჩვენი მეფეები ხშირად იყენებდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს. საკმარისია მოვიგონოთ: თეიმურაზ I-მა 1630 წელს გორში მოღვაწე იტალიელი მისიონერი

დონ პიეტრო აფიტაბილე ელჩად გაგზავნა რომის პაპთან; 1643 წელს ლევან II დადიანმა ასევე იტალიელი მისიონერი დონ ჯოზეფო ჯუდიჩე ელჩად გაგზავნა რომის პაპთან და სხვ.

ერეკლემ ასევე გამოიყენა საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, რომლებსაც დაჰპირდა მფარველობას, თუ ისინი დაეხმარებოდნენ ევროპიდან სესხის მიღებაში.

1781 წლის გაზაფხულზე ერეკლემ იტალიელი მისიონერი დომინიკე გაგზავნა ევროპაში და წერილები გაატანა, მაგრამ მან მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე მიიღწია და იქ გარდაიცვალა. წერილები დაიკარგა.

ერთი წლის შემდეგ, 1782 წლის ოქტომბერში, ერეკლემ კვლავ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ევროპაში — მავროს ვერონელი. იგი რუსეთის გზით წავიდა, მაგრამ ჩავიდა პოლონეთის ქალაქ ბერდიჩევში და იქ გარდაიცვალა. მან მოასწრო სიკვდილის წინ იქ მყოფი კათოლიკე მისიონერებისათვის ეთქვა თავისი მისიის შესახებ. ამის შემდეგ იქაურმა ორმა მისიონერმა მავროს ვერონელის მიერ წაღებული ერეკლეს წერილები ვენაში ჩაიტანეს და იმპერატორის კარზე ჩააბარეს.

ერეკლეს წერილები ქართულად იყო დაწერილი, ხოლო ვენაში, იმპერატორის კარზე არავენ აღმოჩნდა ქართულის მცოდნე. ამიტომ ეს წერილები რომში, ვატიკანში გაგზავნეს, სადაც ჰყავდათ ქართული ენის მცოდნე. იქ გაკეთდა თარგმანები და გარდა ერთი წერილისა, რომელიც რომის პაპის სახელზე იყო, დააბრუნეს ვენაში, საიდანაც ისინი გაუგზავნეს ადრესატებს: პრუსიის, საფრანგეთის, სარდინიის, ნეაპოლის, მეფეებს, ვენეციის რესპუბლიკას და ერთი წერილი ვადაკუის ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ს.

როგორც კი ავსტრიის საიმპერატორო კარზე გაეცნენ ერეკლეს წერილის შინაარსს, მაშინვე თქვეს, რომ ერეკლეს თხოვნა უნდა შესრულდეს, მაგრამ გადაწყვიტეს, შეკითხოდნენ ავსტრიის ელჩს პეტერბურგში, თუ რა ვითარება იყო ამ დროისათვის საქართველოში, რამდენადაც წერილები უკვე ერთი წლის წინ იყო გამოგზავნილი.

მართლაც, ვიდრე ერეკლეს წერილები ვენაში ჩაიტანეს, თარგმნეს და ადრესატებს გაუგზავნეს, ერთი წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში ვითარება შეიცვალა: ევროპიდან არავითარი შედეგი არ ჩანდა, ერეკლემ გადაწყვიტა რუსეთს დაეკავშირებოდა, ხოლო

რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები აქტიურად მოქმედებდნენ ერეკლე მეფის კარზე. რუსეთისათვის, რომლის ექსპანსია მიმართული იყო კავკასიის. შავი ზღვისა და წინა აზიის რეგიონებისაკენ, საქართველოსთან კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დროისათვის რუსეთმა ყირიმი წაართვა თურქეთს, დაიპყრო ჩრდილო კავკასია და კავკასიონს მოადგა.

1783 წლის 24 ივლისს, ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში (ჩრდილოეთ კავკასია) ხელი მოაწერეს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ტრაქტატს, რომელიც ისტორიაში შევიდა გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით. (იხ. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. კომენტარები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983; გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., 1983).

ავსტრიის ელჩმა პეტერბურგში კობენცილი, 1783 წლის 18 ოქტომბერს თავის მთავრობას შეატყობინა ზემოხსენებული ტრაქტატის შესახებ და თან დაურთო ტრაქტატის გერმანული თარგმანი. (იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს. II ნახევარში, თბ., 1979).

გეორგიევსკის ტრაქტატმა შესცვალა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. ასეთი სახის ხელშეკრულება საქართველოს აქამდე უცხოეთის სახელმწიფოსთან არ დაუდია.

თურქების მიერ კონსტანტინოპოლს აღების შემდეგ (1453 წელი), საქართველო ევროპისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. იგი ახლა წარმოადგენდა პატარა კუნძულს მუსლიმანურ ზღვაში, რომლის ტალღები მას განუწყვეტლივ ემუქრებოდა. სპარსეთისა და თურქეთის ჯარებმა არაერთხელ სცადეს საქართველოს მოსობა, ანადგურებდნენ მის ქალაქებს და სოფლებს, მიჰყავდათ ათასობით ტყვეები. ამასთანავე, საქართველო უკვე აღარ იყო ერთიანი. ქვეყნის შიგნით წინააღმდეგობები და ბრძოლები. ასუსტებდა ყოველ სამეფო-სამთავროს. ამიტომ დაახლოებით ორი ათასი წელი დამოუკიდებლად არსებობის შემდეგ საქართველო წავიდა ასეთი სახის ტრაქტატის დადებაზე უცხო სახელმწიფოსთან.

როგორი იყო ამ ტრაქტატის არსი და რა შედეგები მოჰყვა მას საქართველოსათვის?

ამის გარჩევა მით უფრო აუცილებელია, რომ დღემდე საქართველოში ეს არ გაკეთებულა. დღეს საშუალება მოგვეცა, განვიხილოთ 1783 წლის 24 ივლისის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი,

ასევე 1920 წლის 7 მაისის საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და პირდაპირ ვთქვათ, თუ რა საბედისწერო შედეგები მოჰყვა მათ საქართველოსათვის, რუსეთის მხრიდან მათი დარღვევის გამო.

ვიმეორებ, საქართველოში დღემდე არ შეიძლებოდა ლაპარაკი და წერა იმის შესახებ, თუ რა მოჰყვა საქართველოსათვის, ორივე შემთხვევაში, რუსეთის მხრიდან მათ უხეშად დარღვევას. არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში ზიტყვა „ანექსიის“ ხმარება არ შეიძლებოდა. უფრო მეტიც, წერდნენ, რომ საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს და ამით რუსეთმა გადაარჩინა ის დაღუპვისაგან.

მაგრამ სხვა ვითარება იყო უცხოეთში. ბედის უყულმართობით იქ გადახვეწილი ქართველები და ასევე უცხოელი სპეციალისტები აშკარად წერდნენ ზემოხსენებული ხელშეკრულებების ნამდვილ არსზე და იმ სამწუხარო შედეგებზე, რომლებიც მოჰყვა საქართველოსათვის ამ ორივე ხელშეკრულებას. ესენი იყვნენ, ქართველები: მ. ხუნდაძე, ივ. ზურაბიშვილი, კალ. სალია, კარლო ინჰსარიძე, ზ. ავალიშვილი და სხვები, უცხოელები: თ. ნიპოლდი, ლუი ლე ფიური, ჰოლ მორიო, ლოტრენსი და სხვები.

1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი წარმოადგენდა ნამდვილ საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებას, რომელიც დადებული იყო ორ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს შორის. თუმცა პოლიტიკურად ეს იყო არა თანასწორი კავშირი, რამდენადაც ქართლ-კახეთის სამეფო ექცეოდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ამის შესახებ ლაპარაკია ტრაქტატის პრეამბულაში.

ტრაქტატის რატიფიკაცია რუსეთმა მოახდინა 1783 წლის 21 სექტემბერს, ხოლო ერეკლე მეფემ — 1784 წლის 24 იანვარს და ამით იგი ძალაში შევიდა.

ტრაქტატში ლაპარაკია ორივე მხარის ურთიერთ უფლებებზე და ვალდებულებებზე. როგორია ეს უფლებები და ვალდებულებები?

მე-12 მუხლი აცხადებდა, რომ „ეს ხელშეკრულება სამუდამოდ არის დადებული, მაგრამ თუ რაიმე ცვლილებების ან დამატებების შეტანა იქნა საჭირო“, არ მოხდება, თუ ორივე მხარე არ არის თანახმა. ეს მიუთითებდა ორივე მხარის იურიდიულ თანასწორობაზე.

აქედან ცხადია, რომ ტრაქტატის ცალმხრივი შეცვლა ან დარღვევა არ უნდა მომხდარიყო. ეს იქნებოდა უკანონო. რუსეთმა კი ეს მოახდინა.

მე-3 მუხლის თანახმად, ქართლ-კახეთის მეფეები, რომლებიც შთამომავლობით მიიღებდნენ თავიანთ სამეფოს, ვალდებული იყვნენ, ამის შესახებ მაშინვე ეცნობებიათ რუსეთის საიმპერატორო კარისათვის და ეთხოვათ იმპერატორის დასტური.

ტრაქტატი აწესებდა ქართლ-კახეთის სამეფოზე რუსეთის პროტექტორატს, ე. ი. ქართლ-კახეთის სამეფო უნდა ყოფილიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ. პირველ მუხლში ჩამოთვლილია ის ვალდებულებები, რომლებიც ეკისრებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს. ეს ვალდებულებებია: არ დაამყაროს ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოსთან, მის კართან აკრედიტებული მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მინისტრთან (ელჩთან) და მთავარ სასაზღვრო უფროსთან წინააწარი შეთანხმების გარეშე; ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთის სამეფო აღიარებდა რუსეთის უზენაესობას და პროტექტორატს. გარდა ამისა, ქართლ-კახეთის სამეფო ვალდებული იყო, საჭირო შემთხვევაში, თავისი შეიარაღებული ძალებით, რომელიც არ შედიოდა რუსეთის ჯარის შემადგენლობაში, დახმარებოდა რუსეთს.

ცხადია, ზემოაღნიშნულიდან აშკარად ჩანს ქართლ-კახეთის სუვერენული უფლებების შეზღუდვა. პროტექტორობის მიღების შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლის თანახმად, პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყნის ზოგიერთი უფლება გადადის პროტექტორის ხელში. ეს ნორმალურია. მაგრამ აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ განსხვავება პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყანასა და ვასალს შორის. ქართლ-კახეთის სამეფო არ იყო რუსეთის ვასალი. ვასალი — ეს არის ქვეყანა, შექმნილი სიუზერენი სახელმწიფოს მიერ.

ამრიგად, ამიერიდან ქართლ-კახეთის სამეფოს, ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობები დაემორჩილა რუსეთის კონტროლს.

ეს ნიშნავდა თუ არა საერთაშორისო ურთიერთობაში ქართლ-კახეთის სამეფოს ღირსების დაკარგვას, მის ამოვარდნას საერთაშორისო ურთიერთობიდან? არა. რატომ? იმიტომ, რომ ქართლ-კახეთის სამეფო სულაც არ ამბობდა უარს საკუთარი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე. მიუხედავად ზემოხსენებული ტრაქტატის ხელმოწერისა, ქართლ-კახეთის სამეფო რჩებოდა საერთაშორისო სამართლის ობიექტად, ე. ი. პროტექტორთან შეთანხმების შემდეგ უფლება ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონოდა უცხოეთის სახელმწიფოებთან და ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელი როგორც რუსეთში, ისევე სხვა ქვეყნებშიც.

ამრიგად, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთლიანად არ გაუქმებულა ქართლ-კახეთის საერთაშორისო უფლებები. ამაზე მიუთითებს

ტრაქტატის მე-5 მუხლი, სადაც ლაპარაკია ორივე მხარის დელეგაციების (საელჩოების) უფლებებზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს უფლება მას ჰქონდა რუსეთთან შეთანხმებით, სხვა სახელმწიფოს მიმართაც. ამას ამტკიცებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის იურისტები: ო. ნიპოლდი, ლიურენსი, იელინეკი, ლუის ლე ფიური და სხვ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ეს უფლებები რუსეთისათვის სამუდამოდ არ გადაუცია. შეწყვეტდა თუ არა ეს ტრაქტატი არსებობას, ან რომელიმე მხარე მოითხოვდა მის გაუქმებას, ან ხელმოწერი მხარეებიდან ერთ-ერთი უარს იტყოდა ამ ტრაქტატზე, ან დაარღვევდა მას, ტრაქტატი გაუქმდებოდა და ქართლ-კახეთის სამეფოს კვლავ დაუბრუნდებოდა თავის ყველა პირვანდელი უფლება.

ასე რომ, ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების დადების დროს, ერთ მხარეს შეუძლია დათმოს თავისი რომელიმე უფლება. მაგრამ როდესაც ეს ხელშეკრულება ძალას დაკარგავს, ან მას ვადა გაუვა, იმ სახელმწიფოს კვლავ უბრუნდება თავისი უფლებები საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

1783 წლის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფოს არ დაუკარგავს ქვეყნის საშინაო უფლებები. ამაზე ლაპარაკია ტრაქტატის მე-6 მუხლში. იქ ნათქვამია, რომ რუსეთი ვალდებულია, არ ჩაერიოს ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში, არ მიიღოს არაერთარი მონაწილეობა ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არც საშინაო მმართველობაში, არც სასამართლოში, არც გადასახადების აკრეფაში. ამრიგად, ტრაქტატის თანახმად, საშინაო პოლიტიკაში ქართლ-კახეთის სამეფო რჩებოდა სრულიად დამოუკიდებელი.

იმ ვალდებულებათა შორის, რომლებიც რუსეთმა აიღო თავის თავზე ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ, მთავარია შემდეგი: რუსეთი ვალდებული იყო, დაეცვა ქართლ-კახეთის ტერიტორია ყოველგვარი თავდასხმისაგან (მუხ. 2 და 6); იგი ვალდებული იყო, უბრუნველყო არა მარტო ქართლ-კახეთის ტერიტორიის მთლიანობა, არამედ ის ადგილებიც, რომლებსაც შემდგომში შემოიერთებდა (დაიბრუნებდა) ქართლ-კახეთის სამეფო. ტრაქტატს დამატებით შეთანხმებაში რუსეთი ვალდებულებას ღებულობდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შეუფრთხებდა ჰერზოგელი ქვეყნების ნიერ მიტაცებულ ქართულ მიწებს.

რუსეთი აღიარებდა ქართლ-კახეთის სამეფოს თავის მოკავშირედ და მის მტრებს თავის მტრებად აცხადებდა.

ამასთანავე, რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა, თავდასხმის ან ომის შენთხვევაში დანმარებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს. ტრაქტატის მე-7 მუხლი განსაზღვრავდა იმას, თუ როგორ უნდა დანმარებოდა რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს.

ამრიგად, თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს გაეითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებასთან. ქართლ-კახეთის სამეფო ანიჭებდა რუსეთს, როგორც პროტექტორს, უპირატესობას, მაგრამ საერთაშორისო თვალსაზრისით იგი ინარჩუნებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს უფლებას. იგი იყო პროტექტორის მფარველობის ქვეშ და არა ვასალის მდგომარეობაში.

ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, ეს ტრაქტატი იყო ორ სახელმწიფოს შორის კავშირისა და მეგობრობის ხელშეკრულება (იხ. ტრაქტატის პრეამბულა), რომელიც ამტკიცებდა არბიტრაჟს იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის რაიმე უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ხოლო ცნობილია, რომ არბიტრაჟი წესდება ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის.

ასეთი იყო მოკლედ რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წლის 24 ივლისს დადებული ტრაქტატის არსი.

ახლა კი განვიხილოთ ასევე მოკლედ, თუ როგორ შეასრულა რუსეთმა ამ ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებები. პირველი დიდმნიშვნელოვანი მომენტი შეიქმნა 1795 წელს, როდესაც სპარსეთის შაჰის აღა-მაჰმად ხანის დიდძალი ლაშქარი შეესია აღმოსავლეთ საქართველოს. ქართლ-კახეთის სამეფო ამ დროს მართოდ დარჩა, რუსეთმა არ შეასრულა ზემოხსენებული ხელშეკრულებით აღებული თავისი ვალდებულება, არ დაეხმარა ერეკლე მეფეს, თავისი ძალები კი ერეკლეს არ ეყო წინააღმდეგობის გასაწევად; და სპარსეთის ლაშქარმა გაანადგურა ქვეყანა, ხოლო მისი დედაქალაქი ცეცხლს მისცა.

ეს იყო რუსეთის მხრიდან ზემოხსენებული ტრაქტატის დარღვევა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქართლ-კახეთის სამეფოს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, როდესაც ერთი მხარე არღვევს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, მეორე მხარე თავისუფლდება თავის მხრივ აღებული ვალდებულებებისაგან და ამრიგად, ხელშეკრულება ჰკარგავს ძალას.

ამრიგად, მხოლოდ ამ ერთი მომენტით შეიძლებოდა გაუქმებულიყო 1783 წლის ტრაქტატი, ქართლ-კახეთის სამეფო განთავი-



სუფლებულიყო მის მიერ აღებული ვალდებულებებისაგან და აღედგინა ყველა თავისი უფლება, რაც მას გააჩნდა 1783 წლამდე. ეს მოხდა, მაგრამ მოხდა უარესი. რუსეთმა განაგრძო თავისი ცალმხრივი მოქმედება და 1801 წელს მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია. ეს განახორციელა ორი მანიფესტით: რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის 1801 წლის 28 იანვრის მანიფესტით, ხოლო პავლეს ბიკვიდილის (მოკვლის) შემდეგ, იმავე წლის 18 სექტემბერს — იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტით.

ამრიგად, რუსეთი ცალმხრივად მოქმედებდა, ერთი მეორეზე არღვევდა საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებებს. ამან ფაქტიურად გააუქმა 1783 წლის ტრაქტატი და ქართლ-კახეთს თეორიულად დაუბრუნა ის უფლებები, რომლებიც მას ჰქონდა ამ ტრაქტატის დადებამდე, მაგრამ თუ იგი ვერ სარგებლობდა ამ უფლებით, ეს იმიტომ, რომ რუსეთმა მოახდინა მისი ანექსია და ამას უწოდა რუსეთთან მისი „ნებაყოფილობითი შეერთება“, რასაც იმეორებდნენ რუსეთის მახაზრი ქართველებიც.

რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია იყო უკანონო მოქმედება. ეს იყო აგრესია. რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო ისე, რომ მასთან ომი არ ჰქონია. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს ანექსია არასოდეს არ უცნიათ უცხოეთის სახელმწიფოებს, ხოლო ინგლისმა, საფრანგეთმა, თურქეთმა და სპარსეთმა ფორმალურად პროტესტიც კი განაცხადეს ამის გამო.

1783 წლის ტრაქტატი არასოდეს არ ყოფილა არც რუსეთისა და არც ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ უარყოფილი და გაუქმებული, ხოლო რუსეთის მიერ მისმა უხეშმა დარღვევამ დაუკარგა მას ქართლ-კახეთისათვის იურიდიული ღირებულება.

ყირიმის ომის დროს, 1855 წლის 31 ნოემბერს საფრანგეთის, ინგლისისა და თურქეთის სარდლობის წარმომადგენელმა ომერ ფაშამ, რომლის შტაბბინა იმ დროს ონტოფოში (დღეს აბაშის რაიონი) იმყოფებოდა, მიმართა სამეგრელოს დედოფალს ეკატერინე დადიანს წინადადებით, გადასულიყო მათ მხარეზე, ხოლო მოკავშირეთა სარდლობა მზადყოფნას აცხადებდა, დახმარებოდა სამეგრელოს, რომელიც ჭერ კიდევ არ შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ მთელ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, თუ ეკატერინე დედოფალი გაწყვეტდა ყოველგვარ ურთიერთობას რუსეთთან. ომერ ფაშას წერილში ნათქვამი იყო: „მოკავშირეების სურვილია, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი მხარე-

ბი იყვნენ დამოუკიდებელი რუსეთისა და სხვა სახელმწიფოებში-  
საგან, იყვნენ თავისუფალი და ჰყავდნენ საკუთარი მთავრობები“.

იმავე 25 დეკემბერს. მოკავშირეთა სახელით სამეგრელოს დე-  
დოფალ ეკატერინე დადიანს წერილით მიმართა ფრანგმა პოლ-  
კოვნიკმა გრაფ მეფერემ. აი ეს წერილიც:

„სამხედრო ბანაკი და შტაბბინა ონტოფოში. 1855 წლის 6 დე-  
კემბერი.

დედოფალო! თქვენო ბრწყინვალეზე, მე მესმის თქვენი მერ-  
ყეობის მიზეზი. ქალბატონისათვის ეს საპატიოც კი არის, მაგრამ თუ  
ეს მერყეობა დიდხანს გაგრძელდება, მან შეიძლება სერიოზული  
ზიანი მიაყენოს თქვენს ინტერსებს და თქვენი შეილები ინტერე-  
სებს. რუსები განადგურებულნი არიან დუნაიზე, ყირიმში და ენ-  
გორზე. მოკლედ ყველგან, სადაც კი შეიძლება მათ შეხვდეთ. ახლა,  
როგორც ეს თქვენთვის გასაგებია, თქვენო ბრწყინვალეზე, რუ-  
სეთს სრულებით არ გააჩნია შესაძლებლობა დაიცვას და შეინარჩუ-  
ნოს მის მიერ დაპყრობილი ადგილები კავკასიაში...

რუსეთს დასჭირდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ძა-  
ლისხმევა და მსხვერპლის გაღება, რათა დაწილობრივ დაეპყრო  
კავკასია და დაევიწყებინა იგი მთელი მსოფლიოსათვის. ევროპამ  
ახლა გამოიღვიძა. მას უნდა, რომ თქვენ შეხვიდეთ ცივილიზირე-  
ბული ერების დიდ ოჯახში, რათა ბოლოს და ბოლოს, ისარგებლოთ  
იმ უპირატესობით, რომელიც ღმერთმა ესოდენ უხვად უბოძა  
თქვენს ქვეყანას.

დამოუკიდებლობა და აყვავება, აი ის, რაც ჩვენ თქვენთან მოგ-  
ვაქვს. ნუთუ თქვენი ბრწყინვალეობა კიდევ მერყეობს?

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი, მისი უდიდებულე-  
სობის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის მიერ მისი ბრწყინ-  
ვალეობა გენერალისიმუს ომერ ფაშასთან მივლინებუ-  
ლი გრაფი დე მეფერე“.

მაგრამ ყირიმის ომიც დამთავრდა და სამეგრელოს დედოფალთან  
მოლაპარაკება შეწყდა. ყირიმის ომის შედეგად მოწვეულ პარიზის  
კონფერენციის პროგრამაში თავიდანვე იყო შეტანილი „საქართვე-  
ლოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი“. 1856 წლის 1 მარტს  
საფრანგეთის წარმომადგენელმა კონფერენციაზე გრაფმა ვალეჟს-  
კიმ განაცხადა, რომ „მოკავშირე სახელმწიფოები ზოითხოვენ რათა  
სპეციალურად იქნეს განხილული შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებ-  
არე ტერიტორიების მდგომარეობა“. აქ იგულისხმებოდა საქართვე-  
ლო. მაგრამ შემდგომში ეს საკითხი ამოიღეს დღის წესრიგიდან.

თუმცა რუსეთმა მაინც ვერ მიადწია მის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის აღიარებას დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან.

საქმე ის არის, რომ ქართველი ერი არასოდეს არ შერიგებია რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიას. მიუხედავად რუსეთის იმპერიის მხრიდან სასტიკი რეპრესიებისა, ქართველი ხალხი განუწყვეტლივ იბრძოდა რუსეთის ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის. საკმარისია დავასახელოთ 1802, 1803, 1804, 1812, 1819, 1832, 1878, 1905 წლების აჯანყებები საქართველოში.

1907 წელს ქართველმა ერმა პეტციით მიმართა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას, სადაც აღნიშნული იყო ის ჩაგვრა, პატრიოტული ძალების დევნა, რასაც აღდგილი ჰქონდა საქართველოში რუსების ბატონობის პერიოდში.

რუსი ჯარისკაცი, თუ, რუსული ადმინისტრაცია საქართველოში — ეს იყო უცხო სხეული ქართულ ორგანიზმში, რომლის განდევნა აუცილებელი იყო ამ ორგანიზმის სრული ჯანმრთელობის აღდგენისათვის.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. ზოგი იურისტი არ ცნობს საქართველოს უფლებას, აღდგინა თავისი დამოუკიდებლობა მას შემდეგ, რაც იგი ანექსირებული იქნა რუსეთის მიერ ასზე მეტი წლის განმავლობაში. დროს ამ ხანგრძლივობის გამო მან თითქოს დაკარგა დამოუკიდებლობის აღდგენის უფლება. ეს იურისტები გამოდიან „ფაქტის ნორმატიული ძალიდან“, ე. ი. ფაქტი ქმნის და სპობს უფლებას, ამბობენ ისინი.

რაკი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია ას წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, მათი აზრით, ეს საკმარისია იმისათვის, რომ საქართველოს დაეკარგა დამოუკიდებლობის აღდგენის უფლება. ეს ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო სამართლის ცნებაში შეტანილ იქნეს ახალი დებულება, ახალი ცნება — ვადის გადასულობის ცნება, მაგრამ საერთაშორისო სამართალი ასეთ დებულებას არ ცნობს.

ამას მოითხოვენ ის იურისტები, რომლებსაც სურთ ტერიტორიის ხანგრძლივი მფლობელობით უფლება მისცენ ამა თუ იმ სახელმწიფოს, სამუდამოდ შეინარჩუნოს მის მიერ ოკუპირებული, ძალით დაპყრობილი ტერიტორია. ზოგიერთი იურისტი ამ შემთხვევაში ოკუპაციის ვადასაც კი ასახელებს — 20-30 წელი, რომლის შემდეგ, თითქოს, უფლება აქვს სახელმწიფოს, მისი აკუთროს მის

მიერ ოკუპირებული ტერიტორია. მასშინ როგორ მოხდა პოლონეთის. ირლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის აღდგენა, რომლებიც ას წელზე მეტს ხანს იყვნენ ოკუპირებული?

საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად (1871 წ.) პრუსიამ დაიპყრო საფრანგეთის ტერიტორიის ერთი ნაწილი — ელზასი და ლორენი, რომლებსაც ფლობდა 1919 წლამდე, დაახლოებით 50 წელი. როგორც კი გერმანია დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში, ჩანოერთვა ეს ტერიტორია და მის პატრონს — საფრანგეთს დაუბრუნდა. 1938 წელს გერმანიამ მოახდინა ავსტრიის ანშლუსი (შეერთება), მაგრამ გერმანია დამარცხდა მეორე მსოფლიო ომში და ავსტრია კვლავ გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ამრიგად, რუსეთის მიერ საქართველოს შეერთება და იქ ბატონობა თუნდაც ასი წლის განმავლობაში, საქართველოს არ უკარგავდა იმის უფლებას, რომ აღედგინა თავისი დამოუკიდებლობა. საქართველოს რუსეთისაგან ანექსიით არ დაუკარგავს იურიდიული დამოუკიდებლობა. ქვეყნის იურიდიულ დამოუკიდებლობას შეუძლია თანაარსებობა პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან. სწორედ ამ იურიდიული დამოუკიდებლობით ისარგებლა საქართველომ და 1918 წელს აღიდგინა თავისი დამოუკიდებლობა. მაგრამ ვიდრე 1918 წლის ამბებს შეგვხებოდეს, ისევ მინდა დავუბრუნდე 1783 წლის ტრაქტატს.

1919 წელს ენევაში გამოქვეყნდა 1783 წლის ტრაქტატის ფრანგული თარგმანი, რომელსაც ერთვის ენევის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორ პოლ მორიოს წინასიტყვაობა და ა. ოქუმელის კომენტარები.

პროფესორ პოლ მორიო აღნიშნავს, რომ თურქებისა და სპარსელების მხრიდან განუწყვეტელი შემოსევებით დასუსტებულმა ქართლ-კახეთის სამეფომ დახმარებისათვის მიმართა კავკასიონის იქეთ მდებარე ერთმორწმუნე დიდ სახელმწიფოს — რუსეთს. მაგრამ, ვაი რომ, მოსკოვის დათვმა, პროტექტორის საბაბით, თავისი ტოტები დაადო საქართველოს და შეუღდა იქ თავისუფლების ჩახშობას.

ფორმალურად ყველაფერი გაკეთდა: პოლ მორიო წერს: ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩი ინიშნებოდა პეტერბურგში ისეთივე პატივით, როგორითაც სხვა სუვერენული სახელმწიფოების ელჩები; რუსეთმა ხელი მოაწერა ამ ტრაქტატს, მაგრამ ის ამ ტრაქტატს პატივს არასოდეს არ სცემდა; 17 წლის განმავლობაში, ურეკლე II-ის შვილის, გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე, რუსეთი ტრაქ-

ტატით გათვალისწინებულ მფარველობას არ უწყევდა იმას, ვისთვისაც მას ეს უნდა გაეწია; მან საქართველო დატოვა ბედის ამბრა სპარსელებისა და თურქების წინაშე; ტრაქტატით აღმფოთებულ სპარსეთს რუსეთმა საშუალება მისცა შესეოდა აღმოსავლეთ საქართველოს, გაუნადგურებინა ქვეყანა და გადაეწვა მისი დედაქალაქი თბილისი; გარდაიცვალ რა გიორგი XII 1800 წლის 22 იანვარს, რუსეთმა კპოვა ხელსაყრელი მომენტი — ისარგებლა გიორგის შვილის, უფლისწულ დავითის დაყოვნებით, დაეკავებინა სამეფო ტახტი, ვიდრე არ მიიღებდა ტრაქტატით გათვალისწინებულ სათანადო ინტესტიტურას პეტერბურგიდან, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა 1801 წლის 28 იანვრის მანიფესტით გადაწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან, ხოლო მისმა შემკვიდრემ იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, იმავე წლის 28 სექტემბერს გამოაცხადა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია და იგი შეუერთა რუსეთის იმპერიას.

1801 წლის ორივე მანიფესტი იყო აშკარა ცალმხრივი მოქმედება რუსეთის მხრიდან, ეს ეწინააღმდეგებოდა ტრაქტატის მე-12 მუხლს; ეს იყო ძალადობა რუსეთის მხრიდან. ქართველ ხალხს ეს ანექსია არასოდეს არ უცნია და იგი მუდამ იბრძოდა რუსეთის ბატონობისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის, რაც დაგვირგინდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით — დაასკვნის პროფესორი პოლ მორიო.

როგორც ზემოთ ითქვა, ამ კამოცემას დართული აქვს ა. ოქუშელის ვრცელი კომენტარები. ჩემი აზრით, არც ეს იქნება ინტერესს მოკლებული ჩვენი მკითხველისათვის. აი ეს კომენტარებიც:

1783 წლის ტრაქტატი, დადებული რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სა და ქართლ-კახეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) მეფე ერეკლე II-ს შორის ყველაზე ძველია და უფრო მნიშვნელოვანი ანალოგიურ ხელშეკრულებებს შორის, რომლებიც დაიდო უფრო გვიან რუსეთის იმპერატორებსა და დასავლეთ საქართველოს — იმერეთის მეფეს (1804 წ.), სამეგრელოს (1803 წ.), გურიის (1810 წ.), აფხაზეთის (1810 წ.) და სვანეთის (1833 წ.) მთავრებს შორის.

ყველა ეს სამეფო და სამთავრო, ერთმანეთთან მიქიდროდ დაკავშირებული წარმოშობით, ენით, ქრისტიანული კულტურით და ეროვნული შეგნებით, ქმნიდნენ უძველესი დროიდან ერთიან საქართველოს. ეს ფაქტი დადასტურებულია სხვათაშორის, თვით რუსეთის იმპერატორების სატიტულო წიგნში, რომელსაც ჰქვია „საქართველოს მეფეები“.

1783 წლის ტრაქტატის პრეამბულა შეიცავს მისი დადების მოტივებს. დაახლოებით 2 ათასი წელი დამოუკიდებლობაში ყოფნის შემდეგ, რომელიც აღსაფხუროს იყო საშინელი განცდებით და ქართველთა გმირული ბრძოლებით, საქართველომ დაინახა, რომ აუცილებელია ზოგიერთ დამოუკიდებელ წავიდეს და ეძიოს პროტექტორობა ერთმორწმუნე რუსეთთან.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453 წ.), მთლიანად გამოყოფილი დასავლეთ ევროპისაგან, რომელთანაც ის ყოველთვის ცდილობდა შეენარჩუნებინა პირდაპირი ურთიერთობა, პატარა საქართველო აღმოჩნდა, როგორც მცირე კუნძული მუსლიმანური ზღვის ცენტრში, რომლიდანაც გადმოსული ტალღები ყოველ წუთს შთანთქმით ემუქრებოდნენ მას.

ეს ის პერიოდია, რომელიც შეესაბამება საქართველოს ასწლიან ომს, ომს სიცოცხლისა და სიკვდილისათვის, ყველაზე დიდი და ყველაზე დაუნდობელი მეზობლების — თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ. რომელთა ურდოებმა მრავალჯერ ცეცხლს და სისხლს მისცეს მთელი ქვეყანა, გადააქციეს რა ქალაქები და სოფლები ნანგრევებად, მიჰყავდათ რა თან ყოველთვის ათასობით ქალი და კაცი.

ეს ის პერიოდია აგრეთვე, რომელიც უკავშირდება აქამდე ერთიანი საქართველოს დაქუცმაცებას სამეფო-სამთავროებად, მთელი სამხრეთ-დასავლეთი რაიონის ჩამოცილებას და მისი ძალით გამაჰმადიანებას. ეს რაიონებია: მესხეთი და ჭანეთი, სახელდობრ ქალაქები: ახალციხე, ახალქალაქი, ბათუმი, არდაგანი, ოლთი, ლაზისტანი, რომლებიც ქართველთა სულიერი განვითარებისა და სახელმწიფოებრიობის შექმნის უძველესი კერებია.

ამ საბედისწერო შედეგების შემდეგ აღინიშნება მოსახლეობის დიდი შემცირება: თუ XV საუკუნეში საქართველოში შვიდი მილიონი მცხოვრები იყო, XVIII საუკუნის ბოლოს მისი რაოდენობა 500 ათასამდე დავიდა, იმავე დროს, საქართველოს ტერიტორია სამჯერ შემცირდა.

თავისი მეზობლების მხრიდან განუწყვეტელი შემოსევებით შევიწროებულმა და დასუსტებულმა ქართლ-კახეთის სამეფომ, გადაწყვიტა, უარი ეთქვა თავისი სუვერენიტეტის ერთ ნაწილზე რუსეთის სასარგებლოდ, რომლისაგანაც იგი ელოდებოდა დახმარებას და თავისი კრილობების განკურნებას.

გადავიდეთ 1783 წლის ტრაქტატის მოკლე იურიდიულ ანალიზზე. ამასთანავე შევხდეთ სასარგებლო იქნება, აქვე ერთმანეთისაგან განვსხვავოთ ფორმა და შინაარსი.

რაც შეეხება ფორმას, ტრაქტატი აკმაყოფილებს საერთაშორისო სამართლის ყველა მოთხოვნებს. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ არაფრის მთქმელ ფრაზებს და მის მაღალფარდოვან სტილს, რომელიც ეპოქისათვის არის დამახასიათებელი, სახეზე გვაქვს ჩვეულებრივი ორმხრივი აქტი, რომელიც ორი კანონიერი წარმომადგენლობის — რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო და რომლებიც თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ. ამ ტრაქტატით ორივე მხარემ აიღო განსაზღვრული ვალდებულებები, მე-12 მუხლში კი ჩაიწერა, რომ ტრაქტატს შეეცვლა მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით შეიძლებოდა.

რაც შეეხება შინაარსს, ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს აყენებდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. რუსეთზე ქართლ-კახეთის სამეფოს ეს დამოკიდებულება, რამდენადმე შერბილებულია ეკატერინე II-ის მიერ მოცემული ფორმულით. მისი აზრით, ეს არის ორ სახელმწიფოს შორის დადებული „მკიდრო კავშირი“. მე-6 მუხლში ნათქვამია: „მისი საიმპერატორო უდიდებულესობა პირობას იძლევა, რომ ქართლისა და კახეთის ხალხები მიჩნეული იქნებიან მკიდრო კავშირსა და სრულ თანხმობაში ამ იმპერიასთან“, ხოლო პრემიულაში სიტყვა „მეგობრობაც“ კია ნახმარი.

პროტექტორატის ამ გარემოების საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფო უარს ამბობდა თავისი საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობაზე. მე-4 მუხლში ნათქვამი იყო: „მეფე ვალდებულია, არ დააწყაროს ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, მის კარზე აკრედიტებული მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მინისტრთან და მთავარ სასაზღვრე უფროსთან შეთანხმების გარეშე“.

პირიქით, საშინაო პოლიტიკის სფეროში ტრაქტატი არაფრით არ ზღუდავდა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტს. მე-6 მუხლის თანახმად, რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას კისრულობდა, არ ჩაერეულიყო ქვეყნის საშინაო საქმეებში...

ამ ფაქტის დამადასტურებელი ის იყო, რომ ორივე ქვეყანა აწესრიგებდა თავიანთ ურთიერთობას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ისინი ნიშნავდნენ თავიანთ სათანადო წარმომადგენლებს (ელჩებს) პეტერბურგსა და თბილისში; უნდა დაეცვათ ერთმანეთის საზღვრები. ბოლოს ეს საკითხი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ერეკლე მეფისათვის. ეკატერინე II დაჰპირდა, და ეს ჩაიწერა ტრაქტატის მე-6 მუხლში, რომ დაიცავდა არა მარტო დღევანდელ ტერიტორიას, არამედ მომავალში შემოერთებულ ქართულ ისტორიულ ტერიტორიებსაც. (მუხ. 2).

განსაკუთრებით საინტერესო იყო ამ გარანტიის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადაც ეკატერინე ჰპირდებოდა ერეკლეს ახალი ტერიტორიების შემოერთებას. რა ტერიტორიები შეიძლებოდა ყოფილიყო ეს? ეჭვს გარეშეა, რომ აქ იგულისხმება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორია (ახალციხე, ახალქალაქი, ბათუმი, არდაგანი, ოლთი, ლაზისთანი), რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ეს გამომდინარეობს დამატებითი შეთანხმების მე-4 პუნქტიდან. რომელსაც მაშინვე მოაწერეს ხელი.

ომის შემთხვევაში, ნათქვამი იყო ამ მუხლში, მისი საიმპერატორო უდიდებულესობა კისრულობს ვალდებულებას, რომ სამხედრო თვალსაზრისით გააკეთებს ყველაფერს, რაც კი შეიძლება, ხოლო ზაღის შემთხვევაში, ასევე გააკეთებს ყველაფერს, რათა საქართველომ დაიბრუნოს ყველა ძველი ტერიტორია, რომელიც უძველესი დროიდან ეკუთვნოდა ქართლისა და კახეთის სამეფოებს. ეს ტერიტორიები არაა დასახელებული იმ თვალსაზრისით, რომ ეს იქნებოდა წინდაწინ ომის გამოცხადება თურქეთისადმი, რაც ხელს არ აძლევდა არც რუსეთს და არც ქართლ-კახეთის სამეფოს.

შემდგომში, სხვადასხვა დროს, რუსეთმა შემოუერთა ეს ტერიტორიები საქართველოს: ახალციხე და ახალქალაქი — 1829 წელს; ბათუმი, არდაგანი, ოლთისი, ყაზსი — 1878 წელს; ხოლო, რაც შეეხება ლაზისთანს — იგი დარჩა თურქეთის ხელში. ერთი რამ ცხადია, რომ ეს ტერიტორიები ქმნიდნენ საქართველოს განუყოფელ და ორგანულ ნაწილს.

რუსეთი არ დაეხმარა 1795 წელს, როდესაც სპარსეთმა დიდი ზარალი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს. ამას მოჰყვა ტრაქტატის სხვა დარღვევებიც რუსეთის მხრიდან. არაკეთილსინდისიერი მოქმედება იყო მისი მხრიდან 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს მიერთება რუსეთთან. ეს აქტი, ისევე როგორც ანალოგიური ცალმხრივი სხვა აქტები, რომლებიც მას მოჰყვა და აუქმებდნენ საქართველოს ყველა უფლებას და უპირატესობას, მთლიანად ეწინააღმდეგებოდა 1783 წლის ტრაქტატის არსს, განსაკუთრებით მის მე-12 მუხლს.

რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიამ არ ჩაიარა შეუმჩნეველად უცხოეთში. პირიქით, ინგლისმა და საფრანგეთმა ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ ფორმალური პროტესტი განაცხადეს. შემდგომში, რუსეთის ეს ძალადობა არ უცნიათ არც ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე ან კონგრესზე. ამრიგად, ის რჩებოდა უკანონო აქტად რუსეთის იმპერიის დაშლამდე, რაც მოხდა 1917 წელს.



საგულისხმოა ის, რომ 1783 წლის ტრაქტატი ფორმალურად არასოდეს არ ყოფილა გაუქმებული რომანოვის მთავრობის მიერ.

1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ, საქართველო აღმოჩნდა იმავე სიტუაციაში, რომელშიც იყო 1783 წლის ტრაქტატის დადებამდე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამჟამად მას თავისი დამოუკიდებლობა უნდა დაეცვა არა მარტო უხვად შეიარაღებული თურქი დამპყრობლებისაგან, არამედ ასევე შეიარაღებული ბოლშევიკური რუსეთის მხრიდანაც, რომელიც ჩრდილოეთიდან უტედა მას...

## საქართველოს საკითხი ანტანტის წარმოგადგენელთა თათბირზე

1919 წლის მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე პარიზში იყო-  
ფებოდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის  
დელეგაცია (კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, ზ. ავალიშვილი და სხვ.).  
1919 წლის 14 მარტს ამ დელეგაციამ მემორანდუმი გადასცა პარი-  
ზის კონფერენციას, სადაც დასაბუთებული იყო საქართველოს  
მთავრობის შუამდგომლობა დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

1919 წლის 6 სექტემბერს ფრანგულ გაზეთ „ელზნალ ოფი-  
სიელ“-ში გამოქვეყნდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტ-  
როს წარმომადგენლის შემდეგი პასუხი: საფრანგეთის მთავრობას  
ჯერარ უცნია ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა  
მდგომარეობა ამიერკავკასიაში არეულია და დაუდგრობელი. ამაღ-  
ნად ამიერკავკასიის რესპუბლიკების არსებობა მერყეოდ გვეჩვენება.  
რაც შეეხება საქართველოს, იგი რუსებთან და სომხებთან საომარ  
მდგომარეობაშია. საფრანგეთის მთავრობა ყოველთვის სიმპათიურად  
იყო განწყობილი ამიერკავკასიის ხალხებისადმი. ამ ხალხებს დელე-  
გატებს ნება აქვთ ჩამოვიდნენ პარიზში. საფრანგეთს ჰყავს თავისი  
წარმომადგენლები ბაქოში, თბილისსა და ბათუმში. თბილისში არის  
ასევე საფრანგეთის სამხედრო მისია. საფრანგეთის მთავრობა მზად  
არის, ხელი შეუწყოს გაჭრობის განვითარებას საფრანგეთსა და სა-  
ქართველოს შორის.

1919 წლის ნოემბრისათვის ბოლშევიკებმა გადაწყვეტი შეტევა  
განახორციელეს დენიკინის ჯარებზე. თუ დენიკინი ბოლშევიკებზე  
გაიმარჯვებდა, სწერდა თავის მთავრობას საფრანგეთის წარმომად-  
გენელი საქართველოში, იგი მთელი თავისი ძალით საქართველოს  
შეუტევდა, მაგრამ თუ ბოლშევიკები დენიკინზე გაიმარჯვებდნენ,  
საქართველო ბოლშევიკების პირისპირ აღმოჩნდებოდა. იმავე წლის  
დეკემბერში ინგლისის მთავრობამ სამხრეთ რუსეთში გაგზავნა თა-  
ვისი კომისარი, პარლამენტის წევრი მაკინდერი. იგი თავის მთავრო-  
ბას აცხობინებდა, რომ არსებობდა დაძაბული ურთიერთობა დენი-  
კინსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის.

1920 წლის 19 იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამი-  
ნისტროს შენობაში ჩატარდა ანტანტის უმაღლესი საბჭოს სპეცია-

ლური სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო. სხდომას ესწრებოდნენ ინგლისის პრემიერად ლიონ ჯორჯი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი, სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, გენერალი პენრი ვილსონი; საფრანგეთიდან მარშალ ფოში, ყოფილ კამბონი, გენერალ ბერტელო; იტალიიდან პრემიერი ფრანჩესკო ნიტი, სკიალოჯა და სხვ.

აი ამონაწერი ამ სხდომის ოქმიდან:

**ლორდი კერზონი:** ლიონ ჯორჯი ეს-ეს არის შევხვო სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის საკითხებს. სამხრეთ რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვებამ მოწინააღმდეგეებს შეუქმნა სასიკვდილო სამხედრო საწინააღმდეგობა. ვერსალის კონფერენციის საბჭომ უნდა განიხილოს ეს საკითხი, მაგრამ ამ პრობლემას აქვს პოლიტიკური ასპექტი, რომლებიც მინდა საბჭოს წარუდგინო. კავკასიაში არის სამი სახელმწიფო: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. სომხეთის საკითხი გადაწყდება ვერსალის კონფერენციაზე მაშინ, როდესაც გადაწყდება თურქეთის საკითხი. ამრიგად, რჩება საქართველო და აზერბაიჯანი, რომელთა დამოუკიდებლობა უკანასკნელ წელიწადნახევარში მეტად დაუშაბუთებელი ჩანდა. ეს ორი ქვეყანა იმყოფებოდა სამი საწინააღმდეგობის ქვეშ: მათ ჩრდილოეთიდან ემუქრებოდა დენიკინის არმია, მათ საწინააღმდეგობას უქმნიდნენ ბოლშევიკები, რომლებიც დენიკინს ებრძოდნენ და ბოლოს, სამხრეთიდან მათ ემუქრებოდნენ თურქები.

საქართველოსა და აზერბაიჯანს იმედი ჰქონდათ ინგლისის, რომლის ჯარები ამ ქვეყნებში იყვნენ. მართალია, ინგლისმა შემდგომში თავისი ჯარები გაიყვანა ამ ქვეყნებიდან, მაგრამ მისი ნაწილები ჯერ კიდევ რჩებიან ბათუმში. ინგლისის კონსულები არიან ბაქოში, თბილისსა და ბათუმში. საქართველოში არის სოციალისტური (მაგრამ ანტიბოლშევიკური) მთავრობა.

**გენერალ ბერტელო:** ამ საკითხებზე მე უკვე მქონდა ლაპარაკი ლონდონში ლიონ ჯორჯთან და ლორდ კერზონთან. შედეგებზე მოვახსენე პრემიერ კლემანსოს. ჩემთვის ცნობილია, რომ ლორდ კერზონი მხარს უჭერს საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების დე ფაქტო ცნობას.

**სკიალოჯა:** იტალიის მთავრობა მზადაა, ცნოს საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები დე ფაქტო ისევე, როგორც იტალიამ უკვე ცნო ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა.

**გენერალ ბერტელო:** ასეთი ნაბიჯი ანტანტის სახელმწიფოებმა ერთად უნდა გადადგან.

**უიულ კამბონი:** ინგლისისა და იტალიის წარმომადგენლებთან ერთად ამ დღეებში ჩვენ შევხდით საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს პარიზში და საუბარი გვქონდა მათთან. მე მათ ვაცნობე ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მათი რესპუბლიკების ცნობის შესახებ.

საუბრის მონაწილეთა შეკითხვაზე: საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს ხომ არა აქვთ რაიმე თხოვნა, ირ: წერეთელმა უპასუხა: ორივე რესპუბლიკა საქიროებს ფინანსურ, პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას. ეს აუცილებელია მათი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

საუბრის დროს გამოირკვა, რომ ამ რესპუბლიკებს უფრო დენიკინის ეშინიათ, ვიდრე საბჭოთა რუსეთის. ი. წერეთელს სთხოვეს, წარმოედგინა საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო მდგომარეობა. მან უპასუხა, რომ საქართველოს შეუძლია გამოიყვანოს დაახლოებით 50 ათასი კაცი, აზერბაიჯანს კი — დაახლოებით ასი ათასი. ეს არის რეგულარული არმია, რომლის ოფიცრები არიან რუსეთის ყოფილი არმიიდან წამოსულები. ი. წერეთლის აზრით, ჯარის ეს ნაწილები საკმარისი იყო ორივე რესპუბლიკის თავდაცვისათვის.

უიულ კამბონის ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ლოიდ ჯორჯმა ითხოვა დეტალური ცნობები დალესტანის შესახებ და დასძინა, რომ კავკასიაში არის ოთხი ერთეული: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და დალესტანი. აქედან პირველი ორი ქრისტიანული ქვეყნებია. ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ ყველა მათ წინააღმდეგ გამოდის დენიკინი, რომელიც დაკავშირებულია ინგლისთან. ეს კი გვიქმნის გარკვეულ სიძნელეებს. ჩვენ შევეცადეთ დენიკინი შეგეჩერებინა, მაგრამ ვერ შევძელით. ინგლისს ბათუმში მხოლოდ ორი ბატალიონი ჰყავს. ახლა საკითხი დგას ინგლისის წინაშე: წაპოვიყვანოთ ბათუმიდან ეს ნაწილები თუ არა? ინგლისი მზადაა, დატოვოს ისინი იქ, თუ ეს საჭირო იქნება.

უორუ კლემანსო: ჩვენ განვაგრძობთ კავკასიის საკითხის განხილვას. მგონია, რომ პირველ რიგში საჭიროა მოვეუსმინოთ გენერალ ჰენრა ვილსონს ან მარშალ ფოშს.

მარშალ ფოში: ეს საკითხები განხილულ იქნა ვერსალში ანტანტის სახელმწიფოების სამხედრო კომიტეტში. კომიტეტმა მაშინ გამოთქვა თავისი აზრი და მე მინდოდა ამის შესახებ აქ მეთქვა.

უორუ კლემანსო: თქვენ მხედველობაში გაქვთ 12 იანვრის გადაწყვეტლება. მის შესახებ აქ ყველამ იცის, მაგრამ ხომ არ გინდათ რაიმე დაუპატო?

**მარშალ ფოში:** არა, ბატონო თავმჯდომარე, არაფერი მაქვს დასამატებელი, ვინაიდან მას შემდეგ სიტუაცია არ შეიცვლებოდა და თუ შეიძლება, ყველა შემთხვევაში არა ჩვენ სასარგებლოდ.

**ლოიდ ჯორჯი:** აუცილებელია ხელმძღვანელობი ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვება, რათა შეგვეძლოს ამ საკითხის განხილვა.

**ჟორჯ კლემანსო:** თანახმა ვართ.

**ლოიდ ჯორჯი:** ბოლშევიკებს შესაჩერებლად ღირს თუ არა იარაღით მოვამარაგოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკები და თუ ეს საჭიროა, ეს უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ?

**მარშალ ფოში:** ამ კითხვაზე ახლავე ძნელია პასუხის გაცემა. ჯერ უნდა ვიცოდეთ ზუსტად, თუ რა მდგომარეობაა კავკასიაში. ჟორჯ კლემანსოს შუკითხვაზე, მარშალ ფოში ხომ არ ფიქრობს იქ ანტანტის ქვეყნების გენერლების გაგზავნას, ფოშმა უპასუხა, რომ დენიკინის არმიასთან უკვე არის ორი გენერალი: ერთი ინგლისელი და ერთი ფრანგი.

**ლოიდ ჯორჯი:** მე მჭირდება სამხედრო რჩევა, ვინაიდან ჩვენ გვითხრეს, რომ ამ ქვეყნებს უნდა აღმოუჩინოთ სამხედრო დახმარება. მინდა ვიცოდე, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ეს?

**მარშალ ფოში:** მე არ ვგამაჩნია არაფითარი ინფორმაცია იმის შესახებ, მზად არიან თუ არა ეს ქვეყნები სამხედრო დახმარების მისაღებად და მათი ხელსაყრელი გამოყენებისათვის, თუ ის, რისი გაგზავნაც მათთვის შეგვიძლია, შეიძლება ხელში ჩაუღარდეთ ბოლშევიკებს?

**გენერალ ჰენრი ვილსონი:** გუშინწინდელ სხდომაზე, განვიხილეთ ინგლისის ძალების მდგომარეობა კასპიის ზღვის რაიონში და ბაქო-ბათუმის ხაზის დაცვის საკითხი, სადაც აღინიშნა, რომ ეს დაცვა არ არის საკმარისი. ასეთ შემთხვევაში ბაქო შეიძლება იოლად აღებული იქნეს მოწინააღმდეგის მიერ.

**ლოიდ ჯორჯი:** მე ვღებულობ ჰენრი ვილსონის ამ რჩევას და მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ არაა საჭირო სამხედრო დახმარება გავუწიოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

**ჰენრი ვილსონი:** თუ ბრიტანეთის ფლოტის მიერ საქმაოდ დაცული არ იქნება კასპიის ზღვის რაიონი, მაშინ მე არაფერს არ გავგზავნი იქეთ.

**უინსტონ ჩერჩილი:** მე სავსებით ვეთანხმები ჰენრი ვილსონს. მართლაც, თუ კასპიის რაიონი სათანადოდ დაცული არაა, ყველაფერი, რასაც ჩვენ იქეთ გავგზავნით, ხელში ჩაუღარდება ბოლშევიკებს.

**ლორდი კერზონი:** მე აუცილებლად ვთვლი, დაცხადიანო შემდეგი პენრი ვილსონის აზრით, თუ მოკავშირეთა სამხედრო მისია დამარცხდებოდა, მაშინ ჩვენ იქეთ არ უნდა გავგზავნოთ სამხედრო დახმარება. ნავრამ ეს საკითხი, ჩემი აზრით, ამომწურავად აოაა შესწავლილი. მე მქონდა საუბარი კაჯასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებთან, რომლებიც ამჟამად აქვე მეზობელ ოთახში იმყოფებიან. მათ მითხრეს, რომ ისინი ელოდებიან ბოლშევიკების თავდასხმას, მაგრამ თავს დაიცავენ, თუ ჩვენ მათ ზოგამარაგებთ იარაღით, სამხედრო აღჭურვილობით და სურსათით. დახმარების გარეშე მათი დამარცხება გარდუვალია. ყოველ შემთხვევაში, მე შემომავს წინადადება, ნუ გავაკეთებთ დასკვნას, ვიდრე მათ არ მოუყვამენთ.

**მარშალ ფოში:** მე ვიმეორებ ჩენს კითხვას: შეგვიძლია თუ არა, აქვე მივიღოთ საკმარისი ინფორმაცია კაჯასიაში შექმნილი ვითარებებს შესახებ? მე კი მგონია, რომ ჩვენ საკმაო ინფორმაციის მძღება არ შეგვიძლია მანამ, სანამ იქ არ გავგზავნით ანტანტის ქვეყნებს წარმომადგენლებს.

**ჟორჟ კლემანსო:** რაკი ამ შენობაში არიან საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები, გვაქვს შესაძლებლობა მათ მოუტყმინოთ. თათბირის მონაწილეთა წინაშე წარსდგენვ კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, ზ. ავალიშვილი, თოფჩიბაშევი და მაგარამოვი. კ. ჩხეიძე და ირ. წერეთელი დასვენს თავმჯდომარის — ჟორჟ კლემანსოს წინ.

**ჟორჟ კლემანსო:** ჭენტლმენებო, კონფერენცია განიხილავს საკითხს, დაუყოვნებლივ გაიგზავნოს თუ არა სურსათი, იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა საქართველოში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თქვენ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენს ქვეყნებზე ბოლშევიკების შეტევის შემთხვევაში თქვენი თავდაცვითი შესაძლებლობის შესახებ. ჩვენ გვინდოდა წინასწარ გვეცოდნოდა: შეგიძლიათ თუ არა ასეთ ვითარებაში გამოიყენოთ ის დახმარება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ. ჩვენ განწყობილი ვართ, გავაკეთოთ თქვენთვის რაიმე სასარგებლო, მაგრამ გვინდოდა გვეცოდნოდა ახლანდელი მდგომარეობა თქვენს ქვეყნებში და გამოსადეგი იქნებოდა თუ არა ასეთი დახმარება ბოლშევიკების წინააღმდეგ, თუ, მოხდება ისე, რაც გენერალ დენიკინს მოუვიდა: ბოლშევიკები აღმოჩნდებიან თქვენზე უფრო ძლიერნი და ხელთ იგდებენ ჩვენგან გავზავნილ ყველაფერს.

**ი. წერეთელი:** მე ვლაპარაკობ როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის დელეგაციის სახელით. ალბათ, ბოლშევიკები შემო-

გვიტყვიან, თუმცა ამაში მთლიანად დარწმუნებულნი არა ვართ. თუ ანტანტა დაგვეხმარებოდა, ბოლშევიკები, ალბათ, თავს შეიკავებდნენ. ყველა შემთხვევაში ჩვენ გეჭირდება დიდი სახელმწიფოების დახმარება თავდაცვისათვის.

**ჟორჟ კლემანსო:** ასე გავიგე, რომ თქვენ გინდათ, ჯარიც გამოგზავნოთ თქვენთან?

**ი. წერეთელი:** ეს უკეთესი იქნებოდა, ხოლო შავი ზღვის მხრიდან თქვენი ძალებით დაცვა გამოგზავნილი იარაღის, სამხედრო აღჭურვილობისა და სურსათისა ფასდაუდებელი შველა იქნებოდა ჩვენთვის. ჩვენი ხალხის საულიერი განწყობა ასეთია: თუ ჩვენ თავს დაგვესხმიან, მაგრამ ერთდროულად მივიღებთ ანტანტის სახელმწიფოების დახმარებას, ჩვენ უკუეაქცევთ ნებისმიერ თავდასხმას, ხოლო ასეთი დახმარება საჭიროა დაუყოვნებლივ. ჩვენ გვინდოდა ხანაგასმით გვეტყა, რომ მდგომარეობა კავკასიაში საშიშია მოსახლეობის მორალური განწყობის თვალსაზრისით. როდესაც ჩვენს მიწაზე იმყოფებოდა დენიკინის ნაწილები, ხალხი თავგამოდებით იბრძოდა მის წინააღმდეგ. დღეს ხალხი ხედავს, რომ თქვენ ჩვენი დამოუკიდებლობა ცანით და ახლა ხალხს მთელი ძალა მით უფრო გამოყენებული იქნება დამოუკიდებლობის დასაცავად. იმედი გვაქვს, რომ მივიღებთ ანტანტის უმადლესი საბჭოს მხარდაჭერას. ჩვენ არ ვვინდა ომი. ჩვენ მზადა ვართ ბოლშევიკებთანაც წავიდეთ შეთანხმებაზე, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ იმ პირობით, თუ ისინი ცნობდნენ ჩვენს დამოუკიდებლობას.

**ჟორჟ კლემანსო:** თქვენ ნამდვილად მოაწერდით ხელს შეთანხმებას ბოლშევიკებთან?

**ი. წერეთელი:** დიად. იმ პირობით, თუ ისინი პირობას მოგვცემენ, რომ არ შემოიჭრებიან და არ შეეცდებიან გასწონ პრობაგანდა ჩვენს ხალხში, მაგრამ უნდა გავიმეორო, რომ თუ ჩვენ ვიქნებით ძლიერნი და ანტანტის სახელმწიფოები დაგვეხმარებიან, ბოლშევიკები იძულებულნი გახდებიან, ცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა და უარი თქვან თავიანთ აგრესიაზე.

მე მაინც მინდოდა აღმენიშნა, განაგრძო ი. წერეთელმა, რომ არსებობს ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკა: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. გვინტერესებს, რატომ არ იქნა ცნობილი დე ფაქტო სომხეთის დამოუკიდებლობა? სომხეთის დამოუკიდებლობის ცნობა ჩვენ სამივეს დაგვეხმარებოდა ყოველგვარი აგრესიისაგან თავის დაცვაში.

ლოიდ ჯორჯი: რამდენი კაცი შეუძლია იარაღქვეშ დააყენოს აზერბაიჯანში?

**მაგამაროვი:** ჩვენ პატარა არმია გვყავს აზერბაიჯანელი გენერლის მეთაურობით, დაახლოებით 50 ათასი ძლიერი და დისციპლინირებული, მაგრამ მათგან მხოლოდ 10-12 ათასია შეიარაღებული.

**ლოიდ ჯორჯი:** საქართველოს?

**ი. წერეთელი:** ჩვენ გვყავს 16 ბატალიონი რეგულარული ჯარი. ყოველი ბატალიონი შეიცავს 600 ჯარისკაცს და დაახლოებით 15 ათასიანი ეროვნული გვარდია. ეს კარგად დისციპლინირებული ჯარია. ორი კვირის განმავლობაში კი შეგვიძლია 50 ათასი კაცის მობილიზება, თუ გვექნება იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა. ამავე დროს, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში იმედი გვაქვს ჩვენი ხალხისა, რომელიც აღჭურვილია დიდი ეროვნული გრძობით. მე თვითონ არა ვარ სამხედრო სპეციალისტი, მაგრამ თუ ანტანტის სამხედრო საბჭოს სურს ჰქონდეს ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია, შეგვიძლია დავუკავშირდეთ ჩვენს მთავრობას ტელეფონით თბილისში.

**ლოიდ ჯორჯი:** არსებობს თუ არა საქართველოში საყოველთაო სამხედრო ვალდებულება?

**ი. წერეთელი:** რუსეთის არმიაში ქართველი ოფიცრები საუკეთესოდ ითვლებოდნენ. ჩვენი ჯარის ნაწილები რუსეთის არმიის თაიგული იყო.

**ლოიდ ჯორჯი:** გაიარა თუ არა აზერბაიჯანის ახალგაზრდობამ სამხედრო სამსახური?

**მაგამაროვი:** ჩვენ არ გაგვაჩნდა კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ, მაგრამ ომის წინ ორგანიზებულ იქნა მოხალისეთა ნაწილები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჯარში. ჩვენ გვყავს ცნობილი ოფიცრები და გენერლები. ჩვენმა რესპუბლიკამ მხოლოდ ორი წლის წინ მიიღო კონსტიტუცია. ამის შემდეგ ჩვენს ახალგაზრდობას უკვე ჯარში იწვევენ.

**ლოიდ ჯორჯი:** მიღებული ცნობების თანახმად, ზოგიერთი აზერბაიჯანელი ოფიცერი წარმოშობით თურქია. გვაძლევს თუ არა ამ ოფიცრებს აზერბაიჯანის არმიაში ყოფნა ბოლშევიკების წინააღმდეგ მათი ბრძოლის აუცილებელ გარანტიას?

**მაგამაროვი:** რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ, განსაკუთრებით უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, ბევრი აზერბაიჯანელი წავიდა ემიგრაციაში თურქეთში, ხოლო შემდეგ, როდესაც თურქეთი შეიჭრა კავკასიაში, მისი ჯარის ოფიცერთა ერთი ნაწილი, წარმოშობით აზერბაიჯანელი და დაღისტნელი, დარჩა აზერბაიჯანში და დაღისტანში, მაგრამ ისინი აზერბაიჯანული წარმოშო-



ბისა არიან და შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, როგორც მთელი ჩვენი მოსახლეობა, ისინიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ სამშობლოს დასაცავად.

**თოფჩიბაშევი:** ჩვენ, აზერბაიჯანის მცხოვრებლებს, უფრო გვეშინია ბოლშევიკებს, ვიდრე ჩვენს მეზობელ ქართველებს, ვინაიდან ანის გამოცდილება გვაქვს. ბოლშევიკებმა ოთხ თვეში მოახდინეს ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია. მე თვითონ, ამიერკავკასიის კომიტეტის წარმომადგენელი, მათ დამპატიმრებს და ოთხთენაშეგარი ვიყავი პატიმრობაში. ჩვენ საშიშროება მოგვეცა ორი მხრიდან: ჩრდილოეთიდან და კასპიიდან. კასპიიდან ინგლისელებს იმედი გვაქვს, რომელთაც ბაზა აქვთ ნავსადგურ ენზელში და მათ შეუძლიათ გამოგვიყონ გემი ან, უკიდურეს შემთხვევაში, იარაღით და სამხედრო აღჭურვილობით მოგვამარაგონ. რაც შეეხება ჩრდილოეთის საზღვარს, გვჯერა, რომ მთელი ამიერკავკასიის, კერძოდ, აზერბაიჯანის დაცვისათვის მიზანშეწონილი იქნებოდა ანტანტის სახელმწიფოების მიერ მთიელთა (დაღისტანის) რესპუბლიკის ცნობა, რომელიც ბუნებრივი სახელმწიფო გახდებოდა ბოლშევიკებსა და ჩვენს შორის. ეს მთიელები მამაცი ხალხია.

**ლოიდ ჯორჯი:** დენიკინის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლები თუ იყო საქართველოსა და დაღისტანში?

**ი. წერეთელი:** დენიკინმა დაიპყრო დაღისტანი. ბრძოლები მიმდინარეობდა დენიკინისა და მთიელთა ნაწილებს შორის. რაც შეეხება საქართველოს, დენიკინი ყოველთვის ემუქრებოდა მას. ჩვენ სიმპათიურად ვიყავით განწყობილი მთიელებს მიმართ, რომლებიც თავს იცავდნენ.

**ლოიდ ჯორჯი:** რატომ შეუტია დაღისტანს დენიკინმა?

**ი. წერეთელი:** დენიკინი განიხილავდა დაღისტანს და მთელს ამიერკავკასიას, როგორც ყოფილი რუსეთის პროვინციას. მას ამ ტერიტორიების დაპყრობისათვის ბრძოლა უფრო იოლ საქმედ მიაჩნდა, ვიდრე ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ მიმართა თავისი იარაღი ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ.

**ლოიდ ჯორჯი:** მას დიდი ძალები გააჩნდა?

**ი. წერეთელი:** მისი ძალები საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ზუსტად არ შემოიძლია დასახელება. მას მოუხდა დიდძალი ჯარის გამოყენება იმ ბრძოლების დროს, რომლებიც მთიელებმა გაუმართეს. ბრძოლები თითქმის მთელი წელიწადი გრძელდებოდა. მე არ ვიცი

ახლა გრძელდება თუ არა ეს ბრძოლები. ჩვენ არ გაგვაჩნია უკანასკნელი ცნობები. მაგრამ როგორი ძალებიც არ უნდა ჰყავდეს დენიკინს, მისი ძალები დეზორგანიზებულია და დემობილიზებული. უქვევლია იგი უკვე დიდ ძალას არ წარმოადგენს.

**ლოიდ ჯორჯი:** როგორია კავკასიის დამოკიდებულება დენიკინისადმი?

**ი. წერეთელი:** თბილისიდან მიღებული ცნობების თანახმად, რომელსაც ადასტურებს ყუბანის დელეგაციის წარმომადგენელი ბიტჩი, რომელიც პარიზში იმყოფება, ყუბანის მოსახლეობაში გამეფებულია დიდი არეულობა. შესაძლებელია, მან კიდევ მიიღო უკვე განსახლებული მიმართულება. ახლანდელ ვითარებაში წითელ არმიას შეუძლია ყუბანის დაკავება. ბოლშევიკების წინააღმდეგ ყუბანის ბრძოლის ორგანიზაცია ხდება ყუბანის რადის პრეზიდენტის მაგარამკოს მეთაურობით.

**ლოიდ ჯორჯი:** რამდენი ხანია ყუბანის დელეგაცია იმყოფება პარიზში?

**ი. წერეთელი:** ერთი წელი.

**ლოიდ ჯორჯი:** ყუბანში მიმდინარეობს სეპარატული მოძრაობა?

**ი. წერეთელი:** ეს საკითხი უშუალოდ ეხება ყუბანის დელეგაციას, რომელსაც კავშირი აქვს თავის ქვეყანასთან. ამ დელეგაციამ ვერსალის კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი თხოვნით, ეცნოთ ყუბანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

**ფრანჩესკო ნიტი:** თუ სწორად გავიგე, დენიკინის არმიის მიზანია უფრო ძველი ცენტრალიზებული რუსეთის აღდგენა, ვიდრე ბოლშევიკების დამარცხება. ბატონო წერეთელო, თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ თუ არა?

**ი. წერეთელი:** მე ამაში დარწმუნებული ვარ. მე არ ვიცი დენიკინის მიზნები, მაგრამ ერთი კი ცხადია: როგორც კი დენიკინი გაიმარჯვებს ბოლშევიკებზე, იგი შაშინვე მიაბრუნებს თავის ძალებს იმ ხალხების დასაპყრობად, რომლებმაც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და რომელთა დამოუკიდებლობა ცნეს დასავლეთის სახელმწიფოებმა. ეს არა მარტო ჩემი აზრია, არამედ ყველა დამოუკიდებელი რესპუბლიკისა, რომელთა სახელით მე აქ გამოვდივარ და რომლებიც მისგან თავს იცავენ. ასეთია ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის აზრიც.

**ფრანჩესკო ნიტი:** ხომ არ გგონიათ თქვენ, რომ კავკასიის რესპუბლიკების ცნობას, რაც უკვე არსებობს, შეუძლია უფრო გააძლიეროს ამ ხალხების წინააღმდეგობა?

ი. წერეთელი დარწმუნებული ვარ, რომ მათი დამოუკიდებლობის ცნობა გააძლიერებს მათ წინააღმდეგობას ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგ. ვიმედოვნებთ, რომ პირველი ნაბიჯების შემდეგ, რომელიც ეს-ეს არის გადადგა ანტანტის უმაღლესმა საბჭომ, ბოლომდე მიიყვანს ჩვენი რესპუბლიკების ცნობის ფაქტს. ეს იმედი განამტკიცებს ჩვენი ხალხების რწმენას და სიმამაცეს. მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ მათი ცნობა ბოლომდე მივა. რაც შეეხება დენიკინის პოლიტიკას, მან რამდენჯერმე ოფიციალურად დაადასტურა, რომ იგი არ ცნობს ჩვენი ერების თვითგამორკვევას. მის თვალში ჩვენ ისევე მეფის რუსეთის პროვინციები ვართ.

მაგარაოვი: საქართველოს დელეგაცია მიუთითებდა რა საშიშროებაზე, რომელიც ემუქრება მის ქვეყანას შავი ზღვიდან, უჩვენა, რომ ანტანტას შეეძლო ამ მხრიდან მისთვის მხარდაჭერა სამხედრო გემებით. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა კასპიის ზღვაში სულ სხვაა. ჩვენთვის სამხედრო გემების გამოგზავნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. პეტროფსკიდან ჩრდილოეთით დგას ბოლშევიკების ფლოტი, ხოლო დენიკინის არც ისე დიდი ფლოტი პეტროფსკსა და ბაქოს შორის და ბოლოს, ნავსადგურ ენზელში დგას ინგლისის გემი რამდენიმე ქვემეხიანი პატარა ნავით. არც ისე დიდი ხანია, რაც აზერბაიჯანის მთავრობამ პროტესტი განაცხადა დენიკინის ფლოტის აღნიშნულ ადგილებში განლაგების თაობაზე, მაგრამ ამჟამად დენიკინის ნაწილები აქ უკვე განადგურებულია, ხოლო მისი ფლოტის სარდლობა, რომელმაც თავისი სიმპათია გამოხატა ბოლშევიკებისადმი, ალბათ, შეუერთდება მას. ამით უფრო გაიზრდება საშიშროება არა მარტო ბაქოს მიმართ, არამედ მთელი კავკასიის მიმართაც, ამიტომ ჩვენ ბედნიერი ვიქნებოდით, თუ კონფერენცია გამოიჩინს კეთილმოსურნეობას და მიიღებს სათანადო ზომებს, რათა დენიკინის ზემოქმედებული ფლოტი არ შეუერთდეს ბოლშევიკების ფლოტს.

ლოიდ ჯორჯი: თუ თქვენ მოგეცემთ იარაღი, შეგიძლიათ დააყენოთ გარნიზონი ბაქოში? რამდენი კაცის დაყენება შეგიძლიათ ქალაქის დასაცავად?

მაგარაოვი: ბაქოში უკვე არის ძლიერი გარნიზონი.

ჟორჯ კლემანსო: რამდენ კაცს შეიცავს ეს გარნიზონი?

მაგარაოვი: ჩვენ არ ვიცით, ვინაიდან უკვე ოთხი თვეა, რაც კავშირი არა გვაქვს ბაქოსთან. ამ დროის განმავლობაში ძალები შეიძლება შეიცვალა. ყველა შემთხვევაში ცნობილია, რომ ორი თვის წინ მისი რიცხვი შეადგენდა 7 ათას კაცს — ყველა მკვიდრი

აზერბაიჯანელია, რომელიც ბაქოს თელის თავის დედაქალაქად.

**ლოიდ ჯორჯი:** რატომ არ მიიღო დენიკინმა უკრაინელი გლეხის მხარდაჭერა? რატომ შეაქცია ამ გლეხმა მას ზურგი?

**ი. წერეთელი:** მე მგონია, რომ უკრაინაში დენიკინს თვლიდნენ ანტირევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლად, რომლის მიზანია გლეხობას წაართვას მიწა და დაუბრუნოს იგი მემამულეებს. მას თვლიდნენ ისეთ ადამიანად, რომელმაც უნდა მოაქციოს უკრაინა რუსეთის ცენტრალური სახელმწიფოს უღელქვეშ ისე, როგორც ცარიზმის დროს იყო. როგორც სოციალური, ისე ეროვნული თვალსაზრისით, გლეხები მას უყურებდნენ, როგორც მტერს.

ამის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა დატოვეს სხდომის დარბაზი, მაგრამ სხდომა გაგრძელდა.

**უინსტონ ჩერჩილი:** შეუძლია თუ არა მარშალ ფოშს გვითხრას, თუ როგორ უყურებს იგი კავკასიის დაცვის საკითხს? როგორც ცალკე პრობლემას, თუ ბოლშევიკებისაგან დაცვის საერთო პრობლემის ნაწილს?

**მარშალ ფოში:** ეს პრობლემა ამ თვალსაზრისით მე არ განმიხილავს. მაგრამ ჩემთვის გარკვეულია, რომ ეს საკითხი არის ბოლშევიკებისაგან დაცვის საერთო პრობლემის ნაწილი.

**უინსტონ ჩერჩილი:** ვის მხარეზე არიან ამჟამად იქ არსებული ძალები, დენიკინის თუ ბოლშევიკების მხარეზე?

**მარშალ ფოში:** მე მგონია, რომ დენიკინის ძალები ძალიან შემცირდა და სულ მალე საერთოდ არ იარსებებს. მაგრამ საერთოდ მე არა მაქვს ზუსტი ინფორმაცია. კიდევ უფრო ნაკლები ინფორმაცია მაქვს ბოლშევიკების შესახებ, მაგრამ უეჭველია, რომ ბოლშევიკების ვარსკვლავი ამოდის. მის სამხედრო ნაწილებს ხელმძღვანელობენ დიდი რაოდენობით გერმანელი ოფიცრები, რომლებიც თავის სამშობლოში არაფრით არიან დაკავებულნი და არსებობის საშუალებას ამ გზით პოულობენ. ბოლშევიკები სხვადასხვა საშუალებებით შეიჭრნენ სხვადასხვა ქვეყნებში. ასეთ პირობებში დიდი ხანია დაღვა დრო, შესაძლებლობის მიხედვით შექმნას მათ წინააღმდეგ კორდონი.

**უინსტონ ჩერჩილი:** თვლით თუ არა თქვენ პოლონეთს საშიშროების ქვეშე? ხართ თუ არა საქმის კურსში ბოლშევიკების ძალების მდგომარეობაზე ამ მიმართულებით? თუ, დაუფშვებთ, რომ დენიკინის ძალები გაჰქრნენ, თვლით თუ არა, რომ თავდასხმა პოლონეთზე რეალურია და თუ ეს ასეა, როდის შეიძლება მოხდეს ეს?

**მარშალ ფოში:** მე არ ვიცი მზადდება თუ არა ბოლშევიკების შეტევა და ხდება თუ არა იქ მათი ძალების კონცენტრაცია, მაგრამ ეს მოსალოდნელია. თუ გავითვალისწინებთ მათ რესურსებს, ეს მათთვის ადვილი შესაძლებელია. ბოლშევიკებს დიდი რესურსები გააჩნიათ და როგორც ითქვა, მათ ჯარისკაცებს გერმანელი ოფიცრები ამზადებენ. ამიტომ არის საშიშროების საფუძველი. მე არ ვიცი, ასინი ემზადებიან თუ არა პოლონეთზე თავდასხმისათვის, მაგრამ ეს შესაძლებელია მოხდეს. ყველა შემთხვევაში საჭიროა საერთო ძალებით წინააღმდეგობა გაეწიოს ბოლშევიკურ რუსეთს, სადაც კი შეიძლება ამ წინააღმდეგობის გაწევა. ძალები, რომლებსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიონ ბოლშევიკებს, ორგანიზებულთ თუ არა ორგანიზებულთ, გაფანტულია რესპუბლიკებში, დაწყებული აზერბაიჯანიდან კავკასიაში — საქართველოში, შემდეგ ბესარაბიაში, პოლონეთში, ესტონეთში, ლიტვაში — ყველა ახალი სახელმწიფო შეიძლება აღმოჩნდეს მძიმე მდგომარეობაში, თუ მათ მივატოვებთ ბედის ამარა და პირიქით, თუ მათ ხელს შევუწყობთ. არსებობს შესაძლებლობა, შეიქმნას საბუნდრო ძალების სისტემა, საკმაოდ ძლიერიც, რათა ვიყოლიოთ ბოლშევიკები კონტროლის ქვეშ.

**ლოიდ ჯორჯი:** გეთავაზობთ თუ არა საბუნდრო შეთანხმებას ყველა ამ სახელმწიფოს შორის საბჭოთა რუსეთის აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით? თუ პირიქით, გვქონდეს საერთო კავშირი ამ ქვეყნების დაცვასთან, მათზე ბოლშევიკების თავდასხმის შემთხვევისათვის.

**მარშალ ფოში:** პირველი, რაც საჭიროა, არის ის, რომ შეჩერდეს ბოლშევიკების წინსვლა და შეიქმნას ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების დაცვის ზოლი ბოლშევიკების მხრიდან შეტევის შემთხვევაში.

**ლოიდ ჯორჯი:** მაშასადამე, თქვენ არ სვამთ საკითხს პოლონეთის არმიის შეიარაღებაზე, რათა იგი შეიქმნას რუსეთში?

**მარშალ ფოში:** არა, მაგრამ მე უფრო შორს მივიღივარ. პოლონეთის არმიაც რომ შეიარაღო, საქმე ამით არ დამთავრდება. თუ მკითხავდნენ, მე შეგთავაზებდი პოლონეთს, რუმინეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს და ფინეთს შორის შეთანხმებას ბოლშევიკებთან წინ წაწევის შესაჩერებლად. ამას თავისუფლად შეუერთდებოდა ამიერკავკასია და ბოლშევიკები გარს შემორტყმული აღმოჩნდებოდნენ.

**ლოიდ ჯორჯი:** ცნობილი ხომ არაა თქვენთვის, რომ ბოლშევიკები ემზადებიან ამ ქვეყნებზე თავდასხმისათვის?

**მარშალ ფოში:** ამის შესახებ არავის არ შეუძლია იცოდეს, სანამ იგი არ მოხდება.

**ლოიდ ჯორჯი:** შეგიძლიათ თუ არა, დაასახელოთ თქვენ ამ ქვეყნებიდან თუნდაც ერთი, რომელზეც ბოლშევიკები ამზადებენ სამხედრო თავდასხმას?

**მარშალ ფოში:** როდესაც მოხდება თავდასხმა, მაშინ შემიძლია ამაზე გვასაუბროთ. მანამდე არაფრის თქმა არ შემიძლია.

**ამის შემდეგ სამხედრო ექსპერტებმა დატოვეს სხდომის დარბაზი.**

**ლორდი კერზონი:** მე მინდოდა შეთქვა, თუ რატომ არ ცნეს სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა მაშინ, როდესაც ცნეს საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა? მე თვითონ დავსვი საკითხი საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობის შესახებ. მაშინ არ დავაყენე საკითხი სომხეთზე ინიტომ, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო თურქეთთან საზავო ხელშეკრულების დადებასთან ერთად. ახლა კი არის დრო, ცნობილ იქნეს სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობაც. ახლანდელი სომხეთის სახელმწიფო არის ნაწილი რუსეთის ყოფილი იმპერიისა ისევე, როგორც საქართველო და აზერბაიჯანი. გარდა ამისა, სომხეთის რესპუბლიკა მზადაა, შეუერთდეს ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს ბოლშევიზმისაგან თავდაცვის საქმეში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია სამართლიანად და გონივრულად ცნობილ იქნეს სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

**ჟორჯ კლემანსო:** არის საწინააღმდეგო აზრი? რადგან არ არის, ჩვენ თანახმა ვართ ვცნოთ სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

**უინსტონ ჩერჩილი:** გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ ეს-ეს არის მივიღეთ, წარმოადგენს პოლიტიკურსა და დიპლომატიურს და არ წყვეტს სამხედრო პრობლემებს. სომხეთის რესპუბლიკის ახლანდელი მდგომარეობა იგივეა, რაც კავკასიის სხვა რესპუბლიკებისა, ვინაიდან მოსალოდნელია თურქეთის თავდასხმა სამხრეთიდან, ხოლო ბოლშევიკებისა — ჩრდილოეთიდან.

**ლოიდ ჯორჯი:** მე შემატყობინეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბანკმა შესთავაზა კონგრესს, გადაურიცხოს 25 მილიონი დოლარი სომხეთს. ეს წინადადება უნდა განიხილოს კონგრესმა. მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი მიღებული იქნება. ეს იქნება ნამდვილი მატერიალური დახმარება. ამრიგად, გადაწყვეტილია ერთი მნიშვნე-

ლოვანი საკითხი. ახლა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, თუ როგორი დახმარება აღმოვეუჩინოთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებს და საჭიროა თუ არა საერთოდ ასეთი დახმარების აღმოჩენა. მარშალ ფოშმა თქვა, რომ საჭიროა სამი დივიზიის გაგზავნა. ბრიტანეთის მთავრობას არა აქვს საშუალება ეს დივიზიები გაგზავნოს.

**უორუ კლემანსო:** არც ჩვენ შეგვიძლია მათი გაგზავნა.

**ფრანჩესკო ნიტი:** იტალიას არ შეუძლია არც ერთი დივიზიის გაგზავნა.

**ლოიდ ჯორჯი:** მაშინ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, შეგვიძლია თუ არა იქ გავაგზავნოთ იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა?

**უინსტონ ჩერჩილი:** ეს საკითხი დაკავშირებულია კასპიის პრობლემასთან.

**ლოიდ ჯორჯი:** ეს საკითხი განვიხილოთ უფრო გვიან. არა მგონია, რაიმე მოხდეს, თუ იქ გავაგზავნით იარაღს და სურსათს, სანამ ბოლშევიკები მიადწევენ კავკასიამდე, უნდა გაიარონ სამხრეთ რუსეთის პროვინციებზე. ამრიგად, ისინი ხელთ ვერ ჩაიგდებენ კავკასიაში ჩვენს მიერ გაგზავნილ სურსათს, ხილო რაც შეეხება იარაღს, წითლებს უკვე იმდენი შაშხანა აქვთ, რომ 25 თუ 50 ათასი შაშხანის ხელში ჩავდება. არ შეცვლის მათ მდგომარეობას. მათ წაართვეს დენიკინს 600 ქვემეხი, მათ შორის უმრავლესობა ბრიტანეთის წარმოებისა. ასევე ხელთ იგდეს რამდენიმე შესანიშნავი ტანკი. ასეთ ვითარებაში საშიშროება არც ისე დიდია... მე ვთვლი, რომ ჩვენ უნდა აღმოვეუჩინოთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ყოველგვარი მატერიალური დახმარება, ერთი პირობით, რომ ეს რესპუბლიკები თვითონ გაუწევენ საკუთარი ძალებით წინააღმდეგობას ბოლშევიკებს.

**უორუ კლემანსო:** დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვს კითხვა: გაგზავნოთ თუ არა იარაღი ახლა, თუ დაველოდოთ აღგონებებიდან ცნობების მიღებას? მე ვეთანხმები ბატონ ლოიდ ჯორჯის აზრს და ვფიქრობ, რომ ანტანტის უმაღლეს საბჭოს უკვე აქვს საკმაო ინფორმაცია ამ საკითხზე. ჩემი აზრით, ჩვენ უნდა დაუყოვნებლივ სამხედრო ექსპერტებს, ვაცნობოთ ჩვენი გადაწყვეტილება კავკასიაში სამხედრო დახმარების გაგზავნის შესახებ. მათ კი უნდა განიხილონ საკითხები იარაღის რაოდენობასა და მათი გაგზავნის საშუალებებზე.

**ფრანჩესკო ნიტი:** იტალიის მთავრობას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ აქტში, არც იარაღით და არც ადამიანებით, ვინაიდან ეს უწინააღმდეგეა კანონს, რომელიც ამასწინათ მიიღო იტალიის პარლამენტმა, ყველა პარტიამ, მათ შორის: კონსერვატორებმაც. ამ

კანონის არა იმაში მდგომარეობს, რომ იტალიას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დე ფაქტოდ ცნობილი მთავრობის წინააღმდეგ ნებისმიერ ინტერვენციაში, ამ შემთხვევაში საბჭოთა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ.

**ლოიდ ჯორჯი:** ჩვენ გვინდა ეს დახმარება გავუწიოთ დე ფაქტოდ ცნობილ მთავრობებს. ეს კი არ შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის შინაგან საქმეებში ჩარევად ისევე, როგორც მაგალითად, დახმარება კოლჩაკის ან დენიკინისადმი.

**ფრანჩესკო ნიტი:** ჩარევა ან ერთის ან მეორის სასარგებლოდ ჩვენთვის შეუძლებელია. მე ეს საკითხი უნდა შევათანნმო იტალიის პარლამენტთან.

**ლოიდ ჯორჯი:** თუ ჩემი ინფორმაცია სწორია, არსებობს პრეცედენტი ამ საქმეში იტალიის ჩარევასათვის. ამასიწინათ იტალიამ იარაღი გაგზავნა დაღესტანში. მეორე მხრივ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დაღესტანი და ბაქო ელოდებიან იტალიის იარაღს.

**ფრანჩესკო ნიტი:** ოფიციალურად მე არ შემიძლია რაიმე გავაკეთო. იტალიელებს აქვთ თავიანთი ინტერესი საქართველოში. მე მგონია, იქ გაემგზავრონ ჩვენი მოხალისეები. შესაძლებელია, დაგეხმარო ამ მოძრაობას საქართველოში. მაგრამ შეუძლებელია გაიგზავნოს რეგულარული ჯარი ან აღმოუჩინოს სამხედრო დახმარება. ეს რომ გევაკეთო, ჩემს წინააღმდეგ აღსდგება მთელი მთავრობა და კონსერვატორებიც კი.

**ლოიდ ჯორჯი:** არა აქვს მნიშვნელობა იმას, გაგზავნილია იარაღი ოფიციალურად, თუ არა ოფიციალურად, როდესაც იგი აღწევდანიშნულ ადგილამდე.

**ფრანჩესკო ნიტი:** კონფიდენციალურად ვაცხადებ, რომ შემიძლია მივცე იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა, თუ დიდი ბრიტანეთი ან საფრანგეთი აიღებენ თავიანთ თავზე მათ იქ გადატანას.

**ლოიდ ჯორჯი:** თანახმა ვართ.

**ჟორჟ კლემანსო:** პრინციპში ჩვენ ავიღეთ ვალდებულება, გავუგზავნოთ სამხედრო დახმარება ამიერკავკასიის რესპუბლიკებს და ასევე მივმართოთ სამხედრო ექსპერტებს ამ პრობლემის გადაჭრის შესახებ.

**ლორდი კერზონი:** ვის გულისხმობთ თქვენ „სამხედრო ექსპერტებში“.

**ჟორჟ კლემანსო:** ფაქტიურად ეს უნდა იყოს მარშალ ფოში და გენერალ ჰენრი ვილსონი, რამდენადაც ოფიციალურად ჩვენ აქ არ გვყავს იტალიის სამხედრო წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული 24 საათის განმავლობაში.



გადაწყდა: 1. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა უნად იქნეს ცნობილი დიდი სახელმწიფოების მთავრობებს მიერ დე ფაქტო; 2. ანტანტის სახელმწიფოები არ არიან მზად, გაგზავნონ ამიერკავკასიაში სამი დივიზია, რაც ადრე იყო ნაგარაუდები; 3. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილად ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის იარაღის, სამხედრო აღჭურვილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, სურსათის გაგზავნის შესახებ; 4. მარშალ ფოში და გენერალ ჰენრი ვილსონი ითხოვენ, გადაწყდეს საკითხი ამ დახმარების ოდენობისა და გადაგზავნის საშუალებების შესახებ.

ასეთი იყო ანტანტ-ს სახელმწიფოების მმართველი წრეების დამოკიდებულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და საბჭოთა რუსეთისადმი 1920-1921 წლებში.

## საქართველოს როლი ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობაში

(წარსული — მომავლის სამსახურში)

ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო ხიდად საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას, როგორც უფრო მოკლე და ნაკლებად საშიშ გზას, ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს ფრანგებმა მიაქციეს ყურადღება. საფრანგეთის სამეფო კარის დავალებით ფრანგმა ჟან ბიონ დე კანსევილმა XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში, საქართველოზე გავლით, სამჯერ იმოგზაურა სპარსეთში და ვრცელი მოხსენებითი ბარათები წარადგინა საფრანგეთს სამეფო კარზე, აღმოსავლეთის ქვეყნებთან საფრანგეთის ვაჭრობისათვის სავაჭრო გზის საქართველოზე გავლის უპირატესობაზე.

1714 წლის იანვარ-მაისში მარსელსა და პარიზში სულხან-საბა ორბელიანის მოლაპარაკებების დროს, არა ერთხელ გამოითქვა აზრი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენების მნიშვნელობაზე.

1821 წელს საფრანგეთის კონსულმა საქართველოში ფრანსუა გამბამ თავისი მოღვაწეობა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე მოგზაურობით დაიწყო: იგი იყო ჯერ სოხუმში, შემდეგ რედუტ კალეში (დღეს ყულევი). სადაც დარჩა ორი კვირა. იქედან გადავიდა ქუთაისში და ცხენით შემოიარა ქუთაისის ახლო-მახლო რაიონები. ამ მოგზაურობის მიზანი იყო საქართველოზე გავლით აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ საფრანგეთისათვის სავაჭრო გზის დადგენა. მისი გეგმით, საფრანგეთის სავაჭრო საქონელს ჩაიტანდნენ რედუტ კალეში (დღეს ყულევი), ხოლო იქედან ქუთაისზე გავლით — თბილისში, თბილისიდან კი — სპარსეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. მართალია, მაშინ ეს გეგმა არ განხორციელებულა, მაგრამ ფრანგები ამ საკითხს არ ივიწყებდნენ.

1918-1921 წწ. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში, ზემოხსენებულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ფრანგებმა და იტალიელებმა. თუმცა ფრანგებს იტალიე-

ლებმა აჯობეს, რაც განაპირობა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლო სფორცას მეგობრულმა ურთიერთობამ საქართველოსთან, კერძოდ, მის საგარეო საქმეთა მინისტრ ე. გეგეჭკორთან.

უფრო ადრე იტალია დაინტერესდა ამ საკითხით, როდესაც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლიონ ჯორჯმა წესთაეზა იტალიის პრემიერ-მინისტრ ორლანდოს, ეცადა, მიეღო მანდატი საქართველოზე და დემყარებინა მასთან მჭიდრო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები, რადგან საქართველო და მისი მეზობელი აზერბაიჯანი მდიდარი იყვნენ ბუნებრივი რესურსებით, რაც ესოდენ სჭირდებოდა იტალიას.

ლიონ ჯორჯის ეს რჩევა ძალიან მოეწონა ორლანდოს და მაშინვე შეუდგა მზადებას. გათვალისწინებული იყო ინგლისის ჯარების (რომლებიც საქართველოში იყვნენ 1918 წლის ნოემბრიდან) შეცვლა იტალიის ჯარებით. ორლანდო პარიზიდან (სადაც ის იყო კონფერენციაზე) რომში გაგზავნილ დეპეშაში მეფე ვიქტორ ემანუილ III-ს ატყობინებდა: ლაპარაკია ქვეყანაზე (საქართველოზე), რომელიც წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარს ბუნებრივი რესურსებით — ნავთობით, ქვანახშირით, მანგანუმით, რკინით და სხვ...“ მეორე დეპეშაში ორლანდო იმავე მეფეს ატყობინებდა: „სრულიად ზუსტი და შემოწმებული ცნობებით, საქართველო ნამდვილად აღთქმული ქვეყანაა. რაც შეეხება მინერალურ რესურსებს, იქ არის ნავთობის უდიდესი მარაგი, იგი იძლევა მთელი მსოფლიოს მანგანუმის ნახევარს; იქ არის რკინა, ტყვია, ოქრო, ვერცხლი, დიდი რაოდენობით ქვანახშირი, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება კადიქსის (ინგლისი) ქვანახშირს. იტალიისათვის საქართველო იქნებოდა უდიდესი წყარო...“

იტალიის მთავრობამ 60 კაციანად შემდგარი (სამხედრო პირები, ეკონომისტები, სამთო ინჟინრები, მეცნიერები და სხვ.) მისია გამოგზავნა საქართველოში. ამ მისიის მეთაური იყო პოლკოვნიკი მელკიადე გაბა. ეს მისია თბილისში ჩამოვიდა 1919 წლის მაისში.

იტალიის ჯარების ჩამოსვლა საქართველოში არ განხორციელებულა: 1919 წლის ივნისში იტალიის ორლანდო-სონინოს მთავრობა დაეცა. შეიქმნა ნიტი-ტიტონის მთავრობა. ახალი პრემიერ-მინისტრი ფრანჩესკო ნიტი უფრო პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იყო. მან გააუქმა წინა მთავრობის გადაწყვეტილება საქართველოში იტალიის ჯარების გაგზავნის შესახებ. მაგრამ იტალიის მისიამ განაგრძო თავისი მუშაობა საქართველოში და მთავარი ყუ-

რადღება გადაიტანა ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურულ და სო-  
ციალურ ხარისხს ურთიერთობების განვითარებაზე. ამ დარგში  
ბევრი რამ გაკეთდა სასარგებლო, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის  
საგანია.

1920 წლის 21 სექტემბერს იტალიის მთავრობამ თავის პოლი-  
ტიკურ წარმომადგენლად საქართველოში დანიშნა რაინდი ვიტო-  
რო ჩერუტი. იგი მანამდე უნგრეთში, იტალიის საელჩოში მუშა-  
ობდა: ჯერ იყო საელჩოს მრჩეველი, ხოლო შემდეგ — იტალიის  
პოლიტიკური კომისარი უნგრეთში.

მაღე საქართველოს მთავრობამაც გადადგა საპასუხო ნაბიჯი.  
იმვე წლის 3 ოქტომბერს, ნოე ჟორდანიამ და ევგენი გეგეჭკორმა  
წერილით მიმართეს იტალიის მთავრობას. მასში ნათქვამი იყო:  
„საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამით ადასტურებს, რომ:  
ბატონ კონსტანტინე საბახტარიშვილი ინიშნება საქართველოს  
მთავრობის საგანგებო დესპანად და სრულუფლებიან მინისტრად  
მისი უდიდებულესობის იტალიის მეფის მთავრობის წინაშე.

ამ წოდებით მას შეუძლია იმუშაოს ყველა პოლიტიკურ, ეკონო-  
მიკურ, ფინანსურ და სხვა საკითხებზე. ასევე დადოს ნებისმიერი  
ხელშეკრულება და შეთანხმება. ამის დასადასტურებლად მას ჩაბა-  
რდა რწმუნებებს სიგელი სათანადო ხელისმოწერით და ბეჭდის  
დასმით.

საქართველოს მთავრობა გთხოვთ აღმოუჩინოთ ბატონ საბახტა-  
რიშვილს სრული ნდობა და ცნოთ ყველა განცხადება, რომელსაც  
იგი გააკეთებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით“.

19 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა  
სამინისტროს სახელით კონსტანტინე საბახტარიშვილმა აცნობა  
იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ „საქართველოს რეს-  
პუბლიკის მთავრობამ მხურვალე სიმპათიით მიიღო ბატონ რაინდი  
ვიტორიო ჩერუტის დანიშვნა იტალიის პოლიტიკურ წარმომად-  
გენლად საქართველოში“.

მაგრამ საქართველოსათვის გადაუდებელი საკითხი იყო მისი  
დამოუკიდებლობის დე იურე ცნობა და სწორედ ამ მიზნით გადა-  
წყვიტა ევგენი გეგეჭკორმა, გამოეყენებინა იტალიის მთავრობის  
დადებითი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობისადმი.

1920 წლის 24 დეკემბერს ევ. გეგეჭკორმა შემდეგი შინაარსის  
წერილით მიმართა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს კარლო  
სფორცას: „თქვენო აღმატებულება, უკვე მქონდა პატივი, რო-  
გორც თქვენთან პირადი საუბრის დროს, ისევე, იტალიის მეფის  
მთავრობის თავმჯდომარე პატივცემულ ბატონ ჯოლიტისთან საუბ-

რის დროს, გამომეხატა ქართველი ხალხის მადლობის გრძნობა თქვენი ქვეყნის მიმართ, რომელმაც დიდ სახელმწიფოებს შორის პირველმა შეძლო გავგო მისი იმედები და გაეწოდებინა მისთვის დახმარების ხელი.

ჩემთვის საკმაოდ ცნობილია თქვენი აქტიური მოქმედება ანტანტის უმაღლეს საბჭოში საქართველოსადმი დახმარების აღმოჩენის საქმეში; საქართველოს კანონიერ მისწრაფებაზე, ეხილა მისი საერთაშორისო სტატუსი იურიდიულად საბოლოოდ ცნობილი. საქართველო ასევე აფასებს ერთა ლიგის პირველ ასამბლეაში იტალიის წარმომადგენელ ბატონ სკანცერის მიერ წარმოთქმულ, პოლიტიკური სიბრძნით აღსავსე სიტყვას, სადაც იგი მოითხოვდა დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ მიეღოთ საქართველოს რესპუბლიკა ერთა ლიგის წევრად. მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ამ ასამბლეაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა იტალიის თანაგრძნობა ჩემი ქვეყნის მიმართ.

ამასთანავე, საქართველოს მდგომარეობა მავალდებულებს, მივმართო თქვენს აღმატებულებას დაქინებითი თხოვნით, გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც იქნება ლოგიკური შედეგი იმ პოზიციისა, რომელიც იტალიამ დაიკავა საქართველოს საკითხში; შედეგი თქვენი და განსაკუთრებით თქვენი წარმომადგენლის მრავალრიცხოვანი განცხადებისა ენევაში.

იტალიამ უნდა აიღოს თავის თავზე საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დე იურე ცნობის ინიციატივა, დადასტურებს რა ამით პოლიტიკას, რომელსაც იცავდა იტალიის დელეგაცია ერთა ლიგაში.

უარი თქვა რა ასამბლეამ წინადადებაზე, რომელიც იტალიის დელეგაციამ წარადგინა საქართველოს შესახებ და გადადო საქართველოს მიღება, ამით ასამბლეამ უარი თქვა შეეტანა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სტატუსში ის გაუმჯობესება, რომელსაც იგი მოელოდა და რომლის მიღების უდაო უფლება მას ჰქონდა.

როგორი მოტივებიც არ უნდა იყოს მოტანილი ასამბლეს მიერ ამ გადაწყვეტილების გასამართლებლად, საქართველოს მტრებს მაინც შეუძლიათ შეაფასონ იგი, როგორც ერთა ლიგის უარი, მხარი დაუჭიროს, მორალურად მაინც, ახალ რესპუბლიკას. ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია წააქეზოს ისინი, დაიწყონ აგრესიული მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში, არ ვწყვეტთ რა ჩვენი ძალებს შზადებას თავდაცვისათვის, ჩვენ უნდა მივმართოთ ყველა მეგობარ ქვეყანას,

რათა შევავლიანთ ისინი, მიიღონ საჯარო აქცია, რომელიც შეუძლებელს გახდის ენევეაში მიღებული გადაწყვეტილების დამღუპველ შედეგს საქართველოსათვის. ეს აქცია შეიძლება იყოს მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ დე იურე ცნობა.

აიღებუ რა თავის თავზე მსგავსი აქციის ინიციატივას იტალია, ამით ის აღმოუჩენს ქართველ ხალხს უდიდეს სამსახურს, რასაც ეს ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამ ყოველმხრივ დასაბუთებულმა წერილმა, მიზანს სულ მალე მიაღწია. ევ. გეგეჭკორის ეს წერილი, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლო სფორცამ, რომელიც საქართველოსადმი კარგად იყო განწყობილი, წარადგინა ვერსალში ანტანტის უმაღლესი საბჭოს მორიგ კონფერენციაზე 1921 წლის 26 იანვარს. 27 იანვარს (ძვ. სტილით 14 იანვარს — წმ. ნინოს დღეს) გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის იურიდიული (დე იურე) ცნობა და 28 იანვარს. ევ. გეგეჭკორმა მიიღო ორი დეკრეტი პარიზიდან: ერთი კარლო სფორცას, ხოლო მეორე, ანტანტის კონფერენციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის არისტიდ ბრიანის ხელისმწვერით.

აი ორივე დეკრეტის შინაარსი. პირველი: „თანახმად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დაყენებული საკითხისა, გუშინ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის დე იურე ცნობის შესახებ. კარლო სფორცა“.

და მეორე: „გავაცანი რა თქვენი თავაზიანი წერილი კონფერენციას, უკანასკნელმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, ეცნო საქართველოს მთავრობა დე იურე. მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან კიდევ ერთხელ დაგიდასტურონ თავიანთი თანაგრძნობა, რომლითაც ისინი ხვდებოდნენ ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ და ასევე დაგიდასტურონ უკვე მიღებული გადაწყვეტილებით გამოწვეული თავიანთი აღტაცება. არისტიდ ბრიანი“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კარლო სფორცა ევ. გეგეჭკორს არწმუნებდა, რომ იტალია წინანდებურად მიმართავს ყველა ღონისძიებას, რათა მხარი დაუჭიროს საქართველოს დამოუკიდებლობას და, რომ ამასთანავე. იტალიის მეფემ ვიქტორ ემანუილ III-მ გადაწყვიტა, უკვე თბილისში მყოფი რაინდი ვიტორიო ჩერტუტი (იტალიის პოლიტიკური წარმომადგენელი საქართველოში) დაენიშნა იტალიის სრულუფლებიან და საგანგებო მინისტრად საქართველოში.

28 იანვარს, ვიტორიო ჩერუტი, კარლო სფორცასა და იტალიის მეფის დეპეშებით ხელში გამოცხადდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანიასთან, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი წარადგინა დამფუძნებელი კრების წინაშე და მათ გააცნო რომიდან და პარიზიდან მიღებული დეპეშების შინაარსი. მთავრობის თავმჯდომარემ და დამფუძნებელმა კრებამ დიდი კმაყოფილება და მადლობა გამოხატეს იტალიის მთავრობისა და განსაკუთრებით მისი საგარეო საქმეთა მინისტრის კარლო სფორცას მიმართ. ატყობინებდა რა ყოველივე ამას თავის მინისტრს, ვიტორიო ჩერუტი დასძენდა: „ქართველი ხალხი ზეიმით ხვდება ამ ცნობას, მთელი ქალაქი ზეიმობს, ქუჩებში და მოედნებზე გაისმის შეძახილები: „დიდება საქართველოს! დიდება იტალიას!“

ევ. გეგეჭკორმა მიიღო ელჩი ვიტორიო ჩერუტი და განუცხადა, რომ ამიერიდან მას მიიჩნევენ იტალიის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში. ანუ იტალიაში გაემგზავრება საქართველოს ელჩი, სრულუფლებიანი მინისტრის წოდებით კონსტანტინე საბახტარიშვილი.

ელჩი ვიტორიო ჩერუტი მაშინვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. მართალია, მას დიდხანს არ დასცალდა ემუშავა როგორც თავისი ქვეყნის, ისევე საქართველოს სასარგებლოდ, მაგრამ იმ მოკლე დროის განმავლობაში მან მეტად მნიშვნელოვანი წერილები გაგზავნა თბილისიდან რომში.

იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში შემონახული ეს წერილები ამჟამად ჩვენს ხელშია. ზოგიერთი მათგანი საპროგრამო ხასიათისა იყო იტალია-საქართველოს მომავალი ურთიერთობისათვის. სწორედ ამ წერილების შინაარსზე მინდა აქ შევჩერდე.

პირველ წერილში — „საქართველოს მნიშვნელობა იტალიის ეკონომიკური განვითარებისათვის“, ნათქვამია: „ამჟამად იტალიის ეკონომიკური აღორძინებისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საგარეო ეკონომიკური საკითხის გადაჭრა. ეს საკითხი თავისი არსით დაკავშირებულია გასაღების ბაზრებთან — ეროვნული პროდუქციის გატანა-გაყიდვასთან, საკუთარი მრეწველობის ნედლეულით მომარაგებებსთან. ამ უკანასკნელ საკითხს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იტალიისათვის“.

პირველი მსოფლიო ომის წინ იტალიის საეკონომიკური მდგომარეობა 1134 მლნ დეფიციტს, რომლის ერთი მილიონი მოდიოდა შემოტანილ ნედლეულზე. ამასთანავე, დამახასიათებელი იყო ის, რომ ამ თანხიდან თითქმის 80 პროცენტი მოდიოდა ნედლეულზე, ძირი-

თადად, სათბობზე, ხოლო დანარჩენი ნახევარფაბრიკატებზე. ყოველივე ეს იტალიას შემოქონდა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებიდან — ინგლისიდან, გერმანიიდან და ამერიკის შეერთებულ შტატებიდან. ეს კი აყენებდა იტალიას ამ ქვეყნებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში.

პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი შედეგი იყო მსოფლიოს გაყოფა გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნებად — გამარჯვებული ქვეყნების ეკონომიკური გაძლიერებით. ხელშეუხებელი დარჩა მხოლოდ აღმოსავლეთი. ამასთანავე, ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი „თავისუფალი“ და უმდიდრესი ბაზრების საკითხი, რომლებიც კონცენტრირებული იყო შავი ზღვის რეგიონში.

იტალიის დაინტერესება ამ ბაზრებით არც გამქრალა და არც შემცირებულა. იტალიის ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზა აღმოსავლეთში შეიძლებოდა გამხდარიყო საქართველო, ხოლო საქართველოს საშუალებით — მთელი კავკასია, როგორც საქართველოს სიმდიდრის გამო, ისევე მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. რომში გათვალისწინებული ჰქონდათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება არა მარტო საქართველოსთან, არამედ საქართველოს საშუალებით მის მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი) და ასევე საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნებთანაც.

მეორე წერილში — „საქართველოს გეოგრაფიული მნიშვნელობა, როგორც სატრანზიტო გზისა“, ნათქვამია: „რუქაზე ერთი ნებე-დვაც კი საკმარისია, რომ მიხვდე — ამიერკავკასია საერთოდ, ხოლო საქართველო კერძოდ, წარმოადგენს გასაღებს, რომელიც აღებს მისასვლელს აღმოსავლეთის ბაზრებისაკენ შავი ზღვის რეგიონში. გარდა ამისა, საქართველო ქმნის თავისებურ ხიდს, რომელიც გადებულია სამრეწველო ევროპიდან აზიასაკენ მისი ნედლეულით — ეს არის შუაგული გეოგრაფიული და ისტორიული გზებისა და სავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.“

არსებობს შემდეგი მთავარი სატრანზიტო გზები, რომლებიც აერთებენ ევროპას რუსეთთან და აზიასთან შავი ზღვისა და საქართველოს გავლით:

1. რკინიგზა ბათუმი (ან ფოთი) — თბილისი — ბაქო, სიგრძე 892 კმ, რომელიც შემდეგ მიდის პეტროვსკში (იქიდან — ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსეთში). ბაქო კასპიის ზღვის საშუალებით დაკავშირებულია ასტრახანთან (რუსეთი), კრასნოვოდსკთან (თურ-



ქესტანი, შემდეგ ავღანეთთან და ცენტრალურ რუსეთთან) და ენზე-  
ლისთან (სპარსეთი).

2. რკინიგზა თბილისი-ერევანი-ჯულფა, სიგრძე 542 კმ, რომე-  
ლიც მიდის სპარსეთში.

3. რკინიგზა თბილისი-ყარსი, სიგრძე 299 კმ, რომელიც მიდის  
სარაკამიშში და ერზერუმში (თურქეთი).

4. მშენებარე რკინიგზა ფოთი-ტუაფსე (შემდეგ ჩრდილო კავკა-  
სია და რუსეთი), სიგრძე 350 კმ და ბოლოს.

5. შოსე გზა (რკინიგზის პროექტით) თბილისი-ვლადიკავკაზი,  
სიგრძე 214 კმ, რომელიც უშუალოდ აკავშირებს ამიერკავკასიის  
ცენტრს ჩრდილოეთ კავკასიასთან და რუსეთთან.

შემდეგ იმავე წერილში ნათქვამია: საქართველოს დედაქალაქი  
თბილისი არის ცენტრი, ჭაიდანაც გამოდის ზემოხსენებული ყველა  
გზა. საქართველოს მნიშვნელობა, როგორც სატრანზიტო გზისა,  
იმდენად დიდია, რომ რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ 1880 წელს,  
ქვეყნის ცენტრში განლაგებული თავისი მრეწველობის დაცვის  
მიზნით, მიმართა განსაკუთრებულ ღონისძიებას საერთაშორისო  
ურთიერთობაში — აკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე უცხოუ-  
რი წარმოების საქონლის გადატანა.

საქართველო წარმოადგენს ევროპისათვის აზიასთან დამაკავში-  
რებელ პუნქტს, რომლის საშუალებით კავშირი მყარდება მის მე-  
ზობელ ქვეყნებთან — აზერბაიჯანთან, თურქეთისტანთან, ჩრდი-  
ლოეთ სპარსეთთან და სხვა ქვეყნებთან.

აზერბაიჯანი, უფრო სწორად ბაქო, აწარმოებს ნავთობის მთელი  
მოცულობის 88 პროცენტს, რომელსაც რუსეთის იმპერია ღებუ-  
ლობს. მისი მოცულობა პირველი მსოფლიო ომის წინ შეადგენდა  
8 მლნ ტონას.

ბაქო-პათუმის ნავთობსადენი მილის საშუალებით მიდის სუფთა  
ნავთობი 400 ათასი ტონა, გარდა ამისა, რკინიგზით მიდის დაახლო-  
ებით 1 მლნ ტ. ნავთობპროდუქტი. იტალიაში ნავთობის იმპორტი  
პირველი მსოფლიო ომის წინ შეადგენდა მხოლოდ 275 ათას ტონას.  
გარდა ამისა, აზერბაიჯანს და სომხეთს გაჰქონდათ პირველ მსოფ-  
ლიო ომამდე: ბამბა — 35 ტ, სპილენძი — 4 ტ, მატყლი — 5  
ათასი ტ, მატყლი-ნედლეული — 1,5 ათასი ტ.

თურქესტანს გაჰქონდა მატყლი 8 ათასი ტ, (იტალიას შემოქონ-  
და 11,5 ათასი ტ. მატყლი), ძირტკბილას ფესვები — 10 ათასი ტ,  
ასევე ძვარფასი კრაველი, ხალიჩები და სხვ. მაგრამ თურქესტანისა-  
თვის მთავარი იყო ბამბა, რომელიც მას გაჰქონდა 30 ათასი ტონით  
შეტი, ვიდრე იტალიას სჭირდებოდა.

ჩრდილოეთ საპარსეთს გაჰქონდა 65 ათასი ტ ბრინჯი, 30 ათასი ტ. გამზმარი ხილეული, 5 ათასი ტ თევზი, ასევე ხალიჩები, აბრეშუმის ქსოვილები და სხვ.

სამაგიეროდ, ფიქრობდნენ რომში, ყველა ეს ქვეყანა მიიღებდა სანრეწველო საქონელს (რაც მას სჭირდებოდა) იტალიიდან. რუსეთს არ შეეძლო ზემოხსენებული ქვეყნების დაკმაყოფილება სამრეწველო საქონლით, ამიტომ იტალიას უნდოდა ამით ესარგებლა და გაეჩინა ახალი ბაზრები.

მესამე წერილში — „საქართველოს მნიშვნელობა როგორც ბაზრისა და მისი ბუნებრივი რესურსები“, ნათქვამია: „იტალიისათვის საქართველო წარმოადგენს მეტად საინტერესოს, როგორც ნედლეულის ბაზა, რამდენადაც საქართველოს გააჩნია ისეთი სახის ნედლეული, რომელიც აუცილებელია იტალიისათვის“.

იქვე ნათქვამია, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ საქართველოს გაჰქონდა შემდეგი საქონელი: მანგანუმი 100 ათასი ტ, სიმინდი — 50 ათასი ტ, ხე-ტყე — 17 ათასი ტ, ქერი — 16 ათასი ტ, სპილენძი — 9 ათასი ტ, (4-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიას შემოჰქონდა), სხვადასხვა სახის მინერალი — 13 ათასი ტ, ქვანახშირი — 10 ათასი ტ, თამბაქო — 3 ათასი ტ, მატყლი — 2 ათასი ტ, ბამბა — 1 ათასი ტ, აბრეშუმის ნედლეული — 1,5 ტ, ჩაი — 1 ათასი ტ, ღვინო — 15 ათასი ლიტრი, სპირტი — 120 ათასი ლიტრი, სიგარეტი — 800 ათასი ცალი და სხვ.

რუსეთის გარეშე, რომელსაც საქართველოსთან არ ჰქონდა საბაჟო საზღვარი, საქართველოს, საერთო საქონელბრუნვა ევროპის ქვეყნებთან შეადგენდა იმპორტში 28 მლნ იტალიურ ლირას ოქროთი.

1920 წელს საქართველომ უცხოეთიდან შემოიტანა 3 მლნ. სტერლინგის საქონელი და გაიტანა 2 მლნ. სტერლინგის საქონელი. ორივე შემთხვევაში იტალიას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მაგალითად, 1920 წელს აღნიშნული საქონლის გატანა-შემოტანის სატრანსპორტო დარგში იტალიაზე მოდიოდა 65 პროცენტი და ასევე, უცხოეთიდან საქართველოში შემოტანილი საქონლის 70 პროცენტი იტალიაზე მოდიოდა. თითქმის ყველა მანუფაქტურული საქონელი, რომელსაც იტალია აწარმოებდა, გასაღებას პოულობდა საქართველოში თავისი ხარისხისა და ღირსების გამო.

რაც შეეხებოდა იტალიის როლს საქართველოს ექსპორტში, მართო იტალიის კავკასიის სააღრიცხვო ბანკმა, მისი არსებობის პირველ წელს გასცა 86 მლნ ლირა ნედლეულზე, რომელიც საქართველოდან იტალიაში წავიდა.

„საქართველოს ბუნებრივი რესურსები, — ნათქვამია წერილში, — ამოუწურავია. მათი დამუშავების შედეგად იტალიას შეუძლია საქართველოდან მიიღოს მთელი რიგი მისთვის აუცილებელი ნედლეული. ასე მაგალითად, 30 სახის წილისეული სიმდიდრიდან, რომელიც საქართველოში მოიპოვება და რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ, მათ შორის პირველ რიგში ჩვენ უკვე დავასახელებთ მანგანუმი და სპილენძი, მიუვთითებთ ასევე ქვანახშირზე. ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებს, იტალიელ სპეციალისტთა მიერ კონცესიების შექმნის შემდეგ, შეუძლიათ მოგვცენ 2,5 მლნ ტ ქვანახშირი წელიწადში, რაც შეადგენს იტალიაში ომამდე შემოტანილი ქვანახშირის 25 პროცენტს და შეუძლია დააკმაყოფილოს მთელი იტალიის რკინიგზის მოთხოვნილება. ტყიბულის შახტებს შეუძლიათ მოგვცენ 0,5 მლნ ტ ქვანახშირი წელიწადში.

საქართველოს ტყე, რომელსაც უკავია ქვეყნის ტერიტორიის 3 მლნ ჰექტარზე მეტი მიწა, შეუძლია მოგვცეს 2 მლნ კუბომეტრზე მეტი ხე-ტყე წელიწადში, რაც 2/3-ზე მეტად დააკმაყოფილებს იტალიის მოთხოვნას ხე-ტყის შემოტანაში“.

ამრიგად, დაასკვნის წერილის ავტორი, „დავტოვებთ რა განზე ყველა დანარჩენ შესაძლებლობას, საქართველოს თავისი მეზობლების გარეშეც შეუძლია დააკმაყოფილოს იტალიის მოთხოვნა შემოსატანი ნედლეულის ძირითად დარგებში: ნავთობით და ნავთობპროდუქტებით, მანგანუმით, სპილენძით, ბამბით და მატყლით — 100 პროცენტით; თამბაქოთი, აბრეშუმით და ხე-ტყით — 40-60 პროცენტით; ქვანახშირით — 30 პროცენტით და სხვ. მიიღებს რა საქართველო სამაგიეროდ იტალიიდან სამრეწველო საქონელს, ამით კი იტალია მნიშვნელოვნად შეამცირებს თავის დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოებზე“.

იტალია ყოველმხრივ ცდილობდა გაეფართოებინა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსთან, „ინტუიციით ხვდებოდა რა საქართველოს გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესობას, რომელიც მას ეკავა კავკასიაში“ — დაასკვნის წერილის ავტორი, იტალიის ბევრი მსხვილი ფირმა მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოში. იზინი უკვე მოიცავდნენ რამდენიმე ათეულ მლნ. ლირას ოქროთი.

ასეთი იყო იტალიის გეგმები საქართველოში, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყნის მიმართ. ყველა ზემოხსენებული საბუთი, იტალიურ და ფრანგულ ენებზე ჩვენს ხელშია და გათვალისწინებული გვაქვს მათი გამოქვეყნება, როგორც ვედნების, ასევე თარგმანებისა ჩვენი შენიშვნებით.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოსთან ფართო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების დიდი სურვილი დღესაც არსებობს იტალიის მმართველ წრეებში. იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მუშაობის დროს, მქონდა შეხვედრები და საუბრები ამ სამინისტროს თანამშრომლებთან, მათ შორის, მინისტრის მოადგილე ალვიზე მემოსთან. ყველა იმის მომხრეა, რომ თანამედროვე პირობებში, თანამედროვე ვითარების მიხედვით დამყარდეს იტალიასა და საქართველოს შორის ფართო ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული, სამეცნიერო და სხვა სახის ურთიერთობა.

## ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელმოწერილი 1920 წლის 7 მაისს

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის 178 წლის 24 იელისს გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატის განხილვის დროს შედეგად: პირველი, მკითხველისათვის მეჩვენებინამ ტრაქტატის ნაწილი არსი და რუსეთის მხარის დამოკიდებულება იმ მოვალეობისადმი, რომელიც თავისთავზე აიღო და მეორე წარმომადგენა უცხოელი ავტორებისა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველნი ახრა ამ ტრაქტატზე.

ახლა განვიხილოთ, ასევე მოკლედ, 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და რომელსაც კვლავ საქართველოს ანექსია მოჰყვა იმავე რუსეთის მხრიდან.

როგორც უკვე ითქვა, 1917 წლის რევოლუციის შედეგად საქართველო განთავისუფლდა რუსეთის იმპერიის ბატონობისაგან, ბოლო მოეღო მის მიერ ჩვენი ქვეყნის ანექსიას. ქართველი ხალხის სიხარულს ააზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ, სანწუხაროდ, ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა.

საქართველოს საშუალება მიეცა, ეზრუნა 117 წლის წინ დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენაზე. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ლაპარაკი იყო არა საქართველოს ახალი სახელწიფოს შექმნაზე, არამედ წინათ არსებული დამოუკიდებლობის აღდგენაზე, რასაც საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტი იელინეკი უწოდებს „საერთაშორისო იურიდიული პიროვნების აღდგენას“.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ამის შესახებ აცნობა უცხოეთის სახელმწიფოებს. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის საქართველოს ორი პირობა ყოველთვის ჰქონდა: ტერიტორია და მოსახლეობა (ქართველი ერი, საკუთარი ენით, უძველესი ისტორიითა და კულტურით), ხოლო მესამე პირობა — საკუთარი უზენაესი ხელისუფლება კი ახლა

შექნა. ამრიგად, საქართველომ სრულყოფილად აღიდგინა დამოუკიდებლობა.

ეს აქტი დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 12 მარტს. ამ კრების მიერ არჩეულ კომისიას დაევალა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. 1921 წლის 22 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საბოლოო ტექსტი კონსტიტუციისა, რომლითაც საქართველოში შეიქმნა პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკა. უცხოეთის სახელმწიფოებმა უკვე დაიწყეს მისი დე ფაქტო და დე იურე ცნობა.

ასეთ ვითარებაში, 1920 წლის 7 მაისს, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ და დამოუკიდებელმა საქართველომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის პირველ მუხლში ნათქვამი იყო: „...რუსეთი უსიტყვოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფილობით უარს ამბობს ყოველგვარ უფლებებზე, რომელიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.“

მე-2 მუხლში ნათქვამია: „ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი იღებს ვალდებულებას, უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე“.

როგორ ჰგავს ეს 1783 წლის ტრაქტატით რუსეთის მიერ აღებულ ვალდებულებას, არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. ორივე დაპირების უკან რუსეთი იდგა. ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რუსეთთან ურთიერთობაზე. ყველაზე უკეთესი იქნება, რუსეთიც და საქართველოც გახდნენ დამოუკიდებლები და ამის შემდეგ დაამყარონ ურთიერთობა ერთმანეთს შორის.

საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთამდე და რუსეთის შემდეგ. ცნო ოცზე მეტმა სახელმწიფომ (მათ შორის, აზერბაიჯანმა და სომხეთმა).

აი ეს სახელმწიფოები და ცნობის თარიღები:

| სახელმწიფოები: | დე ფაქტო          | დე იურე               |
|----------------|-------------------|-----------------------|
| თურქეთი        | 1918 წ.           | 1918 წ. 3 ივნისი      |
| არგენტინა      | .                 | 1919 წ. 13 სექტემბერი |
| გერმანია       | 1918 წ. 10 ივნისი | 1920 წ. 24 სექტემბერი |
| შვეიცარია      | .                 | 1920 წ.               |
| საბჭოთა რუსეთი | .                 | 1920 წ. 10 მაისი      |

|                |                    |                      |
|----------------|--------------------|----------------------|
| საფრანგეთი     | 1920 წ. 11 იანვარი | 1921 წ. 27 იანვარი   |
| დიდი ბრიტანეთი |                    |                      |
| იტალია         |                    |                      |
| იაპონია        |                    |                      |
| ბელგია         |                    |                      |
| პოლონეთი       |                    | 1921 წ. 28 იანვარი   |
| ავსტრია        |                    | 1921 წ. 17 თებერვალი |
| რუმინეთი       |                    | 1921 წ. 18 თებერვალი |
| ჩეხოსლოვაკია   | 1920 წ. 8 აპრილი   |                      |
| ლუქსემბურგი    |                    | 1922 წ. 23 თებერვალი |
| ჰაიტი          |                    | 1921 წ. 9 მარტი      |
| ლიბერია        |                    | 1921 წ. 28 მარტი     |
| მექსიკა        |                    | 1921 წ. 14 აპრილი    |
| სიამი          |                    | 1921 წ. 20 ნოემბერი  |
| პანამა         |                    | 1921 წ. 26 აგვისტო.. |

ყოველივე ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია მის მიერვე ხელწერილი ხელშეკრულება და 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოესია საქართველოს აზერბაიჯანთან და სომხეთთან (ისინი უკვე გასაბჭოებულნი იყვნენ). საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას არ ეყო თავისი ძალები წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა წითელი არმიისათვის. ბრძოლები გაგრძელდა ხუთ კვირას, 1921 წლის 20 მარტისათვის წითელმა არმიამ დაიკავა მთელი საქართველო.

ეს იყო აშკარა ოკუპაცია, მხოლოდ ახლა უკვე საბჭოთა რუსეთის მიერ, რომელსაც მშვიდობისა და დემოკრატიის მედროშედ მოჰქონდა თავი მთელს მსოფლიოში.

ამრიგად, რუსეთმა ორჯერ დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება: რუსეთის იმპერიამ დაარღვია 1783 წელს დადებული ტრაქტატი და 1801 წელს ჯერ შეიერთა აღმოსავლეთ საქართველო, ხოლო შემდეგ, მთელი საქართველო; ხოლო საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წლის თებერვალ-მარტში მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

შემდეგ, 1922 წელს საქართველო შეიყვანეს საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, თითქოს, ნებრსნიერ რესპუბლიკას შეეძლო გამოსულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, თუ ამას ის მოისურვებდა. 1924 წელს ეს მოისურვა საქართველომ. ქართველმა ხალხმა იარაღიც აიღო ხელში, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ, თავისი ქართ-

გელი დაქაშების დახმარებით, სისხლში ჩაახშევს ეს აჯანყება, რომელიც თურქე იმპერიალისტების აგენტებმა მოაწყვეს.

როგორც კი დიწყო უცხოეთის სახელმწიფოების მიერ სსრ კავშირს ცნობა მოსკოვი შეეცადა ეცნოთ მისი სუერენობა საქართველოზე. მაგრამ უცხოეთის სახელმწიფოებმა ეს მოთხოვნა არ შეასრულეს. მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

როდესაც დიდმა ბრიტანეთმა ცნო სსრ კავშირი, ცნობის ნოტაში შეიტანა შემდეგი სიტყვები: „ბრიტანეთის მთავრობა ცნობს სსრ კავშირის მთავრობას და იურე ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ცნობს მის ხელისუფლებას“. აქ იგულისხმებოდა საქართველო, სადაც ხალხი იარაღით ხელში გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობის ცნობის ნოტაში ნათქვამი იყო: „საფრანგეთის მთავრობა ცნობს სსრკ-ის მთავრობას ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიის მთავრობად, სადაც მისი ხელისუფლება მიღებულია ამ ტერიტორიის მთავრობის მიერ“.

საფრანგეთის მთავრობის ამ განცხადებაში რომ იგულისხმებოდა საქართველო, ამას ცხადყოფს ედუარდ ერიოს (შემდგომში პრემიერ-მინისტრის) განცხადება საფრანგეთის პარლამენტში 1922 წელს: „საქართველოს სუერენობა გადაჭრით იყო ცნობილი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ; იგი ცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულებით რუსეთმაც. ვთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს, კეთილი ინებოს და გამოაცხადოს, რომ მისი მთავრობა კვლავ მხარს უჭერს საქართველოს ამ დამოუკიდებლობას“.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით იქვე განაცხადა: „ბატონმა ერიომ თვითონ გამოთქვა საფრანგეთის მთავრობის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. საქართველოს ჰყავს თავისი წარმომადგენელი პარიზში და მისთვის ღიაა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს კარი“.

პარიზში არსებობდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წარმომადგენლობა (ლეგაცია). საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში რომ წავიდა, იგი პარიზში დაბინავდა და 1936 წლამდე ფუნქციონირებდა.

1922 წლის აპრილში გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საბჭოთა რუსეთის დელეგაცია გ. ჩიჩერინის მეთაურობით. მასში შეიყვანეს საბჭოთა საქართველოს ერთი წარმომადგენელი, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოუვიდა მოსკოვს. საფრანგეთის



მთავრობამ სპეციალური ინსტრუქცია მისცა თავისი დელეგაციის ხელმძღვანელს ლუი ბარტუს, სადაც ნათქვამი იყო, რომ მას არ უნდა ეცნო რუსეთის დელეგაცია საქართველოს წარმომადგენლად. საფრანგეთის მთავრობის ეს თვალსაზრისი მიიღეს ინგლისისა და სხვა დელეგაციებმა.

ზემოხსენებულ ინსტრუქციაში ნათქვამი იყო: „საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც თავის მოკავშირეებთან ერთად ცნო დე იურე საქართველოს წინანდელი მთავრობა, არ შეუძლია დღეს რაიმე მოლაპარაკება გამართოს საქართველოს საკითხის შესახებ ფაქტიური ძალაუფლების წარმომადგენლებთან, რომლებმაც საქართველოდან გამოაძევეს მისი ნამდვილი მთავრობა“.

ასევე ჩაიფუშა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ცდა ლოზანის კონფერენციაზე 1922-1923 წწ., სადაც ირჩეოდა შავი ზღვის სრუტეების საკითხი. საბოლოოდ სრუტეების შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერა რუსეთის წარმომადგენელმა. უკრაინისა და საქართველოს წარმომადგენლად კონფერენციამ არ ცნო საბჭოთა რუსეთის დელეგაცია.

საფრანგეთის, ინგლისის, იტალიისა და ბელგიის მთავრობებმა შემდგომშიც არა ერთხელ დაადასტურეს თავიანთი დამოკიდებულება საქართველოსადმი, რომელსაც თვლიდნენ წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნად.

1989 წლის 20 ივნისს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა და პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულების დარღვევისათვის რუსეთის მხრიდან.

კომისიამ გამოიტანა შემდეგი დასკვნა: საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, შეიყვანა ჯარი საქართველოში და მოახდინა მისი ოკუპაცია. ეს იყო სამხედრო ინტერვენცია და ქვეყნის ოკუპაცია არჩებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. საბჭოთა რუსეთის ეს აქცია უნდა შეფასდეს, როგორც საქართველოს ფაქტიური ოკუპაცია.

1989 წლის 18 ნოემბერს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა ზემოხსენებული კომისიის დასკვნა.

## ევგენი გეგეჰკორი

### დიპლომატი

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, „ევროპის საქმეები“, ინახება ერთი საბუთი, რომლის სათაურია: „ცნობა ბატონი გეგეჰკორის შესახებ, 1920 წლის 29 სექტემბერი. პარიზი“.

ეს საბუთი ხელმოწერელია. საბუთის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი სპეციალურად შეადგინეს საფრანგეთის ხელმძღვანელებისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზში ვიზიტად ჩადიოდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჰკორი. ეს ვიზიტი შედგა.

„ცნობა“ ასე იწყება: „რუსეთის იმპერიის სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, საქართველოს მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჰკორი, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ყორჯანიას შემდეგ. ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პიროვნებაა ქვეყანაში; სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი, ევგენი გეგეჰკორი არის პიროვნება, რომელიც ცდილობს, ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის ქვეყნებთან.“

„ცნობის“ ავტორი მიუთითებს, რომ ევგენი გეგეჰკორმა დაიმსახურა ფრანგების სიმპათია და ასახელებს მომენტებს, როდესაც ის პირადად შეხვდა ფრანგებს და ჰქონდა მათთან საქმიანი მოლაპარაკებები. ეს იყო საფრანგეთსა და საქართველოს შორის მანგანუმის შესახებ კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკების, თბილისში ფრანგული კოლეჯის დაარსებისა და იმავე თბილისში სავაჭრო პალატის გახსნის დროს.

შემდეგ „ცნობის“ ავტორი გადადის ევგენი გეგეჰკორის მოგზაურობებზე ევროპის ქვეყნებში და მიუთითებს ყველგან უმაღლეს დონეზე მის მიღებაზე. იგი დიდი პატივით მიუღიათ ინგლისში პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯს და საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონს: იტალიაში — პრემიერ-მინისტრ ჯოლიტის და საგარეო საქმეთა მინისტრ კარლო სფორცას. შემდგომში ასეთივე დონეზე მიიღეს ის პარიზშიც.

ევროპის ქვეყნებში ამ მოგზაურობის დროს ევგენი გეგეჰკორს ორი მიზანი ჰქონია: მიეღწია დამოუკიდებელი საქართველოს დე

იურე ცნობისათვის (ამ დროისათვის ევროპის ქვეყნებმა უკვე ცნეს დამოუკიდებელი საქართველო დე ფაქტო) და მეორე, მიელო დასავლეთის ქვეყნებისაგან ფინანსური დახმარება, რაც აუცილებელი იყო იმ დროს საქართველოსათვის. ორივე ამ საკითხში ევგენი გეგეჰკორს წარმატებები ჰქონდა.

მაგრამ ახლა მინდა აქ შევჩერდე ევგენი გეგეჰკორის პიროვნებაზე, მის პიროვნულ თვისებებზე, როგორც დიპლომატზე. ამისათვის გადავწყვიტე, მოვიშველიო ცნობილი ქართველი მწერალი დიდი პიროვნება გრიგოლ რობაქიძე, რომელიც შესანიშნავად იცნობდა ევგენი გეგეჰკორის პიროვნებას და მისთვის დამახასიათებელი ექსპრესიულობით და ცოდნით მოგვცა ევგენი გეგეჰკორის პიროვნების ნათელი ხატი.

იგი ევგენი გეგეჰკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (გარდაიცვალა 1954 წელს) „სილუეტებში“ წერდა:

„გამიგონია: ზოგიერთნი თანამემამულენი აღმაცერად უტკერენ თურჲე დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით განაპირა მხარეთა მისსა: გურაისა და სამეგრელოს. ასეთ „მამულიშვილებს“ ვერ გაუგიათ ალბათ, რომ ყოველი ტომი ქართველთა სახეობითი ასპექტია მთელის: საქართველოსი, ესე იგი, ისეთი ნაწილი, რომლის თავისებურებაში მთელი ცნაურდება: საქართველო. ამით აიხსნება, რომ ყოველი ნამდვილი გურული ნამდვილი ქართველია. ასევე მეგრელი, ასევე ჯვანი და სხვა. ჩვენ, ქართველებს, კიდევაც შეგვიძლია ვიამაყოთ სხვა ხალხთა პირისპირ, რომელთაც ასეთი შესხეულება ერისა და ტომის იშვიათად მოუპოვებათ. საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია. მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, რომ მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად — რა საკვრველია, არა „მაფალუს“ ხაზით. (არსებობს ხომ პროვანსალური მწერლობა გვერდით ფრანგულისა ერთს მთლიან რკალში საფრანგეთისა). ქართული მწერლობა ამათ არას დაჰკარგავს რა — პირიქით: კიდევაც მოიგებს. მეგრულში მრავალი სიტყვაა ზეგამოჭრილი და მრავალი თქმა მოხდენილი. ეს შესაძლოა საზრდოდ იქცეს ქართულისათვის. სვანურზედაც ესევე ითქმის. სამეგრელო, დედული და მამული ევგენი გეგეჰკორისა. ძველი კოლხეთის ნაშეირია. აქ იშვა „ოქროს ჯერძი“, რომელმაც მთელს მსოფლიოში „ოქროს მატყლი“ განფინა. უკანასკნელის ფესვეული გაგება მხოლოდ კოლხეთის „ჯერძის“ ნიხედვით შეიძლება. კოლხეთმა მოავლინა მედეა: უნივერსალურ ქალთა შორის ყველაზე უფრო თავისებური. მზის ასული, იგი მზიურ უხვია თავის ქალურობით, გარნა მზიურადვე

გახელებულიც, თუ მის მიერ შეყვარებულმა ვაჟმა ქალურობა მისი ოდნავაც შელახა. (ჩემი რომანი „მეგი“, ვიტყვი აქ, ერთგვარი ცდაა რეალურ ქალწულში კოლხელი მითიური ქალის განხცოველებისა: მედეასი).

სამეგრელო არა მარტო გეოგრაფიულად, მითიური გაგრძელებაა სვანეთისა, საცა „მითოს“ უშრეტ ბუდობადაა განვრცობილი. იქ მედეა — აქ დალი: დობილი ჰელენთა არტემისის და რომაელთა დიანასი, ორივეზე უფრო მომჯადოველი და უფრო ნაცნაური. სამეგრელოში დალს „ტყის დედოფალი“ ესიტყვება. ვისაც ნიჭი აქვს შინაგანი ხილვისა, დაინახავს: რომ კოლხეთის ნაშვიერში მითიურნი ფესვნი დღემდე უჭნობად იშშუწნებიან. წაიკითხეთ ვრცელი მოთხრობა დემნა შენგელაიასი „სანჯარდო“. მოთხრობას ემჩნევა ჩამოსხმის მხრით, ეთქვათ მეტაფორით: „მალარია“ — ხოლო მოთხრობილი თვითონ ფასდაუდებელი განძია.

ვასენოთ კიდევ მეგრელთა ქალნი, ქალთა შორის „ქალურობით“ ყველაზე უფრო ავსებულნი და აგზნებულნი? ციცინოს ვნება-ატეხილობა, ჩემს ზემოხსენებულ რომანში, ზოგიერთებს — საბედნიეროდ არც ერთ არაქართველს — ჩვეულებრივ „ავხორცობად“ მოჩვენებით: მაშვინ როდესაც იგი ამორძალური აცეცხლებაა. ამორძალთ ძველად კოლხეთშიაც იგულგებდენ.

სამეგრელომ მოგვცა სახელოვანნი მწერალნი: იონა მეუნარგია, დღტუ მეგრელი, შალვა დადიანი, ალ. აბაშელი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, ჯაჭუ ჯორჯიკია, ტერენტი გრანელი და სხვანი.

„ზრდილი არიან იმერნი“, ცნობილია ძველთაგან. მეგრელთა ზრდილობა მეტად ნიჟანსიანია. „ზრდილობა“ ჰგულისხმობს „ზრდას“ და ზრდა „ქცევას“ — ქცევა კი: თავდაქერას. გ. ჩიჩუა ებასებოდა გლენს ვითარ თანასწორს — ამავე დროს გლენი გრძნობდა, რომ მობაასე თავადი იყო. ასეთი თავდაქერაა ნამდვილი ნიშანწყალი სენიორის: თავადისა. შალვა დადიანის სიტყვა იშლება როგორც მისალმება დარბაისელისა: ნელიად, დაბალი ტონით. შიგადაშოგ ჩაცინვითაც ეს მაშვინ, თუ მიმგების სიტყვა შეუხამებელია. მუშნი დადიანი — ნამდვილი ძმა მედეასი: სილაშაზით, ნაკვთიერებით, ელვარით — ისეთი მორიდებითი კოცნით ჩამოართმევდა ხელს რომელიმე მანდილოსანს და თანვე ისეთი გულავსილობით, რომ ეს შნო თვით მეფისწულსაც შეეხარბებოდა.

ტფილისში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ალ. აბაშელს. ყოველთვის გულგახსნით მეფინებოდა წინ: უაღრესად სათნო, ამავე

დროს მტკიცე, მალულ თვინიერი. მაკვირვებდა მისი ნათელი გონი: ეს კაცი, რომელსაც საშუალო შკოლაც არ გაუვლია, წამსვე ხვდებოდა რომელიმე ფილოსოფიურ პრობლემას, ჩემ მიერ გაკვირვებით წამოყენებულს. და თავი და თავი: თავდაჭერა მისი: ზოპის დაცვა ყველაფერში, როგორც ეს აუცილებელია ხელოვნებაში. ასეთი თავდაჭერა ჰქმნის მას, რასაც ევროპიელნი „ტაქტს“ უწოდებენ.

აბაშელთან ერთად ლეო ქიაჩელიც უნდა ვახსენო ამ მხრით: ნელი, დინჯი, დაფიქრებული. ერთხელ ვაწყენიე მას გაცხარებულმა ყელში არ მცემია და არცა უთქვამს რა. მხოლოდ გადმომხედა. გადმომხედვა ართქმული სიტყვა იყო: „არ გეკადრებათ!“ რამოდენიმე დღის შემდეგ — ეს წესია ჩემი — ბოდიში მოვიხადე მის წინაშე. ასეთივე ტაქტის იყო სპირიდონ კედია. ახლა: შეფრქვევითი შეგებება მეგრულთა: შეხვედრა და დახვედრა: მინდობილის თავგამოდებით გაყვანა. ამის მაგალითისათვის არ მჭირდება საქართველოს თვალი გავავლო შორეთითგან. აქ, უცხოეთშიაც, მაძლევენ ამ მაგალითს: კალე სალია და სანდრო კორძაია.

მკითხველს არ ეგონოს: ჰიმნს ვუმღეროდე მეგრელებს. ზემომოხაზული „ზრდილობა“ სხვა ქართველებსაც გვაქვს. ნათქვამი მხოლოდ ნიუანსს ჰგულისხმობ ამ ზრდილობისა მეგრულთა ხასიათში. ამას ერთი რამ უნდა მივუმატოთ: მეგრული ზრდილია ამ ნიუანსით, თუ — თუ იგი არა „ქირვეული“, რაიც, უნდა ითქვას ესეც, სამეგრელოში ხშირი მოვლენაა.

ევგენი გეგეჰკორი ზრდილი იყო მეგრული ნაირობით. ზრდილობა უმთავრესად თავდაჭერაა და თავდაჭერა მანძილის დაცვაა: „დისტანსის“.

ევგენი გეგეჰკორი ხელქვეითს ექცეოდა როგორც თანასწორს — ხელქვეითი ხედავდა არა-თანასწორს. მანძილი თავისთავად გაყვანილი ხდებოდა, რადგან არ იყო ხაზგასმული. გახუმრებისას ამრიგ გაყვანა მანძილისა კიდევ უფრო ძნელია: ერთი მცირე გადამეტება და: „თანასწორობა“ შესაძლოა „გაყადრებად“ იქცეს. ევგენი აქაც ოსტატი იყო. ვთქვათ: ვინმე კიკოლა რომელიმე ვარდად გაშლილ ტურფას ეკურკურება, რა საკვირველია. ოღონდ სიცილ „დაცინვაში“ არ გადავიდეს. თორემ უიმედო კიკოლა დაცინვითვე გამოეხმაურება რომელიმე შენს ნაკლს და გაგაჰასახარავებს. „დისტანსი“ უმაღვე გაჭრება. ევგენი ასეთ შემთხვევაში შეცინვით გადაუკრავდა მოკურკურებს: „რა გუნებაზუა შენი ვენერა, ა?“ თუ იგი მეგრული იყო, შეკითხვას ჩაუშეგრელებდა.

„შეცინვა“ სასაცილოს „დაცინვად“ არ ხვდებოდა და ახლა იგი თვითონ იცინოდა: „ის კი კაი გუნებაზუა, მაგრამ მე კი, რა მოგახსენ-

ნო!“ ზღვარის დაცვა ქცევაში ბეწვზე ჰკიდია, როგორც ზომა ხელოვნებაში. ახასიათებდა ევგენის აგრეთვე „დეზინვოლტურ“ (ძალდაუტანელობა). რუსულად: ნეპრინუჟდიონოსტ“. ერთი ბეწვი წაძლევა აქ და ეს, რუსულადვე „რანვიანოსტად“ (მოუერიდებლობა) გამოვა. ამ საფრთხეს ევგენი მარჯვედ იცილებდა.

თავდაქვრაში მას ხელს უწყობდა სახის მიმიკა. თვალში თვალს მაშინ გიყრიდა. როცა გაიცინებდა. უმეტეს წილ განზე იხედებოდა. ეს უფრო არიდება იყო ვიდრე მორიდება — არიდება: „რიდე“ ზღვარგავლებისათვის. გწადდა ფართული ფიქრი გაგეგო მისი, წამსვე იგნებდა ამას და ფართო და ზრქელ ქუთუთოებს — ასეთი ქუთუთოები მოყვანილობით აფხაზებს და მეგრელებს აქვთ, აქა-იქ ნელად ჩამოუშვებდა. თვალთა ციალს ველარ „იქერდი“. გაიკვირებდა რაიმეს, წარბებს, ისედაც მალლა ამართულთ, გადაძგიბვით მალლა ასწევდა. ესურდა ან „პო“ ეთქვა ან „არა“, მაშინ თვალებს ხან აქვთ აბრუნებდა, ხან იქით, თითქოს მახეს გაურბოდა.

„დისტანსი“ მართაღს უფროსუმცროსობას, რომლის გარეშე სწორი ურთიერთობა წარმოუდგენელია. ევგენი იცავდა ამას მახსოვს ერთი შემთხვევა. 1943 წლის ივნისში, გრიგოლ დიასამიძე და მე პარიზში ვიყავით. ევგენიმ გაგვიმართა საპატივო ჯადილი. მივედით თუ არა, უმაღლვე შეგვეკითხა: „მოხუცი ხომ ინახულეთ?“ მკითხველი მიხვდება, ვინ იყო გულუებტული: ნოე ჟარდანია. გაგშრით: დარბაზობა დაგერჩა მოუხდელი. ევგენი მოიღუშა. ამასობაში ნოეც გამოჩნდა. ევგენი შეეგება. რალაც ჩაუჩურჩულა: მოგვხადა სირცხვილი.

მარქსისტობა განსვენებულს არ ემჩნეოდა. პოლიტიკური რწმენა ადამიანის ბუნების ზედაფენებში რჩება, თუ, რა საკვირველია, ძაბრად არ იქცა იგი „ინფრა-პიუმენ“-ისა, (ადამიანურზე დაბლა). რაიც ბოლშევიზმის სახით გვევლინება. 1918 წელი, მაისის 26. ცხადდება აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. ზეიმი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ერთი მოზეიმე მირბის „მამა დავითისაკენ“, ექსტაზით აყვანილი და აელვარებულნი. უახლოვდება სალოცავს. აგარდება სამრეკვლოზე და ზარების რეკვით აშცნევს სამშობლოს: „აღსდგა საქართველო!“ მე არ მეგულება არც ერთს უნივერსალურ ებოსში მამულშვილური აქტი, ეგზომ აყვანილი მითიურ სიმალღმდე. ყველამ იცის, ვინ იყო ეს მოზეიმე: ვლასა მგელაძე: მარქსისტი ვლასა. ხედავთ, ძირა ფენებში ქართველი მარქსისტისა რა სიძლიერით აღძრულან ფესვები საქართველოსი? მარტოდ-მარტო ეს ფაქტი საკმაოა, რომ ვლასა შევიდეს „ქართლის ცხოვრება-

ში": როგორც რაინდი, მზიური შარავანდით მოსილი. არ ემჩნეოდა მარქსისტობა ევგენის — აქ მას ვეხები არა როგორც პარტიულ კაცს. ევგენი ვაუკაცი იყო, გულადი, როდიჩევი, რუსეთის სახელგანთქმული ტრიბუნა, მოგვითხრობს: ერთხელ, „სახელმწიფო დუმაში“, პურიშკევიჩის ჯგუფი რომ გადმოეშვა ჩემკენ თავდასაცემად, უცრად გეგეპკორი ამფარა მძლავრი ტანით და მოსულეები უკუიქცენო. გულადი ევგენი გამბედავიც იყო: არა მხოლოდ კერძო ცხოვრებაში, პოლიტიკაშიც.

უკანასკნელი ომის დროს იგი გერმანიისაკენ გადაიხარა, რა საკვირველია, არა იდეოლოგიურად. ორიოდ წლის წინათ, ყენევაში ყოფნის დროს, მითხრა: „ჰიტლერის გერმანია ერთადერთი რეალური ძალა იყო ბოლშევიზმის დასამხობად“. თუ რის გამო ვერ დაამხო, ეს ყველამ იცის. ომის პირველ წლებშივე მიხვდა ევგენი ჰიტლერის საბედისწერო პოლიტიკას. მითხრა მაშინ, 1943 წელს, პარიზში: „ერთი ხალხის ბედს ჩვენი ხალხის ბედს ნუ გადავბამთ“. მკითხველი მიხდება, თუ რომელ ხალხს ჰგულისხმობდა სიტყვით „ერთი“. ვერ გამოიჩინა შორს ჰერეტა“ პასუხად მხოლოდ ეს: ვინ წარმოიდგენდა, რომ ჰიტლერი საბჭოეთში ისეთ რამეს ჩაიდენდა, რაიც სტალინისათვის იყო ხელსაყრელი?

„გამბედაობა“ ევგენისა კიდევ უფრო საკვირველად მოგვესახება, თუ შევძვდვას მოვიგონებთ. ევგენი მასონი იყო, დიდი. თუ ვის მხარეზე იქნებოდნენ მასონები ომის დროს, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს. ჩემთვის პირადად საოცარია: როგორ გაბედა მასონმა ევგენიმ გადაეღა ზემოხსენებული ნაბიჯი? გაჰკიცხეს მასონებმა? არ ვიცი. ვიცი მხოლოდ აი რა: მასონებმა მორთეს ევგენის კუბო პვირფასი გვირგვინებით, შემდეგი წარწერით: „დიდ ოსტატს და მეგობარს“. ამბავი, პირდაპირ საარაკო. არ მოწმობს ეს ევგენის მარჯვე თავდაქერას და „მოქნულის“ „მოზომილში“ მოხვედრას?.

ევგენიმ ბევრი რამ გააკეთა. თუ რა, ამის შესახებ სიტყვა სხვებს ეძლევათ, ჩემზე უფრო მცოდნეთ ქართული საქმისა, პოლიტიკურის,...

ასეთია ევგენი გეგეპკორის. როგორც პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოღვაწის, დიპლომატისა და პიროვნების დახასიათება, მოცემული იმ ადამიანის მიერ, რომელიც ასევე დიდი ქართველი მოღვაწე იყო და ახლო იცნობდა ევგენი გეგეპკორს.

აქვე მინდა ნოვიტანო ევგენი გეგეპკორის შესახებ დიდი ქართველი ისტორიკოსის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის სიტყვები:

„ეგენი გეგეპკორის პოლიტიკური ხანგრძლივი მოღვაწეობა ცნობილია. ხოლო მრავალმა არ იცის, თუ რაგვარი პოლიტიკური მოღვაწე იყო იგი:

ეგენის მსოფლიოს-ხედვა მარქსისტული იყო. იგი ახალგაზრდობიდანვე წერილი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. რომელიც ნაწილი იყო მაშინ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, მაგრამ აროდეს გამხდარა ეგენი მონად თეორიისა და პარტული ორგანიზაციისა. იგი თავისუფალი, დიად ენერგიული პოლიტიკური მოაზრე იყო და თეორია მისთვის მხოლოდ წესრიგის მიმცემი იყო მისი აზროვნებისათვის. იგიც ემორჩილებოდა პარტიულ დისციპლინას, მაგრამ ესეც წესრიგის მიმცემი იყო მისი პრაქტიკული პოლიტიკური მოქმედებისათვის. ეგენი გეგეპკორი არც იმ ჯიშს ეკუთვნოდა ქართველ რევოლუციონერთა, რომელთა რევოლუციონერობას წოდებათა ან კლასთა შიშვართ სიძულვილი და შურისძიება ჰკვებავდა, და არც იმ ევროპელ პოლიტიკოსთ ენსაგავებოდა, რომელნიც პოლიტიკური კარიერისათვის ირჩევდნენ ამა თუ იმ პარტიის წევრობას და მის წიაღში მოღვაწეობას. ეგენი იდეალისტი იყო, წრფელი მოაზრე, მაგრამ ამავე დროს ჰქვინი პრაქტიკოსი, რომელსაც განსაზღვრულ პირობებში განსაზღვრული იდეური და რევოლუციონური ბრძოლით მიაჩნდა შესაძლებლად მის პოლიტიკურ და სოციალურ იდეალთა მიღწევა, — უწინარეს ყოვლისა თავის ერისთვის, ქართველი ერისთვის.

ეგენი გეგეპკორისათვის ინტერნაციონალიზმი არ იყო ერთადრევა, გათქვეფა მცირე ერთა დიდთა და ძლიერთა შორის, ძალით და დამონებით, არამედ თავისუფალი, სწორუფლებამოსილ ერთა ნებაყოფლობითი კავშირი, სადაც და როდესაც ეს შესაძლებელი იყო, და ნუჯამ სოლიდარობა მათი წინააღმდეგ გალაღებულ და მოძალადე დამპყრობელთა, ე. ი. იმპერიალისტთა. ხოლო ეგენის ნაციონალიზტს არც ნაციონალიზმი სწამდა ბრმა და უსამართლო — „საკრო ეგონისმო“, მეზობელთა წარხდენა, „უმეზობლობა“.

...ეგენი გეგეპკორი არა თუ ჰკუთით, გულდასმით განჰკრეტით საქმეთა, არამედ წარმოსადგობით და ვაჟკაცობით, თვისი ძლიერი პიროვნებით იყო თვალმისაპყრობი საქართველოშიც და მეზობელთა შორისაც. მას ავტორიტეტი ჰქონდა ნამდვილი, მისი ბუნების შესატყვისი.

... ამიერკავკასიის ერთა კავშირმა ეგენი გეგეპკორი აირჩია თავმჯდომარედ და ეს თვით საქმეთა ბუნების მიერ იყო ნაბრძანებით: ვინ უნდა ამოერჩიათ თუ არა ქართველი, ვითარცა მოურავი კავკა-



სიის ერთა ერთობისა, და თუ არა ევგენი გეგეჰკორი, ცნობილი მისა ზემოხსენებული თვისებებით, სამართლიანი, გულწრფელი და ყველასგან ნდობით აღქმრვილი პოლიტიკური მოღვაწე?

საქართველომ 26 მაისს 1918 წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა და... ევგენი გეგეჰკორს ჩაბარდა მისი საგარეო საქმეები. აქაც არჩევანი ბუნებრივი და შეუცდომელი იყო...

ევგენი გეგეჰკორი სამეგრელოს შვილი იყო, წმიდა სისხლის ქართველი. მასში არ იყო არც ერთი წვეთი უცხო სისხლისა, რომელიც ხშირად მიმართავს კაცის სულს ღმერთმა იცის რა უხამსობისაკენ მისი პატრონის შეუგნებლად და უნებურადაც. ევგენის პატრიოტიზმიც აგრეთვე ამიტომ იყო ნამდვილი, ღრმა, წმიდა, ამაყ სულში დაბადებული და დაბუდებული.

ღღეს სამეგრელოდ წოდებულ ქვეყანა ნაწილია იმ დიდი ქართული ქვეყნისა, რომელსაც ბერძენთაგან ძველად კოლხის ეწოდებოდა, შემდეგ ლაზიკა, — ქართული ეგრისი, რომელსაც შემდეგ აფხაზეთი ეწოდა. შავ ზღვაზედ მიყრდნობილი კოლხის უძველესი დროიდან საქართველოს დასაღვთის კულტურულ მსოფლიოსთან აკავშირებდა. ლაზიკა ზიარ იყო ბიზანტიის კულტურისა, და პოლიტიკურად ხან მისი მოკავშირე აღმოსავლეთ საქართველოში შემოქრალ სპარსთა წინააღმდეგომ, ხან ნებრძოლი მისი ძალადობისა, ხოლო აროდეს მისი მონა, და არც ოდეს გაბერძნებულა. ეგრისი ნაწილი იყო ქრისტეს წინა საუკუნეებში არსებული მთლიანი საქართველოსი. საშუალო საუკუნოთა აფხაზეთი, წინაშეძლოლობით იქ გამეფებულ ბაგრატიონთან, რომელნიც ზოგი მეცნიერია აზრით თვით იყვნენ შთაშობავლობით ჭანები, საქართველო დაშლილი მთლიანობის აღმდგენლად და განმამტკიცებლად განოვიდა, შემკრებლად აგრეთვე მთელი კავკასიისა ბაგრატიონთა სპეფო კერძის ქვეშ. ენა ქართული უხსოვარი დროითგან იყო მართლ-საჩინოდ საერთო ენა ქართველ ტომთა, ქართული კულტურა მათი საერთო შემოქმედების ნაყოფი. ამით აიხსნება მიღება მეგრელთა მიერ ქართული წირვა-ლოცვისა, და კულტი ქართული ენისა, ენა — მეტყველებისა, მწერლობისა და სხვ., რომელიც მუდამ იყო სამეგრელოში და დარჩება მუდამვე, და სამეგრელო მუდამ იყო აგრეთვე შემნახველი საქართველოს ერთობის იდეისა.

თვით ჩვენი დაკნინების და დაშლის დროს ცოცხლობდა აქ ეს იდეა, და მამია დადიანის სიტყვები იმერეთის დამპყრობის და მერმე სამეგრელოზედ გალაშქრებული მეფე სვიმონის მიმართ (1591 წ.) ნამდვილი მეგრელ-ქართველი პატრიოტის შესაფერისია: შეირიგე

ჩემი სიძე როსტომ, ივერეთის ბატონი, ნუ მოდიხარ ძალით ჩემზედ „და მეც ვიქმნები დამორჩილებული ვითარცა ერთი თავადი შენი, ერთგული და მონა მორჩილი ბრძანებრსა თქვენისა, და ესრეთ ერთობით დაიმკვიდრე საქართველო, ვითარცა პირველ დავით აღმაშენებელმა“-ო.

სვიმონმა ეს არ ინება და დამარცხდა, — „სძო სამართალმან დადიანისამან“-ო, ამბობს მემატიანე შწარე გაკიცხვით სვიმონისა, ხოლო მამია დადიანი მრავალ უბედურებათა შემდეგ იგივე მოვლენაა. რაგვარიც იყო დიდი ცოტნე დადიანი დიდი საქართველოს მონღოლთა მიერ წაქცევის დროს. ნურავინ მოიგონებს აქ ვარდან დადიანს. თამარის მოღალატეს. ვარდანთან ერთად სხვებმაც უღალატეს თამარს, და თამარს გარდა სხვა მეფეთაც უღალატეს სხვათა. დალატა აშოლო სალუკუნეებში და ყოველთვის ხშირი იყო და არის ყველგან და საქართველოშიც. ხოლო ერთგულნიც დიდნი და მრავალნი იყვნენ ქვეყნისა და ასეთნი სამეგრელოსაც არ დალევიათ. — ისიც არა შემთხვევითს რასმე მოასწავებს, რომ ერის თავისუფლებას იღვანე მხოლოდ სამეგრელოში არ გარდაქციულა განსაქიქებლად მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში „ავტონომიაზედაც“ კი შეუძლებელი იყო საუბარი, ვითარცა რაღაც უმნიშვნელო რაზედმე. ამბობენ ეს აიხსნება მით რომ სამეგრელომ საქართველოს სხვა ნაწილებზედ უფრო გვიან დაჰკარგა თავისუფლებათა. არამედ მე ვიტყვოდი: სამეგრელო საქართველოს თავისუფლებისა და ერთობის იდეის ერთი უბედელესი წარმომშობთაგანია და ეს იდეა იქ არც მომკვდარა არაოდეს და არც მოკვდება, სანამ ქართველი ერი და თვით ეგრისი არსებობენ!

ამ ქვეყნის ნახვის შემდეგ თქვა ილია ჭავჭავაძემ: **სამეგრელოს ჩავედი და საქართველო ვნახეო.** ეს და მისი ზღვაზედვე მიმდგომნი ქვეყანანი გზავნიდნენ უხსოვარი დროითგან, სალუკუნეთა განმავლობაში, უკანასკნელ, ჩვენ მიერ ნახულ ყამამდე ტალღებს ქართველთა მოსახლეობისა დიდი საქართველოს შესაქმნელად, იღებდნენ და კატრონობდნენ მტერთაგან აკლებულ, დევნილ და მის წიაღში შეფარებულ მოძმეთ ყოველი კუთხითგან საქართველოსისა, და მერმე, ოდეს ყაპი დადგებოდა, უკანვე გზავნიდნენ იმათივე ტალღებს, გაძლიერებულს, ქართველის თესლის აღსადგენად ძველ მიწაზედ, საქართველოს უკვდავსაყოფელად...

ასეთი ქვეყნიდან იყავ, ძვირფასო ვეგენი, და შენი ქართული პატრიოტიზმიც იქვე იყო ჩასახული. ვინც შენ „ნაკლთა“ ჩხრეკას მოსურნებს „სამართლიანობის“ მიზნით, მათ ვეტყვით, რომ ნაკლთა ჩხრეკას აზრი აქვს უფრო უარყოფით პიროვნებათა განსა-

ქიქებლად, ხოლო დეაწლმოსილთა ნაკლთა აღნიშვნა ცუდია, რადგან არა კანონიზაცია სურს ვისმე მათი. ხოლო განქიქებისათვის განმაქიქებელთ მოვავონებთ მონღოლი ნოინის სიტყვებს, მისგან თქმულს, როდესაც მის წინაშე დიდ გმირს სარგის ჯაყელს თვით ლაშას ძე დავით მეფე უწყობდა ინტრიგებს: „თქვენ ქართველნი არას კეთილს უყოფთ მხნედ მებრძოლთა წყობათა შინა“-ო.

მადლობა ღმერთს, უდიდესმა უმრავლესობამ ქართველთა არ გამოიჩინა შენ მიმართ ეს საბაგელი თვისება და ღირსეულად დაათვა-სა დეაწლი შენი „მხნედ მბრძოლისა წყობათა შინა“ სამშობლოსათვის. და შენი მეგრული გვარიც ასეთ მოღვაწეს ნიშნავს: **გეგეპკორი**, — წმიდა გიორგის ყმა: **ე. ი. მსახური**, რაინდი თეთრი გიორგისა, — საქართველოსი“.

ასეთია ევგენი გეგეპკორის, როგორც პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოღვაწის, დიპლომატისა და პიროვნების დახასიათება, მოცემული ამ ორი დიდი ქართველის — გრიგოლ რობაქიძისა და მიხეილ წერეთლის მიერ, რომლებიც ახლო იცნობდნენ ევგენი გეგეპკორის მოღვაწეობას.

ძე ამით არ ვამთავრებ ევგენი გეგეპკორის დიპლომატიურ მოღვაწეობაზე თქვენთან საუბარს. ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდები.

## ირაკლი წერეთელი

ირაკლი წერეთელი დაიბადა 1881 წლის 20 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში. იგი იყო ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის შვილი. ირაკლიმ საშუალო სკოლა (გიმნაზია) თბილისში დაამთავრა და 1900 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის, 1902 წელს იგი ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ერთხანს იგი საქართველოში რედაქტორობდა ჟურნალ „კვალს“. მე-2 სახელმწიფო სათათბიროში იყო ს.-დ. ფრაქციის ლიდერი. სათათბიროს დათხოვნის შემდეგ (1907 წ.) მიუსაჯეს კატორღა. გადასახლებიდან განთავისუფლდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად. დაბრუნდა პეტროგრადში. მას წამყვანი ადგილი ეკავა ს.-დ. პარტიაში — პეტროგრადის აღმასკომში. იგი იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ც.-კ.-ის პირველი მოწვევის წევრი; რუსეთის დროებით მთავრობაში ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა. იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს დემოკრატიული რუსპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკის განხორციელების საქმეში.

1919 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი და ზურაბ ავალიშვილი პარიზში გაგზავნა. აქედან ირაკლი წერეთელი ყველაზე უფრო ცნობილი იყო ევროპაში, როგორც რუსეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. მაგრამ ეროვნებით ქართველი. მას ყველგან პატივისცემით ღებულობდნენ და ყურადღებით უსმენდნენ.

ეს მით უფრო კარგი იყო ჩვენთვის, ვინაიდან ევროპაში საქართველოს ნაკლებად იცნობდნენ. მისი ყოველი გამოსვლა, შეხვედრა და საუბარი მაღალ შთაბეჭდილებას ტოვებდა არა მარტო მის მიმართ, არამედ საქართველოს მიმართაც. ეს დელეგაცია ყველაფერს აკეთებდა, ჩვენი პატარა, მაგრამ უძველესი ისტორიისა და კულ-

ტურის ქვეყანა უფრო კარგად გაეცნო ევროპისათვის: ისინი კერძოდ (ზ. ავალიშვილი) ადგენდნენ სხვადასხვა სახის ცნობებს საქართველოს შესახებ და აძლევდნენ ევროპის ქვეყნებში აკრედიტებულ უცხოეთის ელჩებს.

ირ. წერეთელი ერთხელ პარიზიდან ლონდონში ჩავიდა. იქ შეხვდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კერზონს, გააცნო მას საქართველოს მდგომარეობა და მიუთითა ევროპის ქვეყნების მიერ საქართველოს ცნობის აუცილებლობაზე.

ლორდმა კერზონმა მას ყურადღებით მოუსმინა და ბოლოს უთხრა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ ხალხს გააჩნია უნარი, შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. მე თქვენ გეტყვით, რომ არა მარტო ქართველ ხალხს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ჰქონდა დამოუკიდებლობა და ანვითარებდა თავის ცივილიზაცია, არამედ ნებისმიერ ხალხს, ნაკლებად განვითარებულს აქვს უნარი შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. თქვენი პრობლემა ამაში კი არაა. თქვენი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ იცოდეთ, თქვენ გინდათ შეინარჩუნოთ დამოუკიდებლობა იმ გოლიათის თანხმობის გარეშე, რომელიც თქვენი მეზობელია და რომელსაც ჰქვია რუსეთი?“.

მართლაც ეს იყო დიდი პრობლემა. საუკუნეების განმავლობაში საქართველო განიცდიდა უცხოელი მოძალადეების განუწყვეტელ თავდასხმებს (არაბები, მონღოლები, სპარსელები, თურქები და სხვ.). საქართველო ეძებდა დამხმარე ძალებს. იგი ეძებდა დახმარებას ევროპაში: ნიკიტორე ირბახის ელჩობა ევროპაში (მადრიდი, რომი, ვარშავა, ვენა) 1626-1629 წლებში; სულხან-საბა ორბელიანისა საფრანგეთსა და იტალიაში 1714 წელს; ერეკლე II-ის ცდები ევროპაში და სხვ. მაგრამ ამ ცდებს შედეგები არ მოჰყოლია. საქართველო იძულებული გახდა, ერთმორწმუნე რუსეთისათვის მიემართა დახმარებისათვის.

1783 წელს გეორგიევსკში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას (მფართველობით ტრაქტატს) ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის. ქართლ-კახეთის სამეფოს, აღმოსავლეთ საქართველოს, იმდროინდელი მესვეურები ერეკლე მეფის მეთაურობით გულწრფელად მიდიოდნენ ასეთი ხელშეკრულების დადებაზე რუსეთთან. მათ ეგონათ, რომ რუსეთიც ასეთი გულწრფელი იქნებოდა საქართველოს მიმართ. მაგრამ ვაი, რომ რუსეთის მესვეურები ასე არ ფიქრობდნენ..

რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მითავრობის დე იურე ცნობას ნამდვილად ჰქონდა დიდი მნიშვნე-

ლობა. საქართველო (კავკასია) შორს იყო ევროპის ქვეყნებიდან. ხოლო რუსეთი მისი უშუალო მეზობელი დიდი სახელმწიფო იყო. გერმანია ომში დამარცხდა. ანტანტის ქვეყნები აკიანურებდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დე იურე ცნობას. ეს კი რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო.

1919 წლის ივნისში პარიზში ჩასულან გენერალ დენიკინის წარმომადგენლები: პროფ. კ. სოლოვიოვი და გენერალი დრაგომიროვი. ზ. ავალიშვილს გამოუთქვამს სურვილი, საქართველოს დელეგაცია შეხვედროდა მათ და ჰქონოდა მათთან მოლაპარაკება მომავალ ურთიერთობაზე. მაგრამ ირ. წერეთელს უარი უთქვამს შემდეგი მოტივით: ქართული დემოკრატიისათვის ეს ღირსეული ნაბიჯი არ იქნებოდა; ღირდა მოლაპარაკება ისეთ პირებთან, რომლებსაც მომავალი არ ჰქონდათ?

საქართველოს დელეგაცია განაგრძობდა შეხვედრებს არა მარტო მოკავშირე, არამედ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთანაც და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დე იურე ცნობის შესახებ ეწეოდა მათთან მოლაპარაკებას.

ირ. წერეთელი პირადი სიმპათიებით სარგებლობდა ევროპის ქვეყნების სოციალისტებს შორის. მას ჰქონდა შეხვედრები და მეგობრული საუბრები ვანდერველდუსთან ბელგიაში, არტურ ჰენდერსონთან ინგლისში, პიერ რენოდელთან საფრანგეთში. პირველი ორი მთავრობის წევრები იყვნენ, ხოლო მესამე — საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატთა პალატის ცნობილი წევრი. ეს სოციალისტები, საერთოდ, გავლენით სარგებლობდნენ მთავრობებში.

ასეთი კონტაქტები საჭირო იყო განსაკუთრებით ინგლისელებთან, ვინაიდან ამ დროს ინგლისის ჯარი საქართველოში იდგა. ამასთანავე, ინგლისი და საფრანგეთი მხარს უჭერდნენ და იარაღით ეხმარებოდნენ ანტიბოლშევიკურ ძალებს რუსეთში. ამ დროისათვის საქართველოში მდგომარეობა სტაბილური იყო და ამიტომ არსებობდა ყველა საფუძველი, ეცნოთ საქართველოს მთავრობა დე იურე.

1920 წლის 12 იანვარს ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრმა დიჯპა სახელმწიფოებმა ცნეს დე ფაქტო საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. სომხეთის დამოუკიდებლობა კი ცნეს 1920 წლის 18 იანვარს. ანტანტის უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება საზეიმოდ მოახსენეს საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციებს საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის.

წარმომადგენლებმა — უიულ კამბონმა, კერმა და მარკიზ დელატორეტამ.

იხ. წერეთელმა საქართველოს მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა დიდ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს ამ ცნობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მოკავშირე სახელმწიფოები ცნობდნენ ამ რესპუბლიკებს დე იურედაც და აღმოუჩენდნენ მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას, რასაც ისინი მეტად საჭიროებდნენ.

1920 წლის 19 იანვარს ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ თავის სხდომაზე მიიწვია საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციები. ეს სხდომა მიმდინარეობდა კე დ'ორსეში (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში). სხდომას თავმჯდომარეობდა საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო. სხდომას ესწრებოდნენ: ლიოდ ჯორჯი, ლორდი კერზონი, უინსტონ ჩერჩილი, უიულ კამბონი, მარშალ ფოში, ფრანჩესკო ნიტი და სხვ.

ჟორჟ კლემანსო მიესალმა დელეგაციებს და იკითხა მათი სამხედრო მდგომარეობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა სჭირდებოდათ მათ თავდაცვისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის დე იურე ცნობის საკითხი დაკავშირებული იყო ტერიტორიულ საკითხთან: ამ დროს ბათუმი ოკუპირებული იყო ინდლისის ჯარის მიერ. თუმცა ეს საკითხი მალე მოიხსნა. ინგლისის ჯარებმა დატოვეს საქართველოს ტერიტორია. ბათუმი კვლავ საქართველოს მმართველობას დაექვემდებარა.

1920 წლის სექტემბერში იხ. წერეთლის ინიციატივით საქართველოს მთავრობამ მოიწვია ევროპის სოციალისტური მოძრაობის მთავარი წარმომადგენლები, რათა საკუთარი თვალთ ენახათ საქართველო, გაცნობოდნენ ქვეყანას.

ამ პირთა შორის იყვნენ: რამსეი მაკ-დონალდი, ტომას შოუ და ქალბატონი სნოუდენი ინგლისიდან; ებილ ვანდერველდე, კამილ უისმანი და ლუი დე ბრუკერი ბელგიიდან; პიერ რენოდელი, ა. მარკე და ა. ინგელსი საფრანგეთიდან; კარლ და ლუიზა კაუტსკები გერმანიიდან.

ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ 1920 წლის 13 სექტემბერს და აქ დარჩნენ ორი კვირა. მათ იმოგზაურეს საქართველოს სხვადასხვა მხარეში. კარლ კაუტსკი საქართველოში დარჩა უფრო მეტ ხანს და გერმანიაში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა საქართველოზე ბროშურა: საქართველო — სოციალ-დემოკრატიული გლეხური რესპუბლიკა.

პიერ რენოდელმა საფრანგეთში დაბრუნებისთანავე გამოაქვეყნა წერილები საქართველოზე, სადაც განსაკუთრებით მიუთითებდა იმ მიღწებებზე და შეხვედრებზე, რომლებიც მათ მოუწყეს საქართველოში. ამათ ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბაო; სოფელში, თუ ქალაქში მათ დიდი სიყვარულით ხვდებოდნენ და ფრანგებს ასე მიმართავდნენო: „ჩვენო ძვირფასო სტუმრებო“. ბათუმში, ქუთაისში, მათ ყვავილებით ხვდებოდნენ; სოფლებში გლეხები: პურიით და მარლით, ღვინოთ ჯავსე დოქებით, თაფლიანი ნამცვრებით და სხვადასხვანაირი ხილეულით. ეს ყველაფერი მათი ხელით იყო მოპოვებული და გაკეთებული, შენიშნავს პიერ რენოდელი.

საბჭოთა არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ (1921 წლის თებერვალ-მარტი), ყორდანი-გეგეჭკორის მთავრობა ემიგრაციაში პარიზში წავიდა. მათთან იყო ირ. წერეთელიც. პარიზში იგი ცხოვრობდა ჯერ ლათინურ კვარტალში, ხოლო შემდეგ გადავიდა რუხველტის ქუჩაზე, სადაც დარჩა ნიუ-იორკში გამგზავრებამდე (1951 წ.).

ირ. წერეთელი საერთოდ დიქტატურის წინააღმდეგი იყო. პიტლეო მიაი აზრით, იყო „გააფთრებული გიყი“, რომლის „გამარჯება იქნებოდა არა მარტო თავისუფლები დასასრული, არამედ ანეუ მთელი დასავლური ცივილიზაციის დასასრული“. ამიტომ იგი მაარს უჭერდა მოკავშირეების გამარჯვებას.

მას იმედი ჰქონდა, რომ მოპოვებული სამხედრო გამარჯება სტალინის მიიყვანდა რეჟიმის ზოგიერთი მხარის თავისუფლებამდე.

1951 წელს ირ. წერეთელმა დატოვა პარიზი და საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც მას ჰყავდა ზოგიერთი მეგობარი რუსეთის რევოლუციის დროიდან: ბორის ნიკოლაევსკი, ანა ბურგინა. ვ. ჩერნოვი, აბრამოვიჩი და სხვ. ნიუ-იორკში იგი ბროდვეიზე ცხოვრობდა.

ირ. წერეთელი გარდაიცვალა 1957 წლის 21 მაისს. მისი ცხედარი დაწვეს. ფერფლი ურნაში ინახებოდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასაფლაოზე 1974 წლამდე. შემდეგ იგი გადაიტანეს საფრანგეთში და მიაბარეს მიწას ქართველების სასაფლაოზე ლევილში (ორეეზე) და საბოლოოდ მიუჩინეს ადგილი თავის ქართველ მეგობრებს შორის.



## ზურაბ ავალიშვილი

ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1876-1944 წწ.) — ქართველი მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურისმცოდნე, დიპლომატი. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში“. ზურაბ ავალიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა სახელმწიფო სამართლის კურსს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი დაინიშნა სენატორად. 1918 წელს ზურაბ ავალიშვილი საქართველოში დაბრუნდა. იგი იყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მონაწილეობდა საქართველოს მთავრობის მიერ ევროპაში გაგზავნილი დელეგაციების მუშაობაში.

ზურაბ ავალიშვილი მრავალი ნაშრომის ავტორია: „საქართველოს შეერთება რუსეთთან“; „ეროვნული მოძრაობის ფორმები ევროპასა და რუსეთში“; „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“; „ეფთხისტყაოსნის“ საკითხები“; თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ და სხვ.

ზურაბ ავალიშვილი, როგორც საქართველოს მთავრობის დელეგაციის წევრი, დიდ მუშაობას ეწეოდა ბერლინში, პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში.

როგორც უკვე ითქვა, ზურაბ ავალიშვილი საქართველოში (თბილისში) ჩამოვიდა 1918 წლის აპრილში. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთში მომხდარი 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) გადატრიალება არცნო ამიერკავკასიამ და იგი გამოეთიშა რუსეთს. 1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის თავმჯდომარე გახდა ევგენი გეგუქკორი. იგი, ცხადია, არცნობდა ბოლშევიკურ მთავრობას რუსეთში და იმედს ამყარებდა რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე, მაგრამ მალე ეს იმედიც ჩაიფუშა: 1918 წლის იანვარში დამფუძნებელი კრება დაითხოვეს.

1918 წლის თებერვალში დაიწყო ამიერკავკასიის კომისარიატის მოლაპარაკება ტრაპიზონში თურქეთთან. მაგრამ მოლაპარაკების

დაწყების მიუხედავად, თურქეთის მხარე განაგრძობდა საომარ მოქმედებას და მისმა ჯარებმა დაიკავეს ყარსი და ბათუმი.

ამიერკავკასიის კომისარიატს არ გააჩნდა საკმარისი საშუალებები, რომ წინააღმდეგობა გაეწია თურქებისათვის. ამიტომ გადაწყვიტა მასთან ზავის დადება. მოლაპარაკებების ადგილად აირჩიეს ტრაპიზონი, რომელიც მაშინ რუსეთის კავკასიის ჯარს ეკავა. (იგი ჯერ კიდევ არ იყო წასული ამიერკავკასიიდან).

ამიერკავკასიის სენიმის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით, ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციის შემადგენლობაში შევიდნენ: ა. ჩხენკელი (ხელმძღვანელი), გ. აბაშიძე, მ. გაჯინსკი, ი. გაიდაროვი, მ. გვახავა, რ. კაჩაზუნნი, მ. ლასხიშვილი, მ. მეხტიევი, პ. პასან-მამედოვი, ა. ნატისოვი, ა. შეიხ-ულ-ისლამოვი. დელეგაციას ახლდა ზ. ავალიშვილი, როგორც მრჩეველი.

დელეგაციის წასვლა ტრაპიზონში დაგვიანდა იმის გამო, რომ 17 თებერვალს რუსეთიდან მოვიდა დეპეშა. როქელსაც ხელს აწერდა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციის მდივანი კარახანი. ამ დეპეშის მიხედვით, მეორე დღეს ხელი უნდა მოეწერათ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე გერმანიას. ავსტრია-უნგრეთს, თურქეთს, ბულგარეთს და საბჭოთა რუსეთს. ამ საზავო ხელშეკრულების თანხმდ, ბათუმი, ყარსი და არდაგანი თურქეთის ხელში გადადიოდა საქართველოს ნებართვის გარეშე. ამით ძირფესვიანად იცვლებოდა საქართველოსა და თურქეთს შორის 1914 წელს დადგენილი საზღვრები თურქეთის სასარგებლოდ ცალმხრივად, საქართველოს თანხმობის გარეშე. ამიერკავკასიის კომისარიატის მთავრობამ ამაზე პროტესტი განაცხადა. მაგრამ მოითხოვდა იმ ტერიტორიებს, რომლებიც მან ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით რუსეთის საბჭოთა მთავრობისაგან მიიღო.

1918 წლის 22 თებერვალს ტრაპიზონიდან თბილისში მოვიდა თურქეთის მხარის დეპეშა იმის შესახებ, რომ იქ უკვე ელოდებოდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციას. დელეგაცია მაშინვე გაემგზავრა და 23 თებერვალს გემით მიადგა ტრაპიზონს. 27 თებერვლამდე აღნიშნული დელეგაცია იმყოფებოდა გემზე. ამის მიზეზი იყო ის, რომ ტრაპიზონის ვალი მოითხოვდა იმ 50 შეიარაღებული კაცის განიარაღებას, რომელიც ახლდა ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციას.

ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაცია ტრაპიზონს თვლიდა ნეიტრალურ ზონად, რომელიც მისი აზრით, არც რუსეთს ეკუთვნო-

და და არც თურქეთს. ამიტომ ის სადაოდ არ თვლიდა მასთან შეიარაღებული პირების ყოფნას.

სამი დღის გასვლის შემდეგ, ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციამ გადაწყვიტა ბათუმში დაბრუნება და იქ ლოდინი. ამავე დროს, 27 თებერვალს კონსტანტინოპოლიდან ტრაპიზონში ჩამოვიდა თურქეთის დელეგაცია. ამის შემდეგ, საღამოს ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაცია გადავიდა ნაპირზე და დაიკავა მისთვის განკუთვნილი ბინა. მისი დაცვა გეშზე დარჩა. ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაცია მრავალრიცხოვანი იყო. თურქებმა დაინახეს ეს სიმრავლე, გოცებულნი დარჩნენ, ერთ-ერთმა თურქმა შენიშნა: თუ ეს მომლაპარაკებელი მხარის მთელი მოსახლეობაა, მაშინ ცოტანი არიან, მაგრამ ოღე მხოლოდ დელეგაციაა, მაშინ ძალიან ბევრია.

კონფერენცია გაიხსნა და მოლაპარაკება დაიწყო 1 მარტს. ჩატარდა სულ 6 პლენარული სხდომა და ორ კერძო შეხვედრა. სხდომებს ხელმძღვანელობდა თურქეთის დელეგაციის მეთაური რაჟფ ბეი. რამდენადაც ტრაპიზონი იყო ნეიტრალური, თავმჯდომარეობა უნდა ყოფილიყო ჩიგრიგობით. მაგრამ ეს წინადადება არ მიიღო თურქეთის მხარემ და ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციამ თვითონ თქვა უარი ამაზე, რომ არ ჩაშლილიყო კონფერენცია.

საქმეს ართლებდა მეორე ამბავიც. საქმე ის იყო, რომ თურქეთის მხარემ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამიერკავკასიის კომისარიატის სტატუსი: იყო თუ არა ეს დამოუკიდებელი ერთეული, რომელსაც ცნობდნენ საერთაშორისო კანონების თვალსაზრისით?

ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციამ განაცხადა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი ნამდვილად არის დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც პროტესტს აცხადებს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ. თურქეთის დელეგაციამ არ ცნო ეს პრეტენზია და მოითხოვა ამიერკავკასიის ტერიტორიების საზღვრების დაზუსტება; ასევე ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის ფორმის განაზღვრა: ვის მიერაა არჩეული, რომელია მისი სახელმწიფო ენა, როგორია რელიგია და სხვ.

ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ თვით ფაქტი, თურქეთის მთავრობამ რომ მიმართა ამიერკავკასიის კომისარიატის მოთავეობას წინადადებით საზავო კონფერენციის მოწვევაზე, ნიშნავს იმას, რომ მან ცნო ამიერკავკასიის კომისარიატის მთავრობა და რომ ასევე, კონფერენციაზე

მათი ერთად ყოფნა და მუშაობა ამის დამადასტურებელია; დელეგაციის ხელმძღვანელმა კვლავ გაიმეორა, რომ ის არ ცნობს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შეეხება.

კონფერენციის მუშაობა ჩიხში მოექცა. 22 მარტს დელეგაციის ერთი ნაწილი თბილისში დაბრუნდა, რათა სეიმისათვის მოეხსენებინა მოლაპარაკებობის შედეგები. სეიმმა დელეგაციის ხელმძღვანელს ა. ჩხენკელს მისცა საგანგებო უფლებები.

5 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციამ განაცხადა, რომ უთმობს თურქეთს ოლთისის ოლქს მთლიანად, არდაგანის სამხრეთ ნაწილს, ყარსის ოლქის სამხრეთ ნაწილს, მაგრამ ეს არ მიიღო თურქეთის მხარემ და მოითხოვა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილის ცნობა, რომელიც ამიერკავკასიას შეეხებოდა. დელეგაციამ მიიღო თურქეთის წინადადება. ამის შემდეგ კონფერენციის მუშაობა შეწყდა. დელეგაცია თბილისში დაბრუნდა.

სეიმმა აუცილებლად მიიჩნია თურქეთთან ომის გაგრძელება მას შემდეგ, რაც მოხსინა ირაკლი წერეთლის შემდეგი სიტყვები: „ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს ჩვენ ვერ დავეთანხმებით. მას ხალხის მასები არ მიიღებენ“; და ევგენი გეგეჰკორის განცხადება: „ამჟამად მთავრობას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა გადაწყვეტილება, გარდა თურქეთთან ომისა“.

საქმეს ის ართულებდა, რომ ამიერკავკასიის სეიმში არ იყო ერთიანობა. ირაკლი წერეთელმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში გააკრიტიკა მუსლიმანური მოსახლეობის (აზერბაიჯანის) წარმომადგენელთა პოზიცია. როდესაც სეიმმა გადაწყვიტა, მიუხედავად სიძნელებისა, საიმედო ჯარის არ ყოლისა, ომი თურქეთთან, მუსლიმანებმა პირდაპირ განაცხადეს: „ამ ომში აქტიური მონაწილეობის მიღება არ შეგვიძლია და ამიტომ აქტიური პასუხისმგებლობაც გვეხსნებაო“.

სეიმის სხდომის დასასრულს ნოე ყორდანიამ განაცხადა: „ჩვენ ოფიციალურად გავდივართ ომის ასპარეზზე“. ამ დღეს თურქები შევიდნენ ბათუმში და 12 აპრილს დაიკავეს ყარსი.

9 აპრილს გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ევგენი გეგეჰკორის მთავრობა გადადგა. მთავრობის მეთაური გახდა ა. ჩხენკელი. თურქეთმა ცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. 15 აპრილისათვის დაინიშნა კონფერენცია ბათუმში.

ბათუმში გაგზავნილი ახალი დელეგაცია 45 კაცისაგან შედგებოდა. ეს ძალიან დიდი იყო, მაგრამ იყო ამის მიზეზიც: ამიერკავკა-

სიის ხელმძღვანელობის ნაკრები ხასიათი, პოლიტიკური შეხედულებათა სხვადასხვაობა, ჟრთიერთ უნდობლობა და სხვ.

დელეგატი სულ ექვსი იყო: ა. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე საქართველოდან; გაჯინსკი და რასულზადე — აზერბაიჯანიდან; კაზანუნი და ხატისიანი — სომხეთიდან. ქართველებთან ერთად სომხებიც მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. ყარსის აღების შემდეგ, თურქეთის აგრესია სომხებს ემუქრებოდა. სხვა მდგომარეობაში იყვნენ აზერბაიჯანელები: ისინი თურქებს უყურებდნენ, როგორც თვისტომს. მათგან დახმარებასაც კი ელოდნენ.

ბათუმის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრი ხალილ ბეი.

ბათუმის კონფერენციას ესწრებოდნენ გერმანელებიც. აქ იყო გენერალ-მაიორი ფონ ლოსოვი, რომელიც გერმანიის უმაღლეს სარდლობას წარმოადგენდა თურქეთის მთავრობაში. მისი დელეგაციის შემადგენლობაში იყო გრაფი ფონ შულენბურგი (ომამდე გერმანიის გენერალური კონსული თბილისში; მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის დროს — გერმანიის ელჩი მოსკოვში) და ო. ფონ ვეზენდონსკი (1923 წელს გერმანიის გენერალური კონსული თბილისში).

ა. ჩხენკელი იყო ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე, დიდი პატრიოტი. ნ. ნიკოლაძე (ამ დროს უკვე 75 წლის) უშრეტო მეხსიერების მქონე, თურქულ-კავკასიური ურთიერთობების კარგი მცოდნე, ბრწყინვალე მოსაუბრე. მეტად სასარგებლო იყო მისი ყოფნა ამ კონფერენციაზე. მუდამ მათთან იყო ზურაბ ავალიშვილი, კარგი იურისტი.

ბათუმის კონფერენცია დაიწყო 11 მაისს. სიტყვა წარმოთქვა ხალილ ბეიმ. საპასუხო სიტყვაში ა. ჩხენკელმა განაცხადა, რომ როგორც ადრე, ცნობს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება ამიერკავკასიას და რომ მოლაპარაკების საფუძველი ეს უნდა იყოს.

თურქეთის მხარემ ახალი ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენა: ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები; ამიერკავკასიის რკინიგზისა და ბაქოს ნავსადგურის გამოყენება ინგლისის წინააღმდეგ.

თურქეთის მხარე სულ ახალ-ახალ პრეტენზიებს აყენებდა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს დელეგაციას შეიძლებოდა მარტო გერმანიის იმედი ჰქონოდა. ამ აზრისა იყო პირველ რიგში ზურაბ ავალიშვილი. თურქეთის ჯარების შეტევა არ წყდებოდა. მათ დაიკავეს ახალციხე და ოზურგეთიც.

შეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა: აზერბაიჯანი აშკარად აცხადებდა, რომ თურქეთის წინააღმდეგ იგი არ იომებდა. სომხები? მათ თურქების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლოთ. სომხებსაც გერმანიის იმედი ჰქონდათ.

როდესაც ბათუმის კონფერენციაზე დაიძაბა ვითარება, ფონ ლოსოვმა შესთავაზა ქართველებს შუამდგომლობა თურქებსა და მათ შორის (19 მაისს). ქართველები დათანხმდნენ, აზერბაიჯანელები წინააღმდეგი იყვნენ. ამ დროს ბათუმში ჩავიდა ნოე ჟორდანიას — საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. 21 მაისს იგი თბილისში დაბრუნდა.

24 მაისს გენერალ ფონ ლოსოვმა აცნობა საქართველოს დელეგაციას მისი შუამდგომლობის უშედეგობის შესახებ. 25 მაისს მან შეატყობინა დელეგაციის ქართველ წევრებს, რომ მისი აზრით, ამიერკავკასიის რესპუბლიკა იშლება და ამიტომ უკეთესი იქნებოდა, მას პირდაპირი კავშირი ჰქონოდა საქართველოს დელეგაციასთან და ამასთანავე, აცნობა ისიც, რომ გერმანიის დელეგაცია ტოვებდა ბათუმს. 25 მაისს, საღამოს, გერმანიის გემი „მინა ჰორნი“ ტოვებს ბათუმის ნავსადგურს. ამ გემით გაემგზავრა გერმანიის დელეგაცია. გემის მარშრუტის შესახებ იცოდნენ მხოლოდ ქართველებმა. იგი გზად ფოთში გაჩერდებოდა.

26 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო თურქეთის მხარის 72 საათიანი ულტიმატუმი, რომლის მიხედვით ამიერკავკასიის დელეგაციას უნდა ეცნო თურქეთის მხარის ყველა ტერიტორიული მოთხოვნა.

ამ ულტიმატუმის მიღების მომენტში ამიერკავკასიის რესპუბლიკა უკვე აღარ არსებობდა. იგი დაიშალა. ამავე დროს, გამოცხადდა ცალკე საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

თურქებმა ისარგებლეს ამ მომენტით და დაიკავეს ახალციხის მაზრა, უძველესი ქართული მიწა — მესხეთი და სხვა ტერიტორიები.

26 მაისს, წაშლადღების ხუთ საათზე, ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა. მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა ნოე რამიშვილი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად — აკაკი ჩხენკელი.

დაუყოვნებლივ აცნობეს თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელს ხალილ ბეის. რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უკვე აღარ არსებობდა და რომ ულტიმატუმის ადრესატი უკვე დაშლილია.

როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ქართველებმა მცოდნენ, თუ სად წავიდა გერმანიის დელეგაცია. საქართველოსა და გერმანიის მხა-

რეები საიდუმლოდ შეთანხმდნენ, რომ ფოთში ჩავიდოდა საქართველოს დელეგაცია, როგორც კი გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და იქ ხელს მოაწერდნენ ხელშეკრულებას საქართველოსა და გერმანიას შორის.

ფოთში ჩავიდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ნოე რამიშვილის მეთაურობით. მასთან იყო ა. ჩხენკელი. ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, აკაკი ჩხენკელი გერმანიის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრებოდა ბერლინში. რათა იქ განეგრძო მოლაპარაკება გერმანიის მთავრობასთან.

გერმანიის ღრობით წარმომადგენლად თბილისში დაინიშნა გრაფი ფონ შულენბურგი, გერმანიის კონსულად ფოთში ბატონი ანდერსი.

ამ დროს ფოთში იყვნენ ნოე რამიშვილი, ა. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი. ზურაბ ავალიშვილი აქამდე იყო ამიერკავკასიის დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც მრჩეველი. ამიერიდან კი იგი დელეგაციის წევრი გახდა.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, თვით მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილის მეთაურობით, ავიდა გერმანიის გემ „მინა ჰორნზე“ და 1918 წლის 28 მაისს გერმანიის დელეგაციასთან ერთად ხელი მოაწერა „დროებით ძირითად შეთანხმებას საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“.

ეს შეთანხმება შედგებოდა სულ ხუთი მუხლისაგან:

პირველი მუხლი საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობის საფუძვლად აღიარებდა 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას;

მეორე მუხლი გერმანიას ნებას რთავდა, ომის დამთავრებამდე ესარგებლა საქართველოს რკინიგზის ხაზით, გერმანიის ბლოკის ქვეყნების (ოთხთა კავშირის სახელმწიფოების) ჯარების გადასაყვანად და სამხრედრო მასალების გადასატანად. თბილისში იქმნებოდა საგანგებო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით. რკინიგზის კონტროლისათვის. გათვალისწინებული იყო გერმანიის სამხედრო რაზმების დაყენება რკინიგზის სადგურებსა და ფოთში.

მესამე და მეოთხე მუხლები ეხებოდნენ დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა შექმნას.

მეხუთე მუხლის თანახმად, შეთანხმება ძალაში შედიოდა ხელმოწერისთანავე. შემდგომში გათვალისწინებული იყო ხელისმოწერა ხელშეკრულებაზე საქართველოსა და ოთხთა კავშირს (გერმანიის ბლოკის სახელმწიფოებს) შორის.

გარდა ამისა, დაიდო კიდევ ორი დამატებითი შეთანხმება: პირველი სამეურნეო საკითხებზე, რომლის თანახმად, საქართველოს შუიქლო გერმანიიდან სესხის მიღება. იქმნებოდა ქართულ-გერმანული კომისია გზებისა და ნავსადგურის ექსპლოატაციისათვის.

ასევე იქმნებოდა პარიტეტულ საფუძველზე ქართულ-გერმანული სამთო სამრეწველო საზოგადოება წიაღისეული სიმდიდრეების ექსპლოატაციის მიზნით. მყარდებოდა გერმანიის საზღვაო კავშირი საქართველოსთან, რათა გაადვილებულიყო სურსათის შემოტანა საქართველოში.

მეორე დამატებითი შეთანხმება ითვალისწინებდა საქართველოში ნებოვრები გერმანელი კოლონისტების საკითხებს.

ამის შემდეგ გერმანიის დელეგაცია ფონ ლოსოვის მეთაურობით გაემგზავრა გერმანიაში. იმავე გემით გერმანიაში გაემგზავრნენ აკ. ჩენკელი, ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი.

საქართველოს ეს დელეგაცია ჩავიდა ბერლინში და იქ გაშალა აქტიური მოღვაწეობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურაბ ავალიშვილი, აქტიური მუშაობა არა მარტო ბერლინში, არამედ ოსლოში, ლონდონში, კონსტანტინოპოლში და სხვაგან. მაგრამ მის ამ მოღვაწეობაზე ჩვენ სხვაგან შევჩერდებით. ახლა აქ მკითხველს გავაცანი მხოლოდ ერთი მომენტი: საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობა ბათუმსა და ფოთში, სადაც ზურაბ ავალიშვილი იყო დელეგაციის მრჩეველი ან მისი წევრი



## ს ა რ ჩ ე ვ ი

|   |     |
|---|-----|
| იბერიის (ქართლის) ურთიერთობა გარე სამყაროსთან                       | 3   |
| ფარსმან II-ის ეიზიტი რღონა  | 7   |
| კოლხეთის ურთიერთობა გარე სამყაროსთან და კოლხეთის აკადენია           | 9   |
| ქუთაის დედოფალი თეიმურაზ მეფის დესპანი შაჰ აბას I-თან               | 18  |
| ნიკოფორე ირბახის ელჩობა ევროპაში                                    | 25  |
| თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი                    | 39  |
| სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში                              | 47  |
| რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი (1783 წ.)                                | 54  |
| საქართველოს საკითხი ანტანტის წარმომადგენელთა თათბირზე               | 70  |
| საქართველოს ბოლი ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობაში               | 86  |
| ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის (1920 წ. 7 მაისი) | 97  |
| მეგენი გეგეპკორა — დიპლომატი  | 102 |
| ირაკლი წერეთელი   | 112 |
| ზერაბ ავალოშვილი  | 117 |